163

# არილი

№1 (164) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 18 იანვარი

ფასი 50 თეთრი

1134 +
2001



*ერნსტ იუნგერი –*

**„თავგადასავლების მაძიებელი გული"**

# #1 2001

163

ეროვნული ბიბლიოთეკა


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა


არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი


მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**

სარედაქციო საბჭო
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ნინი ზურიაშვილი
დათო თედორაძე
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
დავით ნინიკაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

*დირექტორი*
მიხეილ ჩიტაძე

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე



ტელ: 93-40-35, 93-52-96;
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №5



ჟურნალი იბეჭდება გაზეთ "კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე






№1 ხუთშაბათი, 18 იანვარი, 2001
გამოდის ორ კვირაში ერთხელ


## ლიტერატურა


ზვიად რატიანი
ლექსები ........ 1
ზურაბ ლეჟავა
იყიდეთ ჩვენი სულები ........ 2
ალეკო ცქიტიშვილი, ბასა ჯანიკაშვილი,
ზურაბ რთველიაშვილი, ნანა ბუხსიანიძე, ეკა მაჭარაშვილი
ლექსები ........ 7
ანდრეი ფადეევი
ვახტანგ არშაკუნის ბროლის სასახლე ........ 8
სემუელ ბეკეტი
ნაცარი ........ 12
ბრუნო ტორნეზი
Foret de bouleaux *Gustav Klimt* ........ 16
გაბრიელე დ'ანუნციო
ღამისთევა ........ 17
სიბილე ბერგი
ნორას შია ........ 20
ხულიო კორტასარი
ედგარ პოს ცხოვრება ........ 20


## პერსონა


მალხაზ ხარბედია
ერნსტ იუნგერის ბილიკებზე ........ 24
ერნსტ იუნგერი
"მჭვრეტელის პოზიცია" ........ 26
ერნსტ იუნგერი
დაბრუნება ........ 27


## პუბლიცისტიკა


აკაკი ბაქრაძე
სტალინიადა ........ 30
ია ანთაძე
რას მოითხოვს ოპოზიცია პრეზიდენტისგან ........ 35
თენგიზ ალდამიძე
რატომ "ყალბი მარგალიტი", ბატონებო? ........ 38
ზაზა ფაჩუაშვილი
საახალწლო გველები ........ 40

1134
2001

ზვიად რატიანი

## შრომადამე. განმარტებითი ელეგია

კარგი იქნებოდა ამ რბილ სავარძელში დილამდე ჯდომა
და თვლემა, მაგრამ მუხლებზე ვდგავარ;
შენ ბავშვს აძინებ გვერდით ოთახში,
მე კი აქეთ მუხლებზე ვდგავარ

და იატაკზე მიმოფანტულ სათამაშოებს ყუთში ვალაგებ -
დღე უკვე დასრულებულია, ვიწყები
მე. სამზარეულოში
უკვე თუხთუხებს ჩაიდანი -

ვდუღ-დუღ-დუღ-დუღდები! და უკვე მკერდშიც
(სადღაც, დაახლოებით მკერდში)
მე ვგრძნობ ვიღაცის გაღვიძებას, წამოდგომას. საჭიროა
დავისხა ჩაი, ყავა მგონი გაგვითავდა; და საჭიროა

უბრალოდ ვწერო ყველაფერი,
რასაც არავინ დამიჯერებს, რასაც აჯობებდა
ამ რბილ სავარძელში დილამდე ჯდომა
და თვლემა. მაგრამ მე ვიწყები

მუხლებზე დგომით შუა ოთახში,
ვგრძელდები საწერ მაგიდასთან. საჭიროა უბრალოდ ვიყო
სიტყვებთან და ტყუილ-მართალ წარსულებთან პირისპირ მჯდომი
არეულ საწერ მაგიდასთან, სადაც ყველაფერს -

ყველა წიგნს და კალამს და ფურცელს -
იმთავითვე მივუჩინე თავისი ადგილი; ამიტომაცაა მუდამ არეული
მაგიდაც და ფანჯრის რაფაც. ფანჯრის მიღმა კი
ჯერ უვარსკვლავო შავი ცაა, მერე თბილისი,

სადაც იმდენი პოეტი და ავადმყოფია -
კარგი იქნება ჩამოფრინდნენ მოელვარე ანგელოზები
და მათი ფრთიდან ამოცლილი თუნდაც ერთი ოქროს ბუმბული
სულ ადვილად განკურნავდა.

ყველა ლექსს და ყველა ტკივილს. ფანჯრის აქეთ კი
მე ვიწყები! და ჩემს მკერდში ჩაკუმშული ჩემივე ასლი,
სხეულში ჩასმული იგივე სხეული - დაპატარავებული,
რომელიც ბორგავს და ყირაზე გადადის -

შეყვარებულია... და კარგი იქნება
სერიოზულად დაელაპარაკოს მასაც ანგელოზი
და გონიერებისაკენ მოუწოდოს, მე კი ვიჯდე რბილ სავარძელში
და ვთვლემდე. მაგრამ მე ვგრძელდები ღამის ქუჩებში,

ღამე მთავრდება. მე მიყვარდა, მუდამ მიყვარდა
გამთენიისას ხეტიალი: ძაღლებს სძინავთ, ხოლო ჩიტები
გაუბედავად ჭიკჭიკებენ. პირველი სხივი
ბნელდა, როგორც სიყვარული, და ცივია. პირველი ხალხი

მიაგორებენ ურიკებით ბაზრისკენ ყუთებს,
ურიკები ჭრიალებენ. მეორე ხალხი
უახლოესი პარკისაკენ სასეირნოდ მიძუნძულებენ;
ჩნდება პირველი ავტობუსიც. მე მიყვარდა, მუდამ მიყვარდა



გამთენიისას ხეტიალი, როცა ფიქრობ, რომ ხარ ნატანჯი,
სისხლებშემხმარი, დაძონძილი,
და ბარბაცით რომ ბრუნდები დაკარგულ სახლში
შორეული, საძაგელი მგზავრობიდან, -

და სადარბაზო შესასვლელთან შეიძლება დავინახო ჩემივე თავი,
სუფთად ჩაცმული, გაპარსული,
ნეტარებით რომ აბოლებს პირველ სიგარეტს
და უცდის - ნუთუ იმათ უცდის? - ლიფტი იღება,

ის სიგარეტის ნამწვს მოისვრის
და გაბადრული ეგებება საყვარელ ცოლ-შვილს,
მერე მიდიან. მე კი მივსდევ, დაძონძილი, სისხლებშემხმარი,
მივსდევ და ვყვირი: ვის მიყვებით, მე ხომ ეს ვარ, მე ხომ ესეც ვარ...

## ადამიანი ფანჯარასთან, გარეთ შემოდგომა

I

ათიოდ თაობა ჩემი წინაპრების
და ცოტა ნაკლები - შთამომავლების
იგულისხმება ალბათ სისხლში,

მე კი არ ვიცი, როგორ ვიცხოვრო,
როგორ ვწერო და როგორ განვიცადო
ეს ამსიყვითლე შემოდგომა,

რომელმაც შეაგროვა ნაწილ-ნაწილ გაბნეული ყოველი ეჭვი
და თქვა: ყველაფერი თავიდან იწყება,
როგორც ყოველთვის, ჭკნობით.

II

შემოდგომამშვიდობისა.
მე შემიძლია საათობით ვიჯდე ფანჯარასთან
და ვგრძნობდე, შეუძლებელია რამეზე წერა.

შემოდგომამშვიდობისა, ჩემო ცხოვრებავ.
ჩემო მოუხელთებელო, ჩემო მუდამ ცვალებადო,
ჩემო თითქმის არაჩემო არსებობავ,

საპარლამენტო ბიბლიოთეკა

პროზა
ქართული ბიბლიოთეკა

მე შემიძლია საათობით ვიჯდე ფანჯარასთან,
მე შემიძლია შემოდგომის დღე იყოს გარეთ,
მე შემიძლია გარეთ თბილოდეს,

მე შემიძლია მოდიოდეს სამი გოგონა,
გული კი გრძნობდეს: მათგან ერთ-ერთი
ჩემი შეყვარებულია, ხოლო მეორე

ჩემი შეყვარებულია, მესამე კი
ჩემი შეყვარებულია. შესაძლოა,
არ შემეძლოს სხვაგვარად წერა.

მე შემიძლია,
შემოდგომამშვიდობისა,
არ შემეძლოს სხვაგარად წერა.

Ex-voto

წერე, რასაც არავინ დაგიჯერებს.
ვითომც არაფერი, წერე
მოჩვენებებზე, რომელთა არსებობას
ვერც შენ ირწმუნებდი, მაგრამ.

წერე, რასაც არავინ გაპატიებს.
მანდ არა, ქვემოთ, ფურცელზე წერე,
რომ შენ თვითონ ხარ საკუთარი თავის სამშობლო
და რომ წმინდაა შენი გული.

წერე, რის გამოც დაგცინებენ.
ნუ დაუცდი შთაგონებას, თამამად წერე
ყოველდღიურ უსამართლო დამცირებებზე
და პირჯვარაყრილ შენს რწმენაზე.

კიდევ რა? წერე სიყვარულზეც
და თქვი, რომ ჩაწვდი საიდუმლოს -
რომ ლექსები იწერება სიყვარულამდე
და სიყვარულის შემდეგ იკითხება.

არილი



ზურაბ ლეჟავა

# იყიდეთ ჩვენი სულები

იხილეთ "არილი" N8,11,13,16

გაისმა ურდულის მჭახე ხმა და ნაცნობი ბრახუნი. ეს არ იყო კარმუშკა. ეს კარის ხმა იყო. როტვეილერსიფათა ზედამხედველი პაშა, მისთვის ჩვეული დაუდევრობით უხეშად აღებდა კარს.

- ისევ ტენიან! - ჩაიბურტყუნა ვიღაცამ.

- რას იზამ, - ზამთარი მოდის და იჭერენ უსახლკაროებს! - გაეპასუხა ამ ვიღაცას ვიღაც მეორე.

კარი მალე გაიღო და საკანში ერთი აჩაჩულ-დაჩაჩული კაფანდარა კაცი შემოვიდა. მას ცალ ხელში პატარა ტომარა (ტორბა) ეჭირა, ხოლო მეორეში შპალიერის რულონივით დახვეული სიფრიფანა ლოგინი. პატიმრის ტომარა ზომითა და მოცულობით დიდ ქისას უფრო გავდა, თამბაქოს შესანახს, ხოლო ლოგინი წარმოადგენდა წებოვან ადიალას, თხელ ლეიბს და სუნიან ბალიშს. ამ არასასიამოვნო რულეტის შუაგულიდან მოჩანდა, აგრეთვე, გაყვითლებული ვაფლის პირსახოცი, ალუმინის უყურო, ჭვარტლით გაშავებული საეტაპო კრუშკა და ალუმინისვე კოვზი, გალესილი დაბრეცილი ტარით.

- სტარშოი, რა არის, რა ამბავია, - შესჩივლა ვიღაცამ ზედამხედველს, - აქ ოცი ადგილია, თქვენ კი უკვე ოცდამერვეს ტენით!

- არა უშავს, უფრო თბილად იქნებით! - წაექილიკა ზედამხედველი მომჩივანს.

-გამოუძახე დეპეენკას, - გაგულისდა პატიმარი, - შენ რა გენაღვლება, დადიხარ და აკუებ არხეინად მთელი დღე დერეფანში!

ზედამხედველმა კისერი მოიქექა. ის მართლაც ხშირად აფრქვევდა ხოლმე მავნე გაზებს მორიგეობის დროს. რასაც თან ერთვოდა მისი ხმამაღალი ყროყინისებური სიცილიც.

მე სახელმწიფო სამსახურში ვარ და ამიტომ ვალდებული ვარ ომახიანად გავაკუო! - ახსნა თავისი საქციელი პაშამ, - ეს იმას ნიშნავს, რომ პოსტზე არ მძინავს! აი, თქვენ კი, შეგიძლიათ მუჭში ჩააკუოთ!

პაშა საგრძნობლად გახალისდა, რადგანაც საუბარმა მისთვის სასურველი ფორმა მიიღო და უსუფთაო ლაზღანდარობად იქცა.

- ისე კარგად კი გამოგდის პაშკო, ალბათ ძალიან მხნედა ხარ?!

- ნუ-უ, ზამთარს გამოვიზამთრებ!

ამგვარი ლაპარაკები ხშირად იმართებოდა პაშას მორიგეობის დროს. მას უყვარდა პატიმრებთან შელრენ-შეყეფვით ქილიკობა და სიამოვნებით ტკბებოდა ამით. პატიმრებმა ეს იცოდნენ და ცდილობდნენ კარგ განწყობილებაში ყოლოდათ ჭირვეული ზედამხედველი - როტვეილერსიფათა პაშა-ადამიანი, რომელიც მხოლოდ მაშინ გრძნობდა თავს კარგად, როცა ლანძღავდნენ და რასაკვირველია, თვითონაც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლანძღავდა და აგინებდა ვინმეს. ადმინისტრაციის თანამშრომლებიც კი, რომელთა უმრავლესობაც არ გამოირჩეოდა დიდი კულტურულობით, პაშას დებოშიორად და ხულიგნად თვლიდნენ. ამ ზედამხედველის მორიგეობის დროს ხშირად ისმოდა ღვარძლიანი გადაძახილი და ბილწი ხუმრობა. ენაკვიმატი პატიმრები უწყალოდ თათხავდნენ პაშას. პაშა კი თავის მხრივ თათხავდა მათ. პაშა ხშირად რამდენიმე საკანს ერთდროულად უმკლავდებოდა სიტყვიერ პაექრობაში.

- პაშა, მიდი რა, მართლა გამოუძახე დეპეენკას, შეეხვეწა გამხიარულებულ პაშას ერთ-ერთი პატიმარი, - მიდი, თორემ ეგენი სულ გაგიჟდნენ!

- არა, დეპეენკას ვერ გამოვუძახებ ბიჭებო, მით უმეტეს, ახლა მალე პერესმენკაა, - გაიმართლა თავი პაშამ, - აი ივანიჩია აქ და თუ გინდათ, მაგას დაელაპარაკეთ.

სამმა თუ ოთხმა პატიმარმა პაშას ღონიერი მკლავის ქვეშიდან და ზევიდან ერთდროულად გაყვეს თავები და კორპუსის უფროსს გასძახეს. - ივანიჩი მოვიდა.

- "ზდაროვა ხლოპცი", - წარმოთქვა მან მხნედ.

- ივანიჩ! ივანიჩ! - აწუწუნდნენ პატიმრები. - რა არის ეს, ივანიჩ! უკვე ოცდამერვე რომ შემოტენეთ, რა ამბავია, რა, თქვენ ეს კამერა ბეზრაზმერნი ხომ არ გგონიათ?! თქვენ აქ მალე თაროებსაც ჩამოკიდებთ!

- თუ საჭირო გახდება, თაროებსაც ჩამოვკიდებთ! - განაცხადა კორპუსნოიმ, - და ყველაზე ყბედებს იმ თაროებში ჩავსხამთ!

- ვერ ჩასხამთ, ივანიჩ, ის დრო აღარ არის, ახლა დემოკრატიაა! და ჩვენც საჩივარს დავწერთ გაეროში!

გაეროშიც მისწერეთ და სპორტლოტოშიც იჩივლეთ, - ულაპარაკოდ დათანხმდა კორპუსნოი, - ოღონდ რომის პაპთან არ იჩივლოთ!

- რატომ, ივანიჩ, რომის პაპთან რატომ არ უნდა ვიჩივლოთ?

- რა ვიცი, მაინც ხნიერი კაცია, ხომ იცით, - დაუდევრად უპასუხა ივანიჩმა, - ერთი მაგისი დედაც! - თან კართოტეკებს ჩაჰკირკიტებდა.

- მკრეხელობ ივანიჩ, რომის პაპს აგინებ?!

- ხლოპცი, არ მცალია სალაზღანდაროდ!

კორპუსის უფროსს მართლაც არ ეცალა. არ ეცალა, იმიტომ, რომ ახალი ხალხი ყავდა საკნებში განსათავსებელი და ამას გარდა, ერთ საათში ცვლაც უნდა ჩაებარებინა. რაც შეეხება დეპეენკას გამოძახებას, არც ამას მოითხოვდნენ პატიმრები მაინცდამაინც დაჟინებით, რადგანაც იცოდნენ, რომ ეს არ უშველიდათ: იყო გვიანი შემოდგომა და ციხეებიც ხალხით ივსებოდა, იმ ხალხით, რომლებსაც ტრუბალიოტები ჰქვიათ, რომლებიც ზამთრობით ციხეში იზამთრებენ მაწანწალობის მუხლით, დაახლოებით, ექვსი თვით, ხოლო ზაფხულობით ლაღად დახეტიალობენ ამ უკიდეგანო მიწაზე.

კორპუსნოი დერეფანში გავიდა, პაშამ კარი ჯახუნით ჩაკეტა. საკანი დაშოშმინდა.

- გამარჯობათ ბიჭებო! - წარმოთქვა ახალმოსულმა საკმაოდ თამამად და ამავდროს რაღაცნაირი გაუბედავი, დაბნეული ლუღლუღით.

- გაგიმარჯოს! - გაეპასუხნენ მას ზოგიერთები უხასიათოდ და ცალყბად.

- როგორ არის საქმეები?! - იკითხა ახალმა ისევ ისე, საკმაოდ თამამად და ამავდროს თითქოს გაუბედავი ლუღლუღით.

პატიმრებმა ერთმანეთს გადახედეს და მხრები აიჩეჩეს.

- საქმეები პროკურორთანაა, - გასცა პასუხი ერთ-ერთმა, ჩვენთან კი საქმიკოებია!

- უხ, ეგ საძაგელი, ეგ ტუტუცი, - აფხუკუნდა ახალი, - უდისციპლინო!

- ვის ლანძღავ, გაკვირვებით და ერთგვარი კმაყოფილებით კითხეს მას პატიმრებმა.

- როგორ თუ ვის, როგორ თუ ვის, - გაიკვირვა თავის მხრივ ახალმა, - რა თქმა უნდა, პროკურორს და ამას კითხვა რად უნდა?!



პროკურორის ლანძღვა-გინება პატიმრებს რასაკვირველია უყვართ, მაგრამ ახალი კაცის მოჩვენებითმა გაწიწმატებამ კარგ ხასიათზე დააყენა კამერის ბინადართა დიდი ნაწილი.

უნდა ითქვას, რომ ეს კაცი ეშმაკს გავდა: იყო კაფანდარა, მეჩხერკბილება, მკერდჩავარდნილი, ყვითელთვალება და ცხვირმონგრეული - ერთი სიტყვით ეშმაკი - ეშმაკუნა. მისი ანთებული სანთლისებრი თვალები მართალია ტემპერატურას არ გამოყოფდნენ, მაგრამ მაინც თითქოს სწვავდნენ ყველაფერს თავიანთი არაჯანსაღი, შიზოფრენიული ცეცხლით. ყველაფერს, თვით ამ კაცის უიერო სახესაც. მას თითქოს დამწვარი ქონდა წარბები, გუგები და ცხვირ-პირი თავისივე თვალების არაჯანმრთელი, შიზოფრენიული ცეცხლით.

მომხდურს გამოჰკითხეს ვინაობა, სადაურობა, ის თუ რა დანაშაულისათვის იყო თავისუფლებააღკვეთილი და გამოუყვეს არაპრესტიჟული ადგილი სადღაც პარაშასთან ახლოს, რადგანაც დაასკვნეს, რომ ეს იყო ასე ვთქვათ "ჩორტ ზაკატაი ვატუ", თანაც ლაპატვენილი, რომელსაც ერთი ვალეტი აშკარად სადღაც დაჰკარგვოდა.

ეს სამი რუსული სიტყვა "ჩორტ ზაკატაი კატუ" პირდაპირი მნიშვნელობით ითარგმნება როგორც "ეშმაკო გადაახვიე ბამბა". ამას სჭირდება განმარტება: საქმე იმაშია, რომ ციხის დაუწერელი წესით, პატიმრები არ არიან თანასწორუფლებიანნი, ისინი იყოფიან მასტებად, ანუ კატეგორიებად. ჩორტები, ესე იგი, ეშმაკები, ითვლებიან დაბალი კატეგორიის ხალხად. ეს ის ხალხია, რომლებსაც ციხეში ავიწროებენ, ატყუებენ, დასცინიან და შეძლებისდაგვარად უწევენ ექსპლუატაციას. რაც შეეხება ბამბის გადახვევას - როგორც ცნობილია კარცერებში, საჯარიმო იზოლატორებსა და ზოგიერთ ციხის ლაზარეთებში მოწევა აკრძალულია. პატიმრებს თამბაქოსა და ასანთის ღერებს ართმევენ, ამიტომ ისინი ასანთის უქონლობისას სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ: მაგალითად უკიდებენ ანთებული ნათურიდან, ან აკეთებენ პატარა მოკლე ჩართვას ელ.გაყვანილობაში. მაგრამ თუ ნათურა მინის პლაფონშია მოქცეული, ხოლო მავთულები საიმედოდაა კედელში იზოლირებული, მაშინ მიმართავენ ცეცხლის მოპოვების ყველაზე უფრო რთულ მეთოდს - ბამბის, ასე ვთქვათ, ახვევა-აკატავებას. ეს მეთოდი ძალიან ჰგავს პირველყოფილი ადამიანების მეთოდს: ლეიბიდან ან ბალიშიდან იღებენ ცოტაოდენ ბამბას, ახვევენ მას ოდნავ, დებენ მაგიდის გლუვ ზედაპირზე და ფიცრით, ფანერით, ჭადრაკის დაფით ან წიგნით, ასე ვთქვათ, გააკატავებენ, დაახლოებით ისე, როგორც ლითონის მილების დამზადებისას. ამ მარტივი პროცესის სიტყვით აღწერა ძნელია თუ ნანახი არა აქვს კაცს. ცეცხლი ბამბას არ ეკიდება პირველივე ცდისთანავე. ეს მომქანცველი საქმეა და საჭიროებს სიმარჯვეს, მოთმინებას და გამოცდილებას. ბამბის ახვევა-აკატავებას ავალებენ ეგრეთ წოდებულ ჩორტებს, უფრო სწორად კი ჩორტებს შორის ყველაზე უფრო დაბეჩავებულებს და დამყოლებს, იმათ, ვინც, როგორც წესი, გვის და ალაგებს საკანს, გააქვს ნაგავი და აგროვებს წყალს, ეფარება გლაზოკს, როდესაც სხვები თამაშობენ კარტს, ან



აკეთებენ რაიმე ისეთს, რაც არ უნდა დაინახოს დერეფანში მყოფმა ზედამხედველმა. თვით ეს ფრაზა "ჩორტ ზაკატაი ვატუ" ალბათ ცოცხალი ფრაზაა, ანუ ის ცხოვრებიდან უნდა იყოს აღებული. წარმოვიდგინოთ შინაგან საქმეთა სამინისტროზე დაქვემდებარებული პატარა საავადმყოფო, მაგალითად ფსიქიატრიული, ცივი პალატა რამდენიმე უბედურით მასში, რომლებსაც არაფერი არ აცვიათ, საავადმყოფოს თეთრი საცვლების გარდა, რომლებიც შეყუჟულან სიფრიფანა საბნების ქვეშ და თვითონაც უზომოდ დაბეჩავებულები, დღეში ხუთჯერ მაინც დამცინავად და აბუჩად აგდებით ითხოვენ-მოითხოვენ-ბრძანებენ - "ჩორტ ზაკატაი ვატუ!" - "ჩორტი" კი - ერთი ვიღაც საწყალი, შპრიცით უწყალოდ საჯდომდაჩხვლეტილი, ნახევრადშეშლილი ავადმყოფი, გაცხარებით აკატავებს ბამბას, თან გლაზოკისკენ იყურება, რომ ზედამხედველმა ან სანიტარმა არ დაინახოს, რადგანაც თუ "დაიწვა", მას ელის სასჯელი - სულფაზინი, ამინაზინი ან ალაპირიდოლი გასამმაგებული დოზით.

ეშმაკუნას პროტესტი არ გამოუთქვამს არაპრესტიჟული ადგილის გამო, ის სადღაც პარაშის სიახლოვეს განთავსდა თავისნაირ ეშმაკებს შორის, მეორე იარუსზე აძვრა და თავისებური ფუსფუსი დაიწყო: ტომრიდან ამოიღო პატარა ქუდი, იქიდანვე ამოიღო რაღაც ფუნჯის მაგვარი და ნახვრეტში, რომელიც ქუდში იყო დატანებული, გაუყარა, შემდეგ ეს ქუდი თავზე დაიხურა და გამოუვიდა რაღაც ანტენის მაგვარი რამ. დაჯდა ასე ლოგინზე და უცნაური ფრაზების ბუტბუტს მოჰყვა. "მორდა, მორდა, კირპიჩი ვარ, გიახლოვდები მორდა!" - ჩასძახოდა ის პირთან მიტანილ ასანთის კოლოფს, - "მორდა, მორდა, გესმის ჩემი, მორდა!".

პატიმრები ალმაცერად გაჰყურებდნენ კიდევ ერთ დამთხვეულს, რომელიც, როგორც თითქმის ყველა დამთხვეული, მაწანწალობის მუხლით იჯდა, ადგილს ტყუილად იკავებდა, სუნთქავდა დეფიციტური ჟანგბადით და იყო კამერისათვის არასასურველი, რადგან არ იყო ის არაფრის კარგის მომტანი, აქედან გამომდინარე, უკვე ავტომატურად ხდებოდა ცუდი.

საკანში მოვლენები თავისი ჩვეული ტემპით ვითარდებოდნენ, ყველა თავისთვის ფუსფუსებდა და დერეფნიდანაც აღარ ისმოდა ჩოჩქოლი. კორპუსის უფროსმა ახლები საკნებში განათავსა, შნირები წაიყვანა და წავიდა. დერეფანში როტვეილერსიფათა პაშა დარჩა მარტო. პერესმენკამდე კიდევ ერთი საათი იყო და ამიტომაც პაშა თავისი საყვარელი გართობით - ნაგვის ყუთით ფეხბურთის თამაშით იყო გართული. ის მთელი ძალით ურტყამდა კაპრონის ურნას წიხლს და ურნაც ჭურვივით დაფრინავდა ცარიელ დერეფანში. ის ეხეთქებოდა კედლებს, საკანთა კარებს, დერეფნის ბოლოში დატანებულ ფანჯრის გისოსებს და გამოსცემდა ერთობ არასასიამოვნო ხმებს. ამას ერთვოდა პაშას ქოშინი და მისი მძიმე, სამხედრო-საველე ფეხსაცმელების ბრახაბრუხი. პაშას ასეთი ქცევა ბევრს აღიზიანებდა, ზოგს ალბათ ჭკუიდან შლიდა, ისინი, განსაკუთრებით ახლები, პროტესტს გამოთქვამდნენ და ზოგჯერ ჩიოდნენ კიდეც, მაგრამ სამწუხაროდ ქვეყნად არ მოიძებნებოდა ისეთი ძალა, რომელიც შესძლებდა დაეოკებინა პაშა ცარიელ დერეფანში, როდესაც სრულიად მარტონი რჩებოდნენ იზოლირებულ სივრცეში ის და ურნა. ამ დროს პაშას აღარაფერი ახსოვდა - მხოლოდ ფეხბურთი.

პაშამ ურნა მოხერხებულ ადგილას დადგა, გარბენი აიღო, მარჯვედ დაარტყა და რომ იტყვიან გოლი გაიტანა, ურნა ფანჯრის გისოსებს დამიზნებულ ადგილში მოხვდა და პაშამაც გამარჯვების ნიშნად ძლევამოსილად გამოსცრა ქარი, ხოლო ამ ყველაფერს თან დაურთო ახლა უკვე ხორხისმიერი - "უ-უ-ხ!"

ეს ყველაფერი ზემოთხსენებული საკნის სიახლოვეს ხდებოდა და რამდენიმე ენაკვიმატმა უკვე დააღო პირი მომხდარ ფაქტთან თავიანთი კომენტარის გასაკეთებლად, მაგრამ მოულოდნელად ახალმა ყველას დაასწრო და თავისი განსხვავებული, სპეციფიური ხმით თამამად და ამავდროს როგორღაც გაუბედავი ლუღლუღით, საკმაოდ ხმამაღლა, იმდენად, რომ გარეთ ზედამხედველისთვის გასაგონი ყოფილიყო - გასძახა:

- შეუბღალავი საჯდომი ასე არ მოჯვავს! - მერე გაიტრუნა, გაიცინა, მოჩვენებითად დასერიოზულდა და დაამატა, - ჰო, ალბათ შებღალულია! - ისევ გაიტრუნა, ისევ ეშმაკურად გაიცინა, ისევ მოჩვენებითად დასერიოზულდა და ისევ დაუმატა - ალბათ კი არა ნამდვილად შებღალულია!

დერეფანი წამით გაირინდა, უფრო სწორად, დერეფანი კი არა ეს პაშა გაირინდა დერეფანში. მას უცნობი ხმა ჩაესმა ყურში. ეს არ იყო მისი ტრადიციული პაექარი, ანუ ის, ვისაც იგი ლანძღავდა და ვისგანაც ღებულობდა ლანძღვას. ეს ვიღაც სხვა იყო - ახალი. პაშა ურნას შეეშვა, საკანს ფეხაკრეფით მიეპარა, გლაზოკის შალითა გადასწია და წარმოთქვა ურცხვი სიტყვები:

- ნუ იჟიმავებ და შენც ასეთი საჯდომი გექნება!

ეშმაკუნამ სახე კამერისაკენ მოაბრუნა და კმაყოფილებით მოჰყვა ხითხითს, მან არაფერი უპასუხა პაშას.

პაშა წავიდა და ფეხბურთის თამაშის გაგრძელება სცადა, მაგრამ არ დასცალდა.

- კი, ნამდვილად შებღალულია! - გაისმა მოპირდაპირე საკნიდან ბოხი, უხეში ხმა, - ვაა-ხა-ხა-ხაა! - ეს სანიოკი იყო პაშას ტრადიციული პაექარი, ზორბა და ტლანქი რეგვენი - ხასიათით დაახლოებით ისეთივე, როგორიც პაშა.

- ნეტავი შენ ვინლა გხმარობს, - გასძახა პაშამ ახლა სანიოკს, - ყველაფერში ბოზი ქალივით რომ ეჩრები?!

- ვაა-ხა-ხა-ხაა!!! - გადაიხარხარა სანიოკმა.

პაშამ ისევ სცადა ფეხბურთის თამაშის გაგრძელება, მაგრამ ამჯერადაც არ დასცალდა.

- ვიწიოკ! ვიწიოკ! - გაეხმიანა სანიოკი თავის მეგობარს, რომლის საკანიც, დერეფნის თითქმის მეორე ბოლოში იყო განლაგებული.

- ჰო, რა იყო! - გაეპასუხა თითქოსდა ნამძინარევი ვიწიოკი დერეფნის ბოლოდან.

- ვიწიოკ, შენ როგორ ფიქრობ, შებღალული აქვს პაშკას საჯდომი?!

- ვის, ჩვენ პაშკას?! რას ამბობ, სანიოკ?! - გაეპასუხა ვიწიოკი, - პაშკა რომ ეგეთი იყოს, პოსტზე ვინ დააყენებდა!

- რა ვიცი აბა, იქნებ პარტიამ უპატაკა! - არ დაეთანხმა სანიოკი.

- ხო, ეგ შესაძლებელია, შეიძლება მართლა უპატაკა, ან შეუპატაკა! - დაეთანხმა ვიწიოკი, - ამბობენ, ჟანდარმერიაში ახლა ნახმარებსაც ღებულობენო!

- აბა, ენები ჩაიგდეთ ძაღლიშვილებო, - აყვირდა პაშა, - ჩემზე რაც გინდათ, ის თქვით, პარტიას და ჟანდარმერიას კი თავი დაანებეთ!

- ერთი უყურე, უყურე როგორ ალაპარაკდა მლიქვნელი, ალბათ მართლაც შებღალულია და ახლა ცდილობს ხელმძღვანელობის გული მოიგოს პოპულისტური განცხადებებით! ალბათ პოპულისტია!

- პოპულისტი კი არა, პიდარასტია!

- გაჩუმდით ქათმებო, თქვენი კაკანი არ გავიგონო!

- ისე, - არ ცხრებოდა სანიოკი, - შენ მაინც რა აზრისა ხარ ვიწიოკ, ნახმარია თუ არა ეს ჩვენი პაშა?!

- რა ვიცი, აბა სანიოკ, ხმაზე მიჭირს მაგის განსაზღვრა, ხოლო სუნს ჩემამდე ჯერ არ მოუღწევია, აი ცოტახანში სუნი რომ მოვა, მერე გეტყვი ზუსტ პასუხს!

ცოტა ხანში მზად იყო ზუსტი პასუხი:

- კი, ნახმარია! შეუბღალავ საჯდომს ასეთი სუნი არ ექნება.

- თან მავნე გაზებთან ერთად ტუბერკულიოზის ჩხირებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ავრცელებს! - ჩაერთო ამჯერად ლანძღვა-თათხვაში ეშმაკუნა, - ალბათ კავერნა აქვს!

- ვაა-ხა-ხა-ხა! - გაისმა სანიოკის როხროხა სიცილი.

- ვუუ-ხა-ხა-ხაა! - გაიცინა პაშამაც და ხალისიანად დაურტყა თერთმეტმეტრიანი პენალტი ურნით. - დღეს დილით მე ორი იხვი შევჭამე ბიჭებო!!!

- ხოო, აბა თუ ორი იხვი შეჭამე, მაშინ გეპატიება პაშკო! - კეთილგანწყობით დაუყვავა პაშას სანიოკმა, - ჩვენ კი სულ სხვა რამ გვეგონა! შენ რას იტყვი ზემლიაკ, გესმის ახალო!

ეს მიმართვა უკვე ეშმაკუნას ეკუთვნოდა. ეშმაკუნამ ეშმაკურად გაიღიმა და გაეხმიანა:

- რა ვიცი აბა სანიოკ, მე მაინც ცოტათი როგორღაც ეჭვი მეპარება, ხომ იცი, ახალი კაცი ვარ, ამიტომ ერთხელ კიდევ რომ ექნა მოქალაქე ზედამხედველს, მაშინ ალბათ განვსაზღვრავდი, ახლა კი მიჭირს ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა.

- მერე ვთხოვოთ უფროსს და კიდევ ერთხელ იზამს, - დაიროხროხა სანიოკმა, - პან პაშკო, აბა ერთი კიდევ ბუთქე პუბლიკის ხათრით!

პაშამ ეჭვების გასაქარწყლებლად ერთხელ კიდევ ბუთქა პუბლიკის ხათრით, რითაც არათუ მხოლოდ თავისი სიტყვიერი პაექრები, არამედ მთელი სართული გაამხიარულა.

- ო-ო-ო-ო, აი ეს მესმის, ვაა-ხა-ხა-ხა-ხაა, კარუზო ხარ პაშკო! ნამდვილი კარუზო! - შეაქო სანიოკმა ზედამხედველი და უწოდა მას კარუზო (ალბათ კეთილხმოვანებისა გამო).

ასე გავიდა დარჩენილი დროც და მოუსვენარი, დებოშიორი პაშა შეცვალა უთქმელმა და აღმასრულებელმა ზედამხედველმა, რომლის ზედმეტი ლაპარაკიც არავის გაეგონა და რომელიც არც სხვებს აძლევდა ლაზღანდარობის ნებას. ის კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობებს და არასოდეს აკუებდა პოსტზე.

ახალმოსულმა ისევ ჩაყო თავის ტომარაში ხელი, ისევ რაღაცა ამოიღო იქიდან, ისევ რაღაც შეინახა და ალბათ კიდევ დიდხანს გააგრძელებდა ფუსფუსს, მაგრამ ამჯერად ის ყურადღების ცენტრში მოექცა, რამეთუ თავისი გამოსვლით საერთო ყურადღება მიიპყრო. მას მოაწევინეს სიგარეტი, აჭამეს პატარა ქონის ნაჭერი შავ პურთან და ნიორთან ერთად და შესთავაზეს ცოტათი უფრო კარგ ადგილზე, კამერის სიღრმეში გადაბარგება, მაგრამ ახალმა უარი თქვა ამაზე.

- მე ეშმაკის მოციქული ვარ, ბიჭებო! - განაცხადა მან. - მეტსახელად ეშმაკუნა მქვია და აქ იმიტომ ვარ, რომ სულები მინდა შევისყიდო! ადამიანთა სულები! სულები ზოგიერთი თქვენთაგანისა!

პატიმრებმა გაკვირვებით შეხედეს მომხდურს - ახედ-დახედეს. აწონ-დაწონეს, უნდობლად შეათვალიერეს და მერე კი დაწვრილებით გამოჰკითხეს ყველაფერი.

- ყველაფერი ადვილად ხდება, ძალიან ადვილად. უმტკივნეულოდ და უპრობლემოდ. თქვენს სულებს შეისყიდის ჯოჯოხეთის წარმომადგენელი, ხოლო სანაცვლოდ მოგეცემათ ის, რაც მოლაპარაკებით იქნება გათვალისწინებული. რა არის აქ გაურკვეველი. აქ ხომ ყველაფერი მარტივია და გასაგები. მე გამოვუძახებ ეშმაკს, ჩვენ ერთად გამოვუძახებთ მას, ის შეარჩევს საჭირო სულებს, მოგირიგდებათ ფასზე და ამის შემდგომ იყავით კარგად. ჯოჯოხეთში შევხვდებით! გინდათ?!

- გვინდა!

ბევრს, რა თქმა უნდა, არ უნდოდა და ფიქრადაც არ ჰქონდა სულის გაყიდვა. ზოგს მხოლოდ გაეცინა უცნობის ნათქვამზე, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც მართლაც ჭკუაში დაუჯდათ საკუთარი სულების გაყიდვის იდეა.

- რას გვიზამს ეშმაკი, თუ დავუშვათ, იყიდის ჩვენს სულებს? რამდენს გადაგვიხდის? რამდენ ხანში გადაგვიხდის?

- არ ვიცი! მე არაფერი არ ვიცი! მე მხოლოდ შუამავალი ვარ! - უპასუხა ეშმაკუნამ.

და მხოლოდ ერთი პატიმართაგანი იყურებოდა უტიფრად და აბუჩად აგდებით, ის პერიოდულად აფრქვევდა დამცინავ რეპლიკებს და რატომღაც დაჟინებით უშლიდა ხელს ეშმაკუნას.

ეშმაკუნამ მას გამჭოლი მზერა მიაპყრო რამდენჯერმე, მაგრამ არაფერი არ უთქვამს მისთვის.

- ღამის ორზე გამაღვიძეთ და თუკი მართლაც ვინმეს სურვილი გაქვთ სულის გაყიდვისა, ამაში დაგეხმარებით. მე გამოვუძახებ ეშმაკს. - ამ სიტყვებზე ეშმაკუნამ სიფრიფანა ბალიშის ქვეშ თავისი პატარა ტომარა ამოიდო, დაწვა, გადაბრუნდა და დაიძინა.

კამერის ბინადართა შორის მაინცდამაინც დიდი მითქმამოთქმა არ გამოუწვევია ახალმოსულის უცნაურ სიტყვებს, რადგანაც ციხეში ათას დამთხვეულს შეხვდებით და ყველას თუ ყურადღება მიაქციე, თავად გახდები დამთხვეული.

კამერა თავისი ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობდა - მიდიოდა თამაში, ჩაის მოხარშვა და ბაზარ-ვაგზალი. ერთადერთი უმნიშვნელო ინციდენტი, თუ ეს ინციდენტად შეიძლება ჩაითვალოს, იყო ის, რომ ერთ-ერთ პატიმარს, სწორედ იმას, რომელიც შეეცადა დაეცინა ეშმაკუნასთვის, რატომღაც ასტკივდა მარცხენა კვერცხი. პირველი არასასიამოვნო შეგრძნება მას თავიდან კარტის თამაშის დროს დაეუფლა, ეს შეგრძნება არ იყო ტკივილი, იმდენად უმნიშვნელო იყო იგი, მაგრამ მალე ეს შეგრძნება ტკივილში გადაიზარდა. თანაც ისეთ აუტანელში, რომ კაცი იძულებული გახდა, თამაში შეეწყვიტა და ნარაზე დაწოლილიყო. ცოტა ხანში მას კვერცხი საგრძნობლად დაუსივდა და მალე ის უკვე ყმუოდა ტკივილისაგან. ამის შემხედვარე პატიმრებმა კარზე დააბრახუნეს, რათა ზედამხედველს ფერშალი გამოეძახა. კანონის აღმასრულებელმა ზედამხედველმა უპრობლემოდ გამოუძახა ციხის ფერშალს. ფერშალი მოვიდა. ავადმყოფი დერეფანში გაიყვანეს. ფერშალმა შეათვალიერა მისი დასიებული, ერთიორსამად გადიდებული კვერცხი. ჩაიწერა გვარი. გაუკეთა ტკივილგამაყუჩებელი ნემსი - ანალგინი თუ რაღაც ამდაგვარი სიაფანდობა (რომელმაც აბსოლუტურად არ უშველა ტკივილს) და დაპირდა დილით გამოძახებას ექიმ დერმატოლოგთან. თუ კიდევ ვიღაც "ოლოგთან", ერთი სიტყვით, იმასთან, ვინც კვერცხებს მკურნალობს. შემდგომ ამისა, ავადმყოფი უკან დააბრუნეს საკანში, ის ბორძიკით მილასლასდა ნარასთან, დაწვა და დილამდე კვნესოდა.

დაახლოებით ღამის ორ საათზე გაიღვიძა ეშმაკუნამ. მან თავისი ბებერი, სოკოსავით ჩამოღვენთილი სიფათი პარაშაზე დამონტაჟებულ ონკანთან კატასავით მოიბანა და მეორე იარუსზე აძვრა.

- რა ვქნათ ძმებო, - დაიძახა მან ხმამაღლა და შემოჰკრა ტაში. - გამოვუძახოთ ეშმაკს თუ არა?!

- გამოვუძახოთ! გამოვუძახოთ! - გაისმა შეძახილები აქეთ-იქიდან. - გამოუძახე მაგის დედაც!

- საქმე იმაშია, რომ - დაიწყო ეშმაკუნამ, - ეს არაა ადვილი საქმე. მე თქვენი დახმარება დამჭირდება. ჩვენ ყველამ ენრთად უნდა დავუძახოთ ეშმაკს, წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი გამოვა.

- მერედა როგორ?! მერედა როგორ?! - ყვიროდნენ პატიმრები?

- როგორ და, ჯერ ერთი, ყველამ უნდა მოიხსნათ ჯვრები, ვისაც კი გიკეთიათ! შემდგომ ამისა, ჩვენ ყველანი დავწვებით ნარებზე და ჩუმად, ჩვენს გონებაში გამოვუძახებთ ეშმაკს! ვთხოვთ მას მობრძანებას! გაწყობთ?!

- გვაწყობს! გვაწყობს!

მართლაც მოიქცნენ ისე, როგორც თქვა ეშმაკუნამ - ყველამ, ვისაც კი ჯვრები ეკეთათ, მოიხსნეს და ნარებზე დაწვნენ, მხოლოდ ერთადერთი პატიმარი დარჩა ჯვრიანი. მას ამ დროს ეძინა და მისი ჯვარი უბრალოდ არავის გახსენებია. საკანში ახლა სიჩუმეს მხოლოდ კვერცხდასიებულის კვნესალა არღვევდა. ყველამ საკუთარ გონებაში დაუწყო ეშმაკს გამოძახება. მოულოდნელად მძინარე, სწორედ ის, რომელსაც კისერზე ჯვარი ეკიდა, ძილში აბორგდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაფს, რომელზედააც ჯვარი ეკიდა, ხელი წაატანა და ჩამოგლეჯვა სცადა. კაპრონის მაგარი ძაფი არ დაემორჩილა მას, კისერი ატკინა და გამოაღვიძა.

– რა ხდება?! – იკითხა მან ნამძინარევმა და შეშფოთებულმა.

თანაკამერელებმა აუხსნეს მას, რაც ხდებოდა და მანაც, ისევე როგორც სხვებმა, ჯვარი მოიხსნა და ხალისით შეუდგა ეშმაკის გამოძახებას. ახლა უკვე კვერცხდასიებულის ხმადაბალი გმინვალა არღვევდა გამეფებულ ავისმომასწავებელ სიჩუმეს. ავისმომასწავებელს, რადგანაც დაისადგურა რაღაცნაირმა შიშმა. თუმცა საკანში 28 ადამიანი იყო და ენთო დიდი, 250-ვატიანი ნათურა, იქ მყოფებმა თავები რატომღაც მარტოდ იგრძნეს და არცერთ მათგანს აღარ ჰქონდა ვინმეს იმედი. ისინიც კი, რომლებიც უფრო სეირის საყურებლად დათანხმდნენ ეშმაკის გამოძახების რიტუალში მონაწილეობის მიღებას, ახლა დასერიოზულდნენ და ცოტათი შეშინდნენ.

მალე კვერცხდასიებულმა ბორგვას უმატა და საშინლად აყვირდა. მას კვერცხი იმდენად დაუსივდა, რომ უკვე შარვლის ტოტშიც აღარ ეტეოდა. ბოლოს უეცრად ჩაჩუმდა, ტკივილისაგან გონი დაკარგა. დერეფანში კი ამასობაში გაისმა სართულის კარზე დამონტაჟებული ელექტროსაკეტის ნერვიული, მომთხოვნი ჩხაკუნი, კარი გაიღო და დერეფანში ვიღაც შემოვიდა. შემდეგ პატიმრებმა გაიგონეს ტლანქი, რკინით შეჭედილი ჩექმების ბრახუნი, რომელიც მოახლოვდა და ზედ საკნის ზღურბლთან შეწყდა. ვიღაცის უხეშმა ხელმა გლაზოკის შალითა გადასწია. მერე ისევ გადმოსწია. გაისმა კარმუშკის კლიტის ჯაჯგური და მალე კარმუშკა ბრახუნით გაიღო, ხოლო გაღებულ კარმუშკაში სრულიად უცხო ზედამხედველის ჯერარნახული სახე გამოიკვეთა.

– რა გაღრიალებთ!!! – დაიღრიალა მან, – რას ყვირიხართ?! თქვენ რა დღე და ღამე არ იცით?! მთელ ციხეს ესმის თქვენი ღრიალი!!!

ყველანი დაიბნენ, რადგანაც არ მოელოდნენ ამგვარ საყვედურს უფროსისაგან. პირიქით, საკანი ხომ ისე დუმდა, როგორც არასდროს.

– ჩვენ არ გვიყვირია უფროსო! – წაილუღლუღა ვიღაცამ გაუბედავად.

– რაო, არ გიყვირიათ?! – კოპი კიდევ უფრო შეიკრა უფროსმა, – მთელ ციხეს ესმის თქვენი ღრიალი! კარზე რაღას აბრახუნებდით?! წიხლებს ურტყამდით კარს?! აბა, მაშ გამოვიძახებ ახლა მე ბუცკამანდას და გიჩვენებთ, თუ როგორ უნდა წიხლების რტყმა!!!

ამგვარი პერსპექტივა კარგს არაფერს უქადდა საკანს. ეგრეთწოდებული ბუცკამანდა, იყო სპეციალური, დაახლოებით 15-კაციანი რაზმი, რომელიც შედგებოდა ჯანმაგარი და უხეში ახალგაზრდა ჟანდარმებისაგან, რომელთაც ადვილად შეეძლოთ იმ გაკვეთილის ჩატარება, რომლის შესახებაც ნიშნისმოგებით ლაპარაკობდა გაბრაზებული ზედამხედველი.

– უფროსო, უფროსო, – შემრიგებლური კუდის ქიცინით მიეახლა ზედამხედველს ეშმაკუნა, – უფროსო, ნუ გაგვიჯავრდები, ჩვენ გვინდოდა... – და ამ სიტყვებზე ეშმაკუნა უკვე ჩურჩულზე გადავიდა.

კამერის ბინადართ აღარ ესმოდათ, თუ რაზე საუბრობდნენ მოსაუბრენი.

ცოტა ხნის შემდეგ ეშმაკუნა საკანს მოუტრიალდა და დაიძახა:

– აბა, გამოდით სულის გამყიდველებო!!!

ნარებიდან ნელ-ნელა ერთმანეთის მიყოლებით წამოდგა რამდენიმე პატიმარი. ისინი გაუბედავად წარდგნენ ჯერ არნახული ზედამხედველის წინაშე. ზედამხედველმა მათ გამჭრიახი მზერა მიაპყრო, ეს მზერა ერთ-ერთ მათგანზე შეაჩერა და მერე ისევ ეშმაკუნას მოუხმო. ცოტაოდენი ჩურჩულის შემდეგ ეშმაკუნა კარმუშკას მოსცილდა, შერჩეულ პატიმარს მიეახლა ცუნცულით და ხმადაბალი, ალტაცებული ჭყლოპინით შეეკითხა:

– რას ითხოვ სანაცვლოდ უფროსისაგან?!

– თავისუფლებას! – იყო ხმამაღალი პასუხი.

– თავისუფლებას! თავისუფლებას! თავისუფლებას! – ჭყლოპინით გაცუნცულდა ეშმაკუნა ეშმაკისაკენ. – თავისუფლებას! – ჩაუღლურტულა მან მბრძანებელს ყურში. თუმცა ამ უკანასკნელმა ისედაც მშვენივრად გაიგონა პატიმრის ნათქვამი. ზედამხედველმა, თავისი მძლავრი ტორით თავიდან მოიშორა აბეზარი ეშმაკუნა და "თავისუფლებისმოყვარე" პატიმარს ერთხელ კიდევ მიაპყრო გამჭრიახი მზერა. ამის შემდეგ მოუხმო ეშმაკუნას და ერთხანს კიდევ ეჩურჩულებოდა მას. მერე კარმუშკა ჩაკეტა და წავიდა.

ეშმაკუნა ცუნცულით მიეახლა ახლადსულგაყიდულ პატიმარს, ხელი მოწიწებით ჩამოართვა, აღტაცებით ჩახედა თვალებში და გულწრფელი, არამოჩვენებითი სიხარულით სხაპასხუპით ახარა:

– შენ მიიღებ თავისუფლებას! ჯოჯოხეთში შევხვდებით! გილოცავ!

– ჩვენ, ჩვენ, ჩვენზე რაღა თქვა! – აჩოჩქოლდნენ სულის გაყიდვის დანარჩენი მსურველები.

– თქვენი სულების ყიდვა მან არ ისურვა, რადგანაც თქვა, რომ ისინი ისედაც მას ეკუთვნიან.

– როგორ?! საიდან?! – აყვირდნენ პატიმრები, – ჩვენ არასოდეს გაგვიყიდია ჩვენი სულები!

– მე არაფერი ვიცი! – ხელები დაიბანა ეშმაკუნამ.

– მოვიდეს, დაგველაპარაკოს! – ყვიროდნენ გაგულისებული პატიმრები, – აბა ერთი გვითხრას, თუ როდის მივყიდეთ ჩვენ მაგას სულები! უუხ, მაგის დედა!

– ცოტა იაფად მაინც აელო! ერთი-ორი პაჩკა ჩაი და სიგარეტი მაინც მოეცა! – ყვიროდა ერთი გაგულისებული მოხუცი, რომელიც განსაკუთრებით აქტიურობდა. – უფროსო! უფროსო! სტარშოი! – გაჰყვიროდა ის, – გესმის, არ წახვიდე! მოდი რა, მოდი! ერთი-ორი კოლოფი ჩაი და სიგარეტი მაინც მოგვეცი, ხომ ხედავ, არაფერი არ გვაქვს! მოდი რა, მოდი, იაფად მოგცემთ სულებს!

ზედამხედველი მართლაც მობრუნდა, კარმუშკა ხელმეორედ გააღო და დამცინავი მედიდურობით ზევიდან ქვევით დახედა მოხუცი პატიმრის ნაცრისფერ სახეს.

– რა გაყვირებს ბებერო? – ჰკითხა მას.

– უფროსო, – მუდარით მიმართა მოხუცმა ზედამხედველს, – თუ ჩემი სული მართლა შენ გეკუთვნის, მაშინ ერთი-ორი პაჩკა ჩაი და სიგარეტი მაინც მაჩუქე, თორემ ლამის არის, ყურები დამისივდეს!

ზედამხედველმა ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და რამდენიმე ღერი სიგარეტი მოხუც პატიმარს ზედ მიაყარა, კარმუშკა კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე საბოლოოდ ჩაკეტა და, რომ იტყვიან, მოუსვლელში წავიდა. მოხუცმა ორი ღერი სიგარეტი ჰაერშივე დაიჭირა, ხოლო ძირსგაფანტული ღერების ასაკრეფად მას ოთხ ფეხზე გართხმა მოუხდა. ასე აგროვებდა დაფანტულ სიგარეტებს ოთხზე გართხმული და იატაკიდან აკრეფილ განძს ყურებსუკან ინახავდა. თან დროდადრო თანაკამერელებს ახედავდა ხოლმე კმაყოფილი, აღტაცებული უკბილო ღიმილით.

მეორე დღე ჩვეულებრივი იყო. ჩვეულებრივ ვითარდებოდნენ მოვლენებიც. ბევრს არ სჯეროდა გუშინდელი ამბისა, უფრო სწორად კი იმისა, რომ ეს უცხო ზედამხედველი მართლაც ეშმაკი იყო, თვლიდნენ, რომ ეს ყველაფერი ჩვეულებრივი დამთხვევა იყო და მეტი არაფერი. სხვათა შორის, კვერცხდასიებულსაც დაუცხრა კვერცხი. ასე იყო საღამომდე, საღამოს კი სმენა შეიცვალა და მორიგედ ისევ როტვეილერსიფათა პაშა დადგა, პერესმენკის დამთავრებიდან დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, კარსმიღმა გამოაცხადეს სულგაყიდული პატიმრის გვარი:

– ნაზრაძე!

– არის ასეთი! – გაეხმიანა სულგაყიდული.

– მოემზადე ნივთებით!



არილი

## ალეკო ცქიტიშვილი

### დაკარგული ადამიანი

თქვი: ყველაფერი კარგადაა,
უბრალოდ - კარგად!
კარგად იპარსავ დილით
პირს და კარგად საუზმობ,
კარგად გადიხარ შინიდან
გარეთ, სადაც კარგებს
დღითიდღე კარგავ და
ყოველ მათგანს
კარგი კაცის მზერა აქვს
მერე, როცა კარგად
აღარ გახსოვს მათი სახელი
და ყველაფერი კარგადაა,
უბრალოდ - კარგად!..
უბრალოდ, კარგი ამინდია
და ლაპარაკობ
ადამიანთან ამ ამინდზე,
როგორც, ვთქვათ, ქალზე:
"რა მშვენიერი ამინდია"...
"დიახ ბატონო, გუშინდელზე
უკეთესი", - გპასუხობს იგი
და მერე დიდხანს კარგად
დუმხართ. როცა მზე ჩავა,
კარგი მთვარე ამოვა, ხოლო
კარგ მთვარეს ისევ
კარგი მზე შეცვლის და
ყველაფერი კარგადაა, უბრალოდ -
კარგად და რა თქმა უნდა,
კარგადა ხარ შენც, ყველაფერში
რაკი ასე ძალიან კარგად
ჩახედული ხარ და ამ
სიკარგის ხვეულებში დაკარგულმა
თქვი: ყველაფერი კარგადაა,
უბრალოდ - კარგად!.. კარგად.

*2000 წ. 18 V*



## ბასა ჯანიკაშვილი

### დამშვიდდი

დამშვიდდი, შენ აღარა ხარ დროში შეზღუდული!
ამიერიდან ჩვენ 4-მეგაბაიტიანი ოპტიკური სიყვარულის ხაზი გვაკავშირებს.
საფოსტო ყუთებში ერთმანეთს სიტყვებს ჩაუყრით
სიტყვებს, რომელსაც ცრემლი ვერ წაშლის,
სიტყვებს, რომელსაც სანთელი ვერ დაწვავს.
დამშვიდდი, შენ აღარა ხარ დროში შეზღუდული!
ამიერიდან ინტერნეტ-საშვი იმ კიბეს დაემსგავსება
ღია სარკმელთან მიდგმული მიჯნურს რომ ელის
მიჯნურს, ათასი სევდის მილს რომ ფარავდა
ერთი სიყვარულის წამისთვის.
დამშვიდდი, შენ აღარა ხარ დროში შეზღუდული!
ინტერნეტში გაბმულნი ხელი ხელს ჩავკიდებთ და ვიმოგზაურებთ
საიტიდან საიტში.
საიტში, სადაც ყოველთვის გელიან,
საიტში, სადაც ყველაფერს იყიდი შთაბეჭდილებების გარდა.
ამიტომ დამშვიდდი!
რადგან ყოველ საღამოს მონიტორზე მოგიკაკუნებ და გეტყვი, რომ
აღარა ხარ დროში შეზღუდული.

## ზურაბ რთველიაშვილი

* * *

მითხარი, როგორ არ მოგწონვარ? მე ვშიშობ შენთვის!
შენთვის მოვუშვებ მეჩხერ წვერებს საკადრის ღამით,
შენთვის ვიკისრებ მძიმე ღიპის ტარებას ჩუმად,
შენთვის ოქროს ჯაჭვს დავიკიდებ კისერზე ნელა.

მითხარი, როგორ მივიწებო შენი სხეული?
როგორ ავაწყო შესაფერი შენთვის სიმღერა?
მითხარი, სად გყავს ვაგინიდან გამოქცეული
პატარა კაცი, რომ ჰკიოდა ცოტა ხნის უკან.

მითხარი, თითქოს მე ვიყავი გიჟი მეხანძრე,
რომ საალლუმო ორგიების ვაქრობდი კოცნებს.
მითხარი მაშინ, რატომ ზვერავ ფრთხილად აქ ანძას,
მითხარი, რისთვის არ უკითხავ მას ღამის ლოცვებს...

## ნანა ბუხსიანიძე



* * *

ყველა წვეთი უკანასკნელია,
ყველა ბგერა - ჩაწყვეტილი სიმი,
ყველა ბილიკი ნაფეხურით წაშლილი -
გამომავალი ჩემგან, როგორც გეომეტრიული სხივი.
ლამაზია წამის ქვეყანა...
არჩევანი დაეცა სიცოცხლეს,
როგორც მეტეორი დედამიწას -
ნებისმიერად!
ყველაფერი უკანასკნელად ხდება.
დროში არ არსებობს კვალი.
ვერასოდეს დაბრუნდები უკან.
მოუსვამ ნიჩაბს და ვარსკვლავისკენ აიღებ გეზს.
საით მიდის გზა?
წინ სილამაზეა - წვა უნაშთო
- სად არის სიყვარულის ბილიკი?
ჩემი ტყუილის კედელს ამოფარებული
ვხედავ შენი ტყუილის მიღმა.
ეს შენ ხარ!
ნუ წახვალ! ნუ დამშორდები!..
ადვილია ბრმის ნიღაბი და კარებიც დაკეტილია.
შენ ლამაზი ხარ -
კიდევ ერთი უკანასკნელი წვეთი,

ბედისწერაა ზღვარზე სიარული -
- ხედვა სილამაზის...
თუ მაინც წახვალ,
მიიხედე წარსულისაკენ!..
იქ - აწმყოს ზღვრის მეორე მხარეს,
ჩვენი ბილიკები იკვეთება ცისფერ ვარსკვლავზე...
დღეს მივატოვებ შენს გზას,
შეხედე ვარსკვლავებს ჩემს შუბლზე
და თქვი, რომ ლამაზი ვარ -
- რადგან ჩემთვის
ყველა წვეთი უკანასკნელია,
ყველა ბგერა - ჩაწყვეტილი სიმი,
და ყველა ბილიკი ჩემგან გავლილი არის
გამოცანა - ნაფეხურით წაშლილი
სიტყვებით გაჩუმებული,
ღიმილით დატირებული,
დაფარულით გამხელილი...
თქვი, რომ ლამაზი ვარ, რადგან ჩემთვის
არჩევანი დაეცა სიყვარულს,
როგორც მეტეორი - დედამიწას
. . . ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ა დ! . .

## ეკა მაჭარაშვილი

* * *

ჩვენსკენ ყველაზე მეტად დაცლილი ძარღვებით თბებიან.
ხუჭავენ თვალებს და ლამბაქზე
ტოვებენ თაფლისფერ წვიმას.
ან ქოლგების მძივებს გუბეების გავლით.
ხუჭავენ თვალებს და ქარგავენ დაკარგულ ქარს,
მიწის სურნელსა და გამხმარ იის კონებს
რომ ისევ ორთქლისფერი მისალმებით გაერთონ,
ხელისგულებზე დამრგვალებული აზრებით.
ცარიელი მაგიდის კუთხეები თავისთავადობენ
მუხლისთავებით გაწელილ დროში.
და სიჩუმეც იწყება კიბეებიდან
მოგონილ ქალაქში.

*2000 წელი, 03.*

არილი



შარშანდელი "არილის" VII ნომერში მქონდა პატივი დამებეჭდა ნარკვევი XIX საუკუნის კავკასიური ომების ერთი ეპიზოდის შესახებ. ამ წერილს ჩავურთე ორიოდ ნაწყვეტიც რუსული იმპერიალიზმის იმდროინდელი თეორეტიკოსის როსტისლავ ფადეევის (1824-83) ნაშრომებიდან.

რ. ფადეევი - მისივე თანამედროვე სახელმწიფო მოღვაწის, ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვის დახასიათებით, "ტალანტით სავსე ლიტერატურული კონდოტიერი სამხედრო უნარების" - თავად მონაწილეობდა კავკასიის დაპყრობაში. 1859 წელს მთავარსარდალ ა. ბარიატინსკის ახლდა და მისივე დავალებით დაწერა გამოკვლევა "კავკასიის ომის 60 წელი". ეს დაინტერესება ოჯახური ხაზითაც მოდიოდა: მამამისი - ანდრეი ფადეევი (1790-1867) იმპერიის თვალსაჩინო მოხელე იყო (წლების მანძილზე სხვადასხვა რეგიონში ებარა უცხოელი მოახალშენეების, მომთაბარე ხალხების ბედი); 1846 წელს იგი მეფის ნაცვალმა მ. ვორონცოვმა მოიწვია კავკასიაში, იყო მთავარმმართებლის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი და სიკვდილამდე განაგებდა ამიერკავკასიის მხარის სახელმწიფო ქონების ექსპედიციას.

ა. ფადეევმა დატოვა XIX ს. პირველი ნახევრის ევროპულ-რუსული მემუარული ბელეტრისტიკის დონეზე დაწერილი ვრცელი "მოგონებანი" (პირველად დაიბეჭდა ისტორიულ ჟურნალში ("რუსკი არხივ", 1891 წ., წიგნად გამოიცა 1897 წელს, ოდესაში). გერმანელი კოლონისტების, რუსი დუხობორების, მოლოკნების, ამიერკავკასიის მკვიდრი ხალხების ყოფასთან ერთად, ამ მოგონებებში ქართველების იმდროინდელი სატკივარიც კარგად ჩანს, ცხადია, როგორც იტყვიან, დამპყრობლის "პრიზმაში გადატეხილი", არც სხვათა გაქირდვას ჩვეული თვალი და ენა აკლია.

დღევანდელობის სულისკვეთებიდან გამომდინარე, ჭაშნიკად ეს ერთი ეპიზოდი შევარჩიე (სათაურიც, პატიებას ვითხოვ, ჩემეულია). ამბავი კასპიის ზღვის სანაპიროდან, ლენქორანიდან იწყება, სადაც ა. ფადეევი თავისი სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს ჩასულა.

ნოდარ ებრალიძე

## ანდრეი ფადეევი

# ვახტანგ არშაკუნის ბროლის სასახლე

...აქაური თევზის სარეწების მოურავმა არშაკუნიმ თავისი მოღვაწეობის საბრძანისში უსაშველო გულუხვობით გვიმასპინძლა, რაც ჩვეული რამ არის ყველა მოიჯარადრისათვის, როცა მათ რაღაც უფროსობა ან ვინმე გავლენიანი პირი ეწვევა ხოლმე. განსაკუთრებით მაინც ჭამა-სმაზე დაიხარჯა. შამპანური ნამდვილი ნიაგარის ჩანჩქერივით მოჩქეფდა, თითქოს კასპიის ზღვის უძირო მორევიდან ამოჰქონდათო. საკუთრივ და პირადად ჩემს მონაწილეობას ამ ფესტივალზე მოკრძალებულსაც ვერ დავარქმევდით, მაგრამ ის მოხელეები, მე რომ მახლდნენ, - ახალგაზრდა, ჯანსაღი ვაჟკაცები, გულიან ქეიფს არ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერიდნენ, გემოზე მოულხინეს და ეს კარგად დააჩნდათ მეორე დილით, როცა საქმის კეთებას უნდა შესდგომოდნენ. იმხანად სულაც არ ვფიქრობდი, რომ მოიჯარადრე არშაკუნი ის კაცია, ვინც საზოგადოებრივი თვალსაზრისით ვინმეს დააინტერესებს, ანდა მიეთ-მოეთის და განსჯის საგნად იქცევამეთქი. თევზი დაიჭიროს და ივაჭროსო - მეტი ვის რა უნდა მოეთხოვა. მაგრამ, რამდენიმე წელი რომ გამოხდა, მასზე ალაპარაკდნენ და გაოცდნენ კიდეც იმ გარემოების გამო, რის აღნიშვნასაც საჭიროდ ვრაცხ, რადგანაც ესე ამბავი მისი სოლიდური ასაკისა და სამეწარმეო ასპარეზის კაცისთვის დიდ უცნაურობად მიმაჩნია.

არშაკუნი ვახტანგ ბულდანისი - როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად, ერთი არცთუ დიდი გაქანების სომეხი ვაჭრუკანას ტიპი, ერთთავად მოხვეჭის მსწრაფველი, ავთვალი, უხეშად აზიური ყაიდის კაცი, პიროვნულად არაფრით გახლდათ საინტერესო, მით უმეტეს, სიმპათიური; მოხსენიების ღირსიც არ გახდებოდა, თუ რომ მალე არ გამოევლინებინა ისეთი მისწრაფება, რაც სრულიად არ ეთანხმებოდა მის ბუნებას და მის არსებაში უცნაურ ფსიქიკურ მოვლენად წარმოჩნდა. წარმომავლობით მდაბიო იყო, ჩარჩის თუ მედუქნის ვაჟი; თვითონაც დასაწყისში ამ ხელობას ადგა, როდესაც მდიდარი ტფილისელი კომერსანტის მირზოევის წვრილფეხა მოსამსახურეთა მარაქაში მოხვდა; მერე ამ კაცის ნდობა მოიპოვა, ნოქრობას მიაღწია, რწმუნებულადაც გაუხდა და მრავალი წლის მანძილზე იმდენი ქონება დააგროვა, რომ თავკაცად ჩაუჯდა კომპანიას, რომელმაც იჯარით აიღო თევზის სარეწები, და ამ საქმეს თავგზიანადაც გაუძლვა. მართლაც კარგადააწყო ყველაფერი, და მაინც, ჯერ თავო და თავოო, თავისი კაპიტალიც მილიონამდე გაზარდა. ეს ხომ ჩვეული ცხოვრებისეული ამბავია. მაგრამ მან სრულიად უჩვეულო რამ ჩაიფიქრა. ამ კომერსანტი კაცის გულში, რომელიც თითქოს ანგარიშებში, საქონლისა და ფულის ტრიალში, მომგებლობაში იყო დანთქმული, თურმე ინასკვებოდა, მთელ მის არსებაში ღრმად იდგამდა ფესვს ერთი იდუმალი ხვაშიადი. ეს იყო ნატვრა ზღაპრული სახლისა, რომელსაც მთელი ამიერკავკასია უნდა განეცვიფრებინა. ეგებ ჯერ კიდევ ბალღობაში, როცა ქუჩებსა და ბაზრებში დატანტალებდა, ანდა ხელის ბიჭად ჰყავდათ დუქნებსა და სახაბაზოებში, მოხეტიალე საზანდრების სიმღერებმა და მეზღაპრეების მონაყოლმა გაუხედნეს ყური იმ საარაკო სასახლეების, ზღაპრული პალატების აღწერით, რომელთაც ბროლის კედლები, სარკეებიანი ჭერი ჰქონდათ, მარგალიტის შადრევნები ამოსქჩეფდათ და მოგიზგიზე აღმოსავლური ფანტაზიით ნაშობ ათასი ჯურის სამკაულებს დაეხუნძლათ; ჰოდა ეს გაგონილი ღრმად ჩაჰბეჭდოდა წარმოსახვაში. შესაძლოა, ეს სწრაფვა სხვა წყაროდანაც ჩაესახა, მაგრამ ეს კია, რომ ზღაპრული სახლი მყარად ჩასჯდომოდა ტვინში, ათეული წლობით მკვიდრდებოდა მის არსებაში და მთელი მონაგარი და ნაშოვარი ამ ოცნების ასახდენად იყო გამიზნული.

ამ სახლში აუცილებლად უნდა გამართულიყო უძვირფასესი ორი დარბაზი - ეს უნდა ყოფილიყო მისი ლაზათი და თვალი. დიახ, ორი დარბაზი - სარკისა და ბროლისა, "ზერკალნი" და "ხრუსტალნი" - როგორც თავად ამბობდა არშაკუნი; შემდეგ კი, მთელი ნაგებობის დამთავრებისას, იგი ოცნებობდა, რომ ჭერის დალოცვა უჩვეულო მეჯლისით გადაეხადა. მეჯლისი სახლივით ზღაპრული უნდა ყოფილიყო. აქ მისი ოცნებანი ზღვარს აღწევდნენ და ამ მიჯნას აღარ გადადიოდნენ. აქ იყო მათი აღვსებისა და დაშრეტის ნიშანსვეტი. ჰოდა, როცა თავისი გაანგარიშებით, განზრახული მიზნის მისაღწევად საკმაო ფული დააგროვა, იგი შეუდგა კიდეც ამ ოცნების აღსრულებას. ტფილისში კომენდანტის ქუჩაზე(1), ჩემი ბინის შორიახლოს, იყიდა დიდი ადგილი და შენობის გეგმის შედგენას შეუდგა. თვითონ ამ საქმისა არა გაეგებოდა-რა. როგორც მიმიხვდებით, ყველა არქიტექტორი, მოიჯარადრე, ვინც კი ამ ამბავში ჩაება, იმას ცდილობდა, რომ მეტი ფული აერთმია, და მიჰქონდათ კიდეც. მშენებლობა დაიწყო და რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. ყოველი მხრიდან, სპარსეთიდანაც კი, იწვევდნენ ოსტატებს, მხატვრებს, მეჩუქურთმეებს, მომვარაყებლებს გარე და შიდა სამუშაოებისათვის; ევროპიდან და აზიიდან იწერდნენ ავეჯს, ხალიჩებს, ათასნაირ ზიზილ-პიპილებს; ამათში რიგიანი საქონელიც ერია, უმეტესობა კი ხარახურა იყო და ნაღდ ფასზე ბევრად ძვირად აჩეჩებდნენ. მათს ჩამოსატანად არშაკუნის თავისივე ნოქრები დაუდიოდა. ამასობაში კი თანდათან შენდებოდა და ბოლოს და ბოლოს აღიმართა კიდეც უცნაური ვრცელი ნაგებობა, რომელსაც სხვადასხვა მინაშენები, სამშვენისები, კოშკურები, დაჭრელებული ცხაურები და ჩარჩოები ამკობდნენ. შიდა ნაწილი გარეთა მხარეზე უფრო დახვლანჯულად იყო გამართული. აი იქ განსაკუთრებული ფარეზობით იგებოდა ბროლისა და სარკის დარბაზები, რომელთა ჭერსა და კედლებს მოზაიკური, სარკისა და ფერადი მინის არაბესკები ჰქონდა დაყოლებული; უამრავი ოთახი მოკაზმეს, ყველა თავისებურად და სხვადასხვა გემოვნებით, უფრო სწორად - უგემოვნებოდ. დიდებულ ბუფეტს ფართო დახლი მიუყვებოდა, კედლებში ჭურჭლეულისა და ვერცხლეულის უზარმაზარი განჯინები დაეყოლებინათ; ერთ ოთახში მარმარილოს აუზი გაემართათ, რომლის ფსკერიდან აღიმართებოდა მჭახედ შეფერილი ან მომინანქრებული ლითონის ფოთლებისა და

ყვავილების დიდი თაიგული. მათი ბუტკოებიდან კი წვრილ-წვრილი შადრევნები უნდა ამოფრქვეულიყო, რაც, ალბათ, მეტად ეფექტური იქნებოდა. მოკლედ, სანახავი არ ილეოდა. და რახან არშაკუნის ამეების არაფერი გაეგებოდა, და იცოდა კიდეც, არაფერი გამეგებაო, ყველას ეთათბირებოდა და ყველანაირ რჩევა-დარიგებას ყურად იღებდა, ყველაფერსაც მრავალგზის ხელახლა მართავდა და აკეთებდა. ფული არ ენანებოდა, თავისი ქისებიდან ოქროს ჩეჩქივით აპნევდა. მაგალითად, ერთი ოთახი ბიბლიოთეკად გაიკეთა, ვიღაცამ კი უთხრა: "რად გინდა ბიბლიოთეკა? არა სჯობია, საყონაღე მოიწყოთ? (მეგობრული მასლაათისთვისო). ბიბლიოთეკა მაშინვე დაივიწყეს, დაალაგეს ტახტები, გაშალეს ნოხები, მიმოფანტეს ნაქარგი ყურთბალიშები და საყონაღეც მზად იყო. ახლა სხვა მრჩეველი გამოუჩნდა: "ეგ რად გინდა, ეკლესია არა სჯობია? ასეთი დოვლათიანი სახლი უეკლესიოდ განა შეიძლება!" ჰოდა, მაშინვე უარი თქვეს საყონაღეზე, ჭერი გუმბათად გადააქციეს, ხატები დაასვენეს და ასე გაჩნდა პატარა სომხური საყდარი. მაგრამ ვიღაცას ეკლესია არ დაუჯდა ჭკუაში; აზრი გამოითქვა, საბილიარდე უფრო უპრიანი იქნებოდაო, - და მაშინვე ახალი მეტამორფოზა მოხდა - ეკლესია საბილიარდედ იქცა. ასე ხდებოდა დაუსრულებლივ. მასხარაობამდე მიდიოდა ეს განამაწია. "ბროლის დარბაზის" სარკმლების ამბრაზურებში არშაკუნიმ ალფრესკოდ მთელი ტანით ჩაახატინა პორტრეტები - თავისი საკუთარი, თავისივე მეუღლისა - ხნიერი სომხის ქალისა, თავისი ნაცნობ-მეგობრებისა. აზიელმა მხატვარმა თავისი ტლანქი ფუნჯით მიხატ-მოხატა ჩოხოსანი და სერთუკოსანი ფიგურები, რომელთაც დიდი წითელი ცხვირები ამშვენებდათ(2). არშაკუნი აღფრთოვანებული იყო. მაგრამ ერთმა კეთილისმყოფელმა ურჩია, ფიგურები თეთრად შეაფეთქინე და ყვავილოვანი არაბესკებით შეაცვლევინეო; ესეც უდრტვინველად შესრულდა(3). უგემოვნებას და სიშტერეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდებოდით. დარბაზულ ჭერზე შეკიდული იყო ათასნაირი საგნები: მოოჭვილი ყალიონები, ბრინჯაოს ფიგურები, იქვე კი კუთხეში იდგა სპილენძის ტაშტი და ფეხსაცმლის ჯაგრისი. მოკლედ ყველაფერი უცნაური იყო, და ხალხი გუნდ-გუნდად დადიოდა სასეიროდ.

ყველაზე უცნაური ის იყო, რომ არშაკუნი თავის ზღაპრულ სრას აშენებდა და მრავალწლოვან ნაოფლარს ახარჯავდა მხოლოდ იმისათვის, რათა თავისი იდეალისთვის შეესხა ხორცი. მერე კი თვითონაც არ იცოდა, რას აქნევდა ყველაფერ ამას. არშაკუნის მთელი მიზანი, ამოცანა ის იყო, რომ ეს სახლი აეგო, და მშენებლობის დამთავრების შემდეგ სრულიად ქართლის თვალის დასაყენებლად მეჯლისი გადაეხადა: მოეწვია, თუკი ვინმე დიდკაცობა იყო, ირანელები, რჩეული თავადიშვილები, ქალაქის მამები, გაჩახჩახებულ შუქზე ეჩვენებინა სარკისა და ბროლის დარბაზი, ფანტასტიკურად მორთულ ოთახებში გამავალ ანფილადაზე გაეტარებინა, დამტკბარიყო სტუმრების გაოცებითა და მისადმი აღვლენილი ხოტბით, არნახული მასპინძლობა გაეწია, ღვინოში ჩაეხრჩო. ასეთი ფინალით არშაკუნის გული და გონება თავიანთი მისწრაფების ზენიტს აღწევდნენ და მას აღარაფერი რჩებოდა გარდა იმისა, რომ განცხრომით მისცემოდა სრულ კმაყოფილებას და დაფნის გვირგვინიც შეეშვნია. სახლის შემდგომი ბედი თითქოს აღარც ადარდებდა. რაიმე შემოსავალს სახლი ვერ შემოუტანდა, საპატრონოდ კი დიდი ხარჯი სჭირდებოდა. არშაკუნის შვილები არ ჰყავდა. ამგვარი მემკვიდრეობის ცოლისთვის ან ნათესავებისთვის დატოვება კი გულში არც გაუვლია. თვითონ მას იქ ცხოვრება მაინცდამაინც არ ეხალისებოდა, მიუჩვეველი იყო. ხმები დადიოდა, უნდა, რომ პეტერბურგში ვიღაც დიდებულს აჩუქოსო, ანდა ქალაქს გადასცეს რაიმე საზოგადოებრივი დაწესებულებისთვის მოსახმარადო(4).



მაგრამ რა სასტიკად მოექცა საბრალო არშაკუნის მისივ ბედისწერა! მართლაც რომ საშინლად დასცინა შავმა ბედმა. საქმე ბოლოვდებოდა, უკვე ახლოს დაჩნდა ამდენი ზრუნვისა და შრომის ნავსაყუდელი, უკვე შეიძლებოდა მთელი მშენებლობის დამთავრების ვადის დათქმა. იმის ზუსტი გათვლაც კი აღარ იქნებოდა ძნელი, რამდენი თვის შემდეგ უნდა დაელოცათ ჭერი ზარზეიმით, - და უცებ არშაკუნიმ რაღაც ავადობა შეატყო თავს; თითქოს სატკივარი არ მოსძალებია, მაგრამ რაღაც კი გაუჯდა ჯანში. ტფილისში დიდხანს მკურნალობდა - ვერ გამორჩა; საზღვარგარეთ გაემგზავრა, ცნობილ ევროპელ ექიმებს ეჩვენა და უკეთობა ვერ იგრძნო, ისე დაბრუნდა. სახლისთვის მთელი აღალი საქონელი ჩამოიყოლა. ტფილისელმა ექიმებმა პიატიგორსკი ან ესენტუკი ურჩიეს, და იქიდან კი უარეს სნეულად დაბრუნდა. მისი ავადობა ნათლად და უეჭველობით დადგინდა: ყელის ჭლექი შეჰყროდა. ამასობაში კი სახლი ბოლომდე აშენდა, ყველა კედელყურე საბოლოოდ გაიმართა; ისღა რჩებოდა, რომ მიედგათ ტფილისის ფაბრიკაში შეკვეთილი მარმარილოს კიბე, რომლის მომთავრებას ორი კვირაღა აკლდა, - და მაშინ კი ყველაფერი მომთავრდებოდა და არშაკუნის დაე იმდღესვე გაემართა ნადიმი, თუნდაც სულის ამოხდომის წინ. მაგრამ არშაკუნი სასიკვდილო სარეცელზე იწვა და კიბის მიდგმას ორი დღით გაუსწრო. ასე დამთავრდა ეს თუმც უთაური, მაგრამ მაინც გრანდიოზული წამოწყება. სომხები თავის უბედურ თანამემამულეს დიდი პატივითა და ზარზეიმით ასაფლავებდნენ; დიდძალი სამღვდელოება მოგროვდა. კუბო აღმართულ მკლავებზე მიჰქონდათ; ჭირისუფალი და ახლობლები კუბოს მისდევდნენ და ვისაც მოსმენა არ ეზარებოდა, ყველას მოუთხრობდნენ, რა ტანჯვით დაელია სული მიცვალებულს. მისი სხეული კი არა, სული ეწამებოდაო, კრინტი არ დაუძრავს, არც არავის განდობიაო. და ყოველივე ამას სომხურ-ვაჭრულად განმარტავდნენ: "კაცს თუ ასი მანეთი ფული მაინც აბადია, ვაი, როგორ უჭირს სიკვდილი, მაგას კი ასეთი სახლი რჩებოდა, ამხელა სასახლეს სტოვებდა და, აბა, იფიქრეთ, რამხელა ჯავრიც უნდა გაჰყოლოდა".

## მთარგმნელის შენიშვნები

(1) ასე ერქვა XIX ს-ში ახლანდელი ა. გრიბოედოვის ქუჩას, ოღონდ გარკვეულ პერიოდში ბესიკის, ადრე მამადავითის, ქუჩიდან ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთამდე. ა. ფადეევს თბილისში ჯერ სოლოლაკში უცხოვრია, შემდეგ ვერაზე (ლამის ქალაქგარეთო), სასაფლაოს პირდაპირ (ე.ი. ყოფილი "კიროვის პარკის" წინ) თავად სუმბათაშვილის დიდებულ სახლში. მაგრამ ეს სახლი რუსეთის ხელისუფლებას 3 წლით დაუქირავებია სპარსეთიდან გამოქცეული უფლისწულის (და მისი დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამალის) დასაბინავებლად. როგორც ა. ფადეევი წერს, შემდეგ თავადს პირიც უშალეს (თუ თვითონ მოინდომა ამ ამბით აშენებაო) და სპარსელებსაც ისე აუოხრებიათ მთელ ქალაქში გამორჩეული მისი სახლ-კარი, რომ პატრონი დარდს გადაჰყოლია კიდეც... ფადეევები ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში გადასულან (ზემოთ ნახსენები კომენდანტის ქუჩის კუთხეში). თვით პოეტი ერთი წლის გარდაცვლილი იყო (ა. ჭავჭავაძე 1846 წ. გარდაიცვალა) და სახლი მის ვაჟს დავითს ეკუთვნოდა, რომელმაც მალე, თავის ნათლიმამას, ტფილისელ მოქალაქე შახმურადოვს მიჰყიდაო.

რადგანაც ა. ჭავჭავაძის ბიოგრაფები მისი დაღუპვის სულ ზუსტ სურათს ვერ ხატავენ, მომიტევეთ და ყურადღებას შევაჩერებ ა. ფადეევის მონათხრობზე, რომელიც სანდოა დეტალების რეალური აღწერით.

თავადი ალექსანდრე მჯდარა დროშკაზე (სიტყვა "დროშკა" გაქართულებული ვარიანტია რუსული "დროჟკი"-სა). ეს იყო ქალაქში სამგზავრო პატარა ოთხთვალა. მგზავრები უშუალოდ ძარაზე ისხდნენ გვერდულად (ზურგშექცევით) და ფეხები დაბლა ჩამოშვებულ, თვლების ფრთების შემაერთებელ საფეხურზე ჰქონდათ დაყრდნობილი. ...დამფრთხალი ცხენი უცებ ერთ მხარეს რომ გახტა და ხელნები მილრიჯა, დროშკა ცალ მხარეს წამოყირავდაო. აი ამ დროს შეიძლებოდა პოეტის მაზარის კალთა ბორბალს ჩაეხვია, ანდა დაექაჩა. ამის გამო გადმოვარდნილი ა. ჭავჭავაძე ქვაფენილს კი არ დაენარცხა, არამედ შუბლით დასკდომია კუთხეში მდგარ ტროტუარის ტუმბას. თბილისში ქუჩის დასაწყისში, ტროტუარის კიდეებზე ბევრგან იყო ჩასმული ასეთი, ალგეთის ქვისაგან (ბაზალტისგან) გამოთლილი დაბალი სვეტები. ჩემი ქუჩის თავში (ვ.ორბელიანის შეს.) ასეთი ნიში სულ ბოლო ხანებამდე იდგა. როდესაც აშშ-ის საელჩოს წინ (ათონელის ქუჩაზე) კედელი ააგეს და მერე მთელი დასახიჩრებული მიდამო ახლად მოაშანდაკეს, ასფალტით პირი მოსწმინდეს, მაშინ გაქრა; ალბათ მშენებლობის ქვალორლს, ბეტონის ნამუსრევს გააყოლეს.

(2) XIX ს. დამდეგიდან თბილისში მთელი სკოლა შეიქმნა ადგილობრივი პორტრეტისტი მხატვრებისა. ბევრი მათგანის ნამუშევარი საყურადღებოა როგორც ამ ჟანრის განვითარების, ისე ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეალიების თვალსაზრისითაც. ასე რომ, ა. ფადეევის მიერ ათვალწუნებული კედლის მხატვრობა შეიძლება ხელწამოსაკრავი კი არა, სულაც მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენდა.

(3) ვაგლახ, რომ "კედლების შეთეთრება" უკვე დამკვიდრებული იყო საქართველოს ყოფაში, და არა მარტო ვაჭრის ახალმშენებლობაზე, არამედ წარმოუდგენლად უფრო მაღალ სფეროებშიც. აი, რას წერს ზემოხსენებული ა. დონდუკოვ-კორსაკოვი თავის "მოგონებებში": მაშინდელ კორპუსის უფროსთან ჩემი ხანმოკლე სამსახურის დროს (ლაპარაკია გენერალ ალექსანდრე ნეიდგარდტზე, რომელიც ე. გოლოვინის შემდეგ მ. ვორონცოვის მეფის ნაცვლად დანიშვნამდე მართავდა კავკასიის მხარეს (1842-44 წლებში. - ნ.ე.). მივლინებული გახლდით კავკასიაში ახლად დანიშნული საქართველოს ეგზარქოსის, შემდგომში სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტის ისიდორის შესახვედრად. მის მაღალსამღვდელოებას ქ. დუშეთის სადგურზე მივეგებე (ცხადია, იგულისხმება ფოსტის ეტლების პუნქტი - ნ.ე.) და ტფილისამდე მივაცილე. გზად ეგზარქოსი ჩამოხდა საქართველოს უძველესი დედაქალაქის მცხეთის შესანიშნავ ტაძარში. ძალზე სასიამოვნო კაცი გამოდგა და მომხიბლა თავისი უბრალოებით და, რაც მთავარია, იმ გააზრებული ყურადღებით, რასაც ის იჩენდა კავკასიის უძველესი საეკლესიო ძეგლების მიმართ...

იგი ინტერესით ეკიდებოდა თანადროულ მოვლენებს და მე მუდმივად ვუგზავნიდი თავადისგან (ეს უკვე მ. ვორონცოვია - ნ.ე.) მოწვდილ უცხოურ და სხვა ჟურნალებს. ასე მახსოვს 1850-ში, მისი ბორჯომში ყოფნის დროს, ყოველთვის თან ვახლდი, როდესაც ცხენებით გავდიოდით მთებსა და ტყეებში, რომლებიც გარს არტყია ამ ადგილს, და იქ ხშირად მოვიხილავდით იმ ძველ მართლმადიდებლურ ტაძრებს, რომლებიც ესოდენ უხვადაა საქართველოში, ხოლო მათს კედლებზე კი კარგადაა შემონახული ფრესკები. ისიდორს ძლიერ უყვარდა ცხენზე ჯდომა და კარგად გაწაფული მამაცი მხედარიც იყო; ასეთი ცხენოსნური გასვლის დროს, მე მიტაცებდა საგანთა გამო მისი განათლებული განსჯის მოსმენა და საქართველოს უძველესი ქრისტიანული ყოფის ირგვლივ ცოდნის შეძენა...

ისიდორის წინამორბედი ეგზარქატში იყო ევგენი, რომელსაც მეც მოვესწარი, - უაღრესად უხეში, თვითრჯული და სრულიად უსწავლელი კაცი. მის დროს არქიტექტორად ჰყავდათ ფრანგი რინარი, ღვთის გარეგანი და ყოველგვარი სიწმინდის უარმყოფელი. გეტყვით ევგენის და რინარის ვანდალურ მაგალითს სიძველის მაშინდელი საეკლესიო ნაშთების მიმართ. მცხეთის ტაძრის ყველა კედელი შემკობილი იყო, რამდენადაც მახსოვს, VIII-IX საუკუნეების (ასეა! - ნ.ე.) ფრესკებით; ეკლესიას რემონტი სჭირდებოდა და ამ საქმეზე გამწესებულმა რინარმა, ეგზარქოსის დასტურით, თეთრი სქელი საღებავით დაფარა ტაძრის, სიძველით გამორჩეული, მთელი ფერწერა (ა. დონდუკოვ-კორსაკოვის "მოგონებანი", ჟურნ. "Старина и новизна", წიგნი V, 1902, სანკტ-პეტერბურგი).

(4) ავტორი მოგონებებში იმასაც მოგვითხრობს, რომ ერთხანს უპატრონოდ დარჩენილი სახლი ინგრეოდაო და ამით წყვეტს მისი ამშენებლის ამბავს. მაგრამ ამ შენობამ განაგრძო არსებობა: იგი ქობულაშვილების საკუთრება გახდა. 1902 წელს კი მისი იერი ძალზე გამოიცვალა. იგი კაპიტალურად გადააკეთა და, როგორც აკად. ვახტანგ ბერიძე წერს: "სრულიად ახალი ფასადით შეამკო" გამოჩენილმა არქიტექტორმა სიმონ კლდიაშვილმა (1922 წლიდან აქ ბინა დაიდო თბილისის სამხატვრო აკადემიამ).

ასე რომ, ახლა უკვე ძნელი საქმეა ა. ივანოვის ხუროთმოძღვრული შეფასების რეალურ-მხატვრული თუ პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური წანამძღვრების შეპირისპირება.

არილი



სემუელ ბეკეტი

# ნაცარი

## რადიოპიესა



ზღვის ოდნავი ხმაური.

ჰენრის ფეხქვეშ კენჭები შხრიალებს. ჰენრი შეჩერდება. ზღვის ხმაური მატულობს.

ჰენრი: წინ. (ზღვის ხმაური. ოდნავ ხმამაღლა.) წინ. (მიდის. კენჭები შხრიალებს.) შეჩერდი! (ჩერდება. ზღვის ხმაური ძლიერდება.) დაჯექი! (კენჭების შხრიალი. ჰენრი ჯდება. მთელ შემდგომ პაუზას ზღვის ხმაური ავსებს.) ვინ არის ახლა ჩემთან? (პაუზა.) მოხუცი, ჭკუასუსტი ბრმა მოხუცი. (პაუზა.) მკვდრეთით აღმდგარი მამაჩემი... უნდა ცოტა ხანს ჩემთან დაჰყოს. (პაუზა.) თითქოს არც მომკვდარა. (პაუზა.) არა, უნდა ამ უცნაურ ადგილას ცოტა ხანს ჩემთან დაჰყოს. (პაუზა.) ესმის ჩემი? (პაუზა.) ჰო, მგონი ესმის. (პაუზა.) მიპასუხებს? (პაუზა.) არა, არ მპასუხობს. (პაუზა.) უბრალოდ, ჩემს გვერდით იქნება. (პაუზა.) ხმა, რომელიც გესმის, ზღვის ხმაურია. (პაუზა. უფრო ხმამაღლა.) გეუბნები, ხმა, რომელიც გესმის, ზღვის ხმაურია-მეთქი, ზღვის ნაპირას ვსხედვართ. (პაუზა.) მე ხომ ამას იმიტომ გიხსნი, ეს უცნაური ხმა ზღვის ხმაურს არა ჰგავს, თუ არ ხედავ, ვერ მიხვდები. (პაუზა.) ფლოქვების თქარუნი! (გზიდან ნალების წკრიალი ისმის. მალე ხმა მიწყდება). (პაუზა.) ისევ! (კვლავ ფლოქვების თქარუნი. პაუზა. აღელვებით.) კარგი იქნებოდა ცხენებისთვის ადგილზე ნაბიჯით სიარული გვესწავლებინა! დაგვეჭედა ფოლადის ნალებით, მიგვება ცხენსაბმელზე და ებაკუნებინა! (პაუზა.) გაგვეცოცხლებინა ათტონიანი მამონტი, დაგვეჭედა ფოლადის ნალებით და ებრახუნებინა, ეშმაკმაც წაიღოს, გადაექელა მთელი სამყარო! (პაუზა.) ახლა სინათლეს მიუგდე ყური, სინათლე ყოველთვის გიყვარდა, ისეთი, როცა ნაშუადღევს მთელი ეს ნაპირი ჩრდილში იყო გახვეული, მზით განათებული ზღვა კი კუნძულამდე ჩანდა. (პაუზა.) ზღვის უბის ამ მხარეს ცხოვრება არ გინდოდა - გამუდმებით მწუხრზე ბანაობებისათვის მზე გსურდა ზღვაზე განფენილი. მაგრამ, შენი ფული მივიღე თუ არა, მაშინვე აქეთ გადმოვბარგდი. შენ ეს შეიძლება იცი კიდევაც. (პაუზა.) შენი სხეული ვერ ვიპოვეთ. იცი, ანდერძის დამტკიცებაც ძალიან გაგვიჯანჯლდა, ასე გვეუბნებოდნენ - დამამტკიცებელი საბუთი სად არის, თქვენგან არ გაიქცა და ჯანმრთელი და საღ-სალამათი სხვისი სახელით ახლა სადმე არგენტინაში არ იმალებაო, დედა კი საშინლად იტანჯებოდა. (პაუზა.) შენ გგავარ, ზღვა თუ შორსაა, სული მეხუთება, თუმცა ზღვაში არასოდეს შევდივარ - უკანასკნელად ზღვაში მგონი შენთან ერთად ვიბანავე. (პაუზა.) მთავარია, ახლოს ვიყო. (პაუზა.) ზღვა დღეს წყნარია, მე კი მისი ხმა ყველგან მესმის, სახლშიაც და ზღვაზე ხეტიალის დროსაც. ჰოდა, ხმა რომ დავფარო, ლაპარაკს ვიწყებ. (პაუზა.) ჰო, ხმა რომ დავფარო, ლაპარაკს ვიწყებ, თუმცა ამას ვერავინ ხვდება. (პაუზა.) სადაც არ უნდა ვიყო, სულ ვლაპარაკობ და ვლაპარაკობ, ერთხელ შვეიცარიაშიც წავედი, რათა ამ წყევლას რაც შეიძლება შორს გავცლოდი. (პაუზა.) ადრე არავინ მჭირდებოდა, ჩემ თავს ველაპარაკებოდი, რა ამბებს აღარ ვუყვებოდი. ერთხელ ერთ მოხუცზე, რომელსაც სახელად ბულტონი ერქვა, საოცარი ამბავი მოვყევი. ის ამბავი ეგრევე დაუმთავრებელი დამრჩა. საერთოდაც ვერაფერს ვამთავრებ, ყველაფერი დაუსრულებლად გრძელდება. (პაუზა.) ბულტონი. (პაუზა. უფრო ხმამაღლა.) ბულტონი! (პაუზა.) როცა დარაბები... არა შტორები, ჰო, შტორები... როცა შტორები მაგრად არის მიწეული და სინათლეს არ უშვებს, სინათლე არ არის, მხოლოდ ცეცხლის შუქია... ის ცეცხლთან ზის... არა, ფარდაგზე დგას, ცეცხლთან, სიბნელეში, ბუხრის დაფას მიყრდნობილი, დგას ცეცხლთან სიბნელეში თავისი ძველი წითელი ხალათით და ელოდება, შინ ცეცხლის ტკაცატკუცის გარდა არაფერი ისმის. (პაუზა.) დგას თავისი წითელი ხალათით, რომელსაც ჰა და ჰა, საცაა ცეცხლი მოედება, როგორც ჩემს ბავშვობაში, ოდესღაც, თუმცა არა, მაშინ მას პიჟამო ეცვა. დგას სიბნელეში და უცდის, სინათლე არ არის, მხოლოდ ცეცხლის შუქი ანათებს. ის დგას. ის მოხუცია. ის განსაცდელშია. (პაუზა.) და აი, კარზე კვლავ ზარის ხმა გაისმის, იგი ფანჯარასთან მიდის, ფარდიდან იყურება, იქ კი - დიდებული ბიჭი, ჯანმაგარი ბერიკაცი, ზამთრის ნათელი ღამე და თოვლი, თოვლი... ყინვა მძვინვარებს, ყველაფერი გადათეთრებულია, კედრის ტოტები სიმძიმისაგან დაზნექილა. ხელი ისევ ზარისაკენ მიიწევს და იგი ჰოლოუეის იცნობს... (ხანგრძლივი პაუზა.) ჰო, ჰოლოუეია... ჰოლოუეის იცნობს, კართან მიდის და აღებს. (პაუზა.) გარედან ჩამიჩუმი არ ისმის, მხოლოდ ძაღლის საბმელი ჯაჭვი თუ დაიჟღრიალებს ან გამხმარი ტოტი მოითქვამს სულს, ისეც დიდხანს თუ გაუყუჩდები და ყურს მიუგდებ. ყველაფერი თეთრია, და ჰოლოუეი თავისი შავი ჩანთით. ჰო, ჩამიჩუმი არ ისმის, ყინავს, მთვარეა, მთვარეც თეთრია და პატარა. კიდევ ჰოლოუეის კალოშის მიხვეულ-მოხვეული ნაკვალევი და - ღია მწვანე ვეგა ლირას თანავარსკვლავედში. მერე საუბარი პარმაღზეა, არა, ოთახში - ახლა უკვე ოთახში. ჰოლოუეი: "ბოულტონ, მეგობარო, უკვე შუაღამე გადავიდა, მინდოდა..." და სიტყვას შუაზე წყვეტს. ბოულტონი: "გთხოვ, გთხოვ!" და - სამარისებური სიჩუმე. მხოლოდ ცეცხლის ტკაცატკუცი. ცეცხლი ჩაქრობაზეა, საცაა ჩაინავლება, ჰოლოუეი ფარდაგზე დგას და უკანალის გათბობას ცდილობს, ბოულტონი კი - ჰო, მართლა, ბოულტონი სადღაა? - სინათლე არ არის, მხოლოდ ცეცხლის შუქი ანათებს, ბოულტონი ფანჯარასთან, ფარდის უკან დგას, ფარდას ოდნავ სწევს და გარეთ იყურება. იქ კი ყველაფერი თეთრია, კოშკის შპილიც კი, ფლიგერიც კი, რაც იშვიათად ხდება. სახლში სიჩუმეა, მხოლოდ ცეცხლი ტკაცუნობს ბუხარში. მაგრამ, ეს უკვე ცეცხლი კი არა, ნაცარია. (პაუზა.) ნაცარი. ხმა შორეული, სუსტი, არეული, შემზარავი ხმა, და ჰოლოუეი - დიდებული ბიჭი, უზარმაზარი, მხნე, ძლიერი ჰოლოუეი ფარდაგზე დგას, ფეხები განზე აქვს გადგმული, ძველი პალტოს კალთებქვეშ ხელები ზურგს უკან დაუწყვია, ბოულტონი ფანჯარასთანაა, მოხუცია - ო, რა შესახედავია თავის ამ ძველ წითელ ხალათში! - იგი ფანჯარასთან დგას, ხელს სწევს, რათა ფარდა ოდნავ კიდევ გაწიოს, გარეთ იყურება - გარეთ სითეთრეა, გარეთ საფრთხეა, სიჩუმეა, და - ნაცარია, და საფრთხეა, და სითეთრეა და ჩამიჩუმი არ ისმის. (პაუზა.) არა, მოუსმინე! (პაუზა.) თვალები დახუჭე და მოუსმინე. ჰო, რას იტყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი, როგორ მოგწონს? (პაუზა. აღელვებით.) წვეთები! წვეთები! (წვეთების კაკუნი თანდათან ძლიერდება და უცებ წყდება.) ისევ! ისევ! (წვეთების ხმაური თანდათან მატულობს. პაუზა.) არა! (წვეთების კაკუნი წყდება. პაუზა.) მამა! (პაუზა. აღელვებით.) ამბები, ამბები, წლობით, წლობით ეს ამბები... და აი, ბოლოს მომინდა, ჩემთან ვინმე ყოფილიყო, სულერთია, ვინ, ოღონდ უცხო, მე კი მელაპარაკა, მელაპარაკა მის გასაგონად და, წარმომედგინა, ორმ მისმენს. ასე იყო წლობით... მერე კი იმასთან მომინდა ყოფნა, ვინც მიცნობდა, მიცნობდა ოდესღაც. მომინდა ჩემს გვერდით ყოფილიყო, ესმინა, ისეთისთვის ესმინა, როგორიც ახლა ვარ. (პაუზა.) არა, ასე არა. (პაუზა.) არ გამომივიდა, ისევ არ გამომივიდა! (პაუზა.) თავიდან უნდა ვცადო. (პაუზა.)... ყველაფერი თეთრია, და სიჩუმეა. (პაუზა.) ჰოლოუეი (პაუზა.) ჰოლოუეი ამბობს, მივდივარო. ვითომ რა ეშმაკად უნდა იყურყუტოს მთელი ღამე ბუხრის შავი ცხაურის წინ, ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. როგორ! კაცი ძალით მოიყვანო, ძველი მეგობარი, სუსხსა და წყვდიადში – ძალიან მჭირდებიო, ისიც მოლასლასდეს ჩანთით ხელში. და, არც ერთი სიტყვა, არავითარი ახსნა-განმარტება – არც სითბო, არც სინათლე. ბოულტონი: "გთხოვ, გთხოვ!" ჰოლოუეი: "არც ასვა, არც აჭამო, არც გაათბო... სიცივე ძვალსა და რბილში ისე ატანს, კაცმა აქ შეიძლება სიცივისგან სულიც გააფრთხობინოს, ამას ხომ ვერც კი წარმოიდგენ – ასე როგორ უნდა მოექცე ძველ მეგობარს!" მივდივარო, – ამბობს, მაგრამ ადგილიდან ფეხს არ იცვლის. სიჩუმეა. ჩამიჩუმიც არსაიდან ისმის. ცეცხლი ჩაქრობაზეა, ფანჯარაში თეთრი სხივი იჭრება, საშინელი სცენაა! ეჰ, ნეტავი რა უნდოდა, რას მოდიოდა! ასე არა, არა! ცეცხლი ინავლება, ყინავს, ყველაფერი თეთრია, სიჩუმეა. არა, ასე არა! არა, არ გამომივიდა. (პაუზა.) ისევ არ გამომივიდა. (პაუზა.) მომისმინე! (პაუზა.) შენ ახლა უკვე ვერ მიცნობდი, ინანებდი, ამქვეყნად რომ გამაჩინე. შენ ხომ ისედაც სულ ნანობდი. არარაობა. აი ის უკანასკნელი, რაც შენგან მოვისმინე – არარაობა! (პაუზა. მამის ხმით.) "წამოხვალ საბანაოდ?" – "არა." – "რატომ არა, წამოდი, წამოდი." – "არა." ბრაზიანი გამოხედვა, მერე კარისკენ მიდიხარ, მერე შემობრუნდები და ისევ ბრაზიანი გამოხედვა: "არარაობა, აი ვინ ხარ შენ! არარაობა!" (კარის მძლავრი ჯახუნი. პაუზა.) ისევ! (კარის ჯახუნი. პაუზა.) კარგი იქნებოდა ცხოვრების კარსაც ასე გაიჯახუნებდე! (პაუზა.) არარაობა. (პაუზა.) აი მაშინ ადას რომ... ო, ღმერთო! (პაუზა.) შენ ხომ ადა არასოდეს გინახავს? ან იქნებ გინახავს კიდევაც? არ ვიცი, არ მახსოვს. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, ახლა მას სულერთია ვერავინ იცნობდა. (პაუზა.) როგორ გგონია, რატომ გაიწყო ასე ჩემს წინააღმდეგ? იქნებ გოგონას გამო? იმ პატარა საძაგელი არსების გამო? ღმერთო, რა კარგი იქნებოდა, სულაც არ გაგვეჩენოდა. მასთან ერთად მინდორში



ვსეირნობდი. ო, რა საშინელება იყო, ღმერთო, იესო ქრისტევ! ჩამაფრინდება ხელში, მე კი ველარ ვლაპარაკობ და ჭკუიდან ვიშლები: "ახლა გაიქეცი, ადიკო, ცხვრები დაათვალიერე." (ადიკოს ხმით.) "არა, მამა, არ მინდა." – "წადი, წადი, გაიქეცი." (ტირილით.) "არა, მამა, არა, არ მინდა". (გაცოფებული.) "ვის ვეუბნები, წადი, ცხვრები დაათვალიერე!" (ადიკოს ხმამაღალი ტირილი. პაუზა.) ეს ადა ხომ... ნეტავი რას ველაპარაკები – ღმერთმა უწყის, რა არის – ეს ხომ ქვესკნელში საუბარივითაა, ლეთას ჩურჩულივით. ძველ კარგ დროზე, როცა ჩვენ ჯერ მხოლოდ ვოცნებობდით სიკვდილზე. (პაუზა.) ახლა კი... (საზეიმო აღშფოთებით.) მამა! მამა! (პაუზა.) დავიღალე შენთან ლაპარაკით. (პაუზა.) მუდამ ერთიდაიგივე, ადა, მუდამ ერთიდაიგივე – მე და შენ მთებში ვსეირნობთ, ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ და, უცებ – დაღვრემილობა, დუმილი... ხმას არ იღებ, კრინტს არ სძრავ. მერე მთელი კვირაობით შინ მოღუშული და შუბლშეკრული დადიხარ, ხმას არ იღებ, მთელი კვირაობით კრინტს არ სძრავ. ჯობდა მომკვდარიყავი, ჰო, ჯობდა მომკვდარიყავი. (ხანგრძლივი პაუზა.) ადა. (პაუზა. უფრო ხმამაღლა.) ადა!

ადა: (ხმა მუდამ წყნარი, შორეული.) ჰო.

ჰენრი: დიდი ხანია აქ ხარ?

ადა: არა, დიდი ხანი არ არის. (პაუზა.) რატომ გაჩუმდი?.. ყურადღებას ნუ მომაქცევ. (პაუზა.) ხომ არ წავიდე? (პაუზა.) ადიკო სადღაა?

პაუზა.

ჰენრი: მუსიკის მასწავლებელთან. (პაუზა.) მიპასუხებ დღეს თუ არა?

ადა: ცივ კენჭებზე ნუ ზიხარ, სიმსივნეზე გავნებს. ადექი, შალს გაგიფენ. (პაუზა.) წარმოდგენილი მაქვს, როგორ გაიყინე. შალის საცვლები თუ ჩაიცვი? (პაუზა.) ჰენრი, შალის საცვლები თუ ჩაიცვი?

ჰენრი: იცი რა – ჩავიცვი, მერე გავიხადე, მერე ისევ ჩავიცვი, ისევ გავიხადე, ისევ ჩავიცვი, ისევ...

ადა: ახლა თუ გაცვია?

ჰენრი: არ ვიცი. (პაუზა.) ფლოქვების ბაკუნი! (პაუზა. უფრო ხმამაღლა.) ფლოქვების ბაკუნი! გარედან ცხენის ფეხის ხმამაღალი ბაკა-ბუკი. (ბაკუნი უცებ წყდება.) ისევ!

ისევ ფლოქვების ბაკუნი. პაუზა.

ადა: გაიგე?

ჰენრი: კარგად არა.

ადა: ოთხით მოდის?

ჰენრი: არა. (პაუზა.) განა შეიძლება ცხენმა ადგილზე ნაბიჯით იაროს?

პაუზა.

ადა: რაღაც ვერ ვიგებ, რას მეუბნები.

ჰენრი: (გაღიზიანებული.) შეიძლება, ცხენს ასწავლო, ერთ ადგილზე წყნარად იდგეს და ოთხივე ფეხი მიწას ურტყას?

ადა: ო-ო! (პაუზა.) მე კი მეგონა, ეს ყველა ცხენს შეეძლო. (იცინის. პაუზა.) გაიცინე, რა, ჰენრი, მე ხომ ყოველდღე არ გამომდის ასეთი უგერგილო ხუმრობა. (პაუზა.) ჰენრი, გაიცინე, გაიცინე, რა, ჰენრი, ჩემი ხათრი თუ გაქვს.

ჰენრი: შენ გინდა მე, მე გავიცინო?

ადა: შენ ხომ ოდესღაც ასეთი განსაცვიფრებელი სიცილი იცოდი. მე ხომ წინათ ყველაზე მეტად სწორედ ამით ვიხიბლებოდი, შენი სიცილით, შენი ღიმილით. (პაუზა.) ჰო, მიდი, დაე, ყველაფერი ისე იყოს, როგორც ძველად.

პაუზა. ჰენრი ცდილობს გადაიხარხაროს, მაგრამ ვერ ახერხებს.

ჰენრი: მოდი ღიმილით დავიწყებ. (პაუზა გაღიმებისათვის.) აბა, რას იტყვი, მოიხიბლე? (პაუზა.) კარგი, ერთხელაც ვცდი. (ხანგრძლივი, კოშმარული სიცილი.) აბა როგორია? ვარ ისევ ისეთი მომხიბვლელი?

ადა: ო, ღმერთო!

ჰენრი: არა, შენ მხოლოდ ყური უგდე! (პაუზა.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზღვა გითრევს, ბრჭყალებში გიქცევს! (პაუზა.) გავიქცეთ! ზღვიდან შორს, პამპებში გავიქცეთ! ჰო, რას იტყვი?

ადა: დაწყნარდი.

პაუზა.

ჰენრი: მე ხომ ზედ მის ნაპირას ვცხოვრობ! მიზეზი რა არის? პროფესიული მოვალეობა? (უკმეხი ჩაცინება.) ჯანმრთელობაზე ზრუნვა? (სიცილი.) ოჯახური კავშირები? (ჩაცინება.) ქალი? (სიცილი. ადაც იცინის.) მშობლიური სამარე, რომლის მიტოვებაც არ ძალმიძს? (პაუზა.) აბა ყური უგდე! რას ამსგავსებ?

ადა: იმ ძველ ხმას, რომელიც უკვე გაგონილი მქონდა ოდესღაც. (პაუზა.) როგორც იმ სხვა დროს და იმ ადგილას. (პაუზა.) ზღვა მაშინ ბობოქრობდა, შხეფებს გვაყრიდა. (პაუზა.) ნეტავი რატომ ბობოქრობდა მაშინ ასე? (პაუზა.) ახლა კი წყნარია.

პაუზა.

ჰენრი: ავდგეთ, წავიდეთ?

ადა: წავიდეთ? სად? ადიკოს რაღა ვუყოთ? თუ მოვა და ნახავს, უჩემოდ წავიდაო, ეწყინება. (პაუზა.) როგორ გგონია, რატომ იგვიანებს?

პიანინოზე ცილინდრული სახაზავის ძლიერი დარტყმა, ადიკო გაუბედავად უკრავს ბემოლ მაჟორის აღმავალ და დაღმავალ გამებს. ჯერ ერთი მიმართულებით ორივე ხელით, მეორე ორივე მიმართულებით. პაუზა.

მუსიკის მასწავლებელი (იტალიური აქცენტით). სანტა ჩეჩილია!

პაუზა.

ადიკო: შეიძლება ახლა პიესა დავუკრა? შეიძლება?

მუსიკის მასწავლებელს სახაზავის კაკუნით ორი ტაქტი გამოჰყავს. ადიკო შოპენის ლა ბემოლ მაჟორული ვალსის შესავალ ტაქტებს უკრავს. მასწავლებელი ოდნავ ანელებს ტაქტს. მეხუთე ტაქტის ბანის პირველ აკორდში გოგონა ფა-ს ნაცვლად ლა-ს იღებს. სახაზავის მჭექარე დარტყმა. ადიკო დაკვრას წყვეტს.

მუსიკის მასწავლებელი: ფა!

ადიკო (ცრემლმორეული): რა?

მუსიკის მასწავლებელი (გაბრაზებით): ფა, ფა!

ადიკო (ტირილით): სად?

მუსიკის მასწავლებელი (გაბრაზებით): ფა! (კლავიშებს მთელი ძალით უბრახუნებს.) ფა!

პაუზა. ადიკო ისევ თავიდან იწყებს, მასწავლებელი სახაზავით ტაქტს ოდნავ ანელებს. იმ ადგილზე მისვლისას გოგონა ისევ უშვებს შეცდომას. სახაზავის გამაყრუებელი დარტყმა. ადიკო დაკვრას თავს ანებებს და სლუკუნს იწყებს.

მუსიკის მასწავლებელი (გაცოფებით). ფა! (კლავიშებს უბრახუნებს.) ფა! (კლავიშების გამაყრუებელი ბრახუნი. მასწავლებლის ყვირილი - "ფა!" ადიკო ხმამაღლა ქვითინებს და უცებ ჩუმდება. პაუზა.)

ადა: დღეს ძალიან სიტყვაძუნწი ხარ.

ჰენრი: არა, ამქვეყნად მისი მარტო მოთრევა არ კმაროდა, რას ბრძანებთ, ახლა პიანინოზეც უნდა დაუკრას!

ადა: უნდა ისწავლოს... და ისწავლის კიდევაც. იმასაც... ცხენზე ჯდომასაც.

ცხენების ფეხის თქარათქური.

ცხენზე ჯდომის მასწავლებელი: აბა, აბა, მის! იდაყვები მივიჭიროთ! მის, ხელები ჩამოვუშვათ! (ცხენი ჩორთზე გადადის.) აბა, აბა, მის! მუხლები, მუხლები მოვუჭიროთ! (ცხენის მსუბუქი ნავარდი.) აბა, მის!.. მუცელი, მუცელი შევწიოთ! ნიკაპი აწიე, მის! (ოთხით სვლა.) აბა, აბა, მის! წინ ვიყუროთ, მის! (ადიკო სლუკუნებს.) აბა, მის, აბა, აბა!

ჩლიქების ბაკუნი, შეძახილი - აბა, აბა, მის! გოგონა ხმამაღლა სლუკუნებს. უცებ ყოველგვარი ხმაური წყდება. პაუზა.

ადა: რაზე ფიქრობ? (პაუზა.) ჩემთვის არასოდეს არაფერი უსწავლებიათ. მერე კი უკვე გვიან იყო. მთელი ცხოვრება ვნანობდი.

ჰენრი: ჰო. თუმცა რაღაცაში ძლიერიც იყავი, ოღონდ დამავიწყდა - რაში?

ადა: ო-ო, ალბათ გეომეტრიაში. პლანიმეტრიასა და სტერეომეტრიაში. (პაუზა.) ჯერ პლანიმეტრიაში, მერე სტერეომეტრიაში. (ჰენრი დგება. კენჭები შხრიალებს.) რისთვის ადექი?

ჰენრი: ვიფიქრე, იქნებ წყალთან მივიდე-მეთქი. (პაუზა. ოხვრა.) და უკანვე წამოვიდე.

(პაუზა.) ბებერი ძვლები გავმართო.

პაუზა.

ადა: მერედა რა? (პაუზა.) რა აზრი აქვს, იდგე და მხოლოდ ამაზე იფიქრო. (პაუზა.) იდგე და უყურო?

ჰენრი ზღვისკენ მიდის. ფეხქვეშ კენჭები უშხრიალებს. ათიოდე ნაბიჯს გაივლის და წყლის პირას ჩერდება. პაუზა. ზღვის ოდნავ უფრო ხმამაღალი ხმაური. შორეული ხმა. არ გინდა, მაგ კარგ ფეხსაცმელს ნუ ისველებ.

პაუზა.

ჰენრი: არ გინდა, არ გინდა...

ზღვა ღელვას იწყებს.

ადა (ოცი წლის წინ. მუდარით): არ გინდა! არ გინდა!

ჰენრი (ოცი წლის წინ. დაჟინებით.): ძვირფასო!

ადა (ოცი წლის წინ უღონოდ): არ გინდა!

ჰენრი (ოცი წლის წინ. აღტაცებით): ძვირფასო!

ზღვა ბობოქრობს. ადა ყვირის. ყვირილი და ზღვის გრიალი თანდათან მატულობს და ბოლოს წყდება. მოგონებები დამთავრდა. პაუზა. ზღვა დამშვიდდა. ჰენრი ფერდობზე უკან მოჩანჩალებს, კენჭებზე ძლივს მოაბიჯებს. შეჩერდება. ისევ გზას განაგრძობს. ისევ შეჩერდება. პაუზა. დაწყნარებული ზღვა ოდნავ შრიალებს.

ადა: არ გინდა. ასე ბოძივით რატომ დგახარ, დაჯექი. (პაუზა. ჰენრი ჯდება. კენჭების შხრიალი.) აგერ დაჯექი, შალზე. (პაუზა.) შენ რა, გეშინია არ შემეხო? (პაუზა.) ჰენრი!

ჰენრი: ჰო.

ადა: ექიმთან უნდა მიხვიდე. ნახე - სულ ლაპარაკობ და ლაპარაკობ. უარესად და უარესად ხდები. აბა დაფიქრდი, როგორ შეიძლება ამან ადიკოზე იმოქმედოს? (პაუზა.) იცი ერთხელ რა მითხრა? მაშინ ჯერ სულ ერთი ციდა იყო - დედიკო, მამიკო ასე გამუდმებით რატომ ლაპარაკობსო? ფეხსადგილში ლაპარაკობდი... მე კი არ ვიცოდი, რა პასუხი გამეცა.

ჰენრი: მამიკო! ადიკო! (პაუზა.) გეთქვა, ლოცულობსთქო - ხომ გითხარი. (პაუზა.) ღმერთსა და ყველა წმინდანს შესთხოვს-თქო.

ადა: ეს ძალზე საზიანოა ბავშვისათვის. (პაუზა.) სისულელეა თითქოს ამას იმიტომ აკეთებდე, ზღვის ხმაური არ გაიგო. რომც არ გესმოდეს, შენ ეს ვერაფერს გიშველის. კიდევაც რომ გიშველოს, მისი ხმა კიდევაც რომ არ გესმოდეს, სულერთია, თავში საქმე მაინც კარგად ვერ გაქვს.

პაუზა.

არა მჯერა, თითქოს მისი ხმა გესმოდეს... და თუ მაინც გესმის, ამაში ცუდი რა არის, ეს ხომ ისეთი ნაზი ხმაა, ნანასავით, ასე რატომ გეჯავრება? (პაუზა.) არა, თავში შენ ნამდვილად რაღაც გჭირს, ჰოლოუეის უნდა ეჩვენო, ხომ ისევ ცოცხალია?

ჰენრი (გაცოფებული): დანარცხება... მინდა მოვუსმინო, როგორ ენარცხება! აი ასე! (ორ მოზრდილ ქვას იღებს და მუჭაში აჯახუნებს.) ქვა! (დანარცხება.) ქვა! (დანარცხება. ყვირილი - "ქვა!" ტალღების ხმაური მატულობს, მერე ყველაფერი ერთბაშად ჩუმდება. პაუზა. ჰენრი ერთ ქვას აგდებს. ისმის ქვა მიწას როგორ ენარცხება.) აი რა არის ცხოვრება! (მეორე ქვასაც აგდებს. ისმის დავარდნის ხმა.) და არა ის... (პაუზა.) შთანთქმა.

ადა: რატომ ცხოვრება? (პაუზა.) რატომ ცხოვრება, ჰენრი? არის აქ ვინმე?

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰენრი: სულიერის ჭაჭანებაც არ არის.

ადა: ასეც ვიცოდი. (პაუზა.) როცა ჩვენ მარტო ყოფნაზე ვოცნებობდით, ჩვენს გვერდით ყოველთვის ვიღაც იყო. ახლა არ გვინდა და ა, ბატონო, არავინაა.

ჰენრი: ჰო, შენ მუდამ საშინლად გეშინოდა ჩვენი ნაზი საუბრისთვის ვინმეს არ წაესწრო. საკმარისია სადღაც რაღაც გაფაჩუნებულიყო, რომ უკვე კაბას ისწორებდი, თავს "მანჩესტერ გარდიანში" წაჰყოფდი. აი ღრმული კი ისევაა.

ადა: მიწაზე ღრმულების მეტი რა არის.

ჰენრი: ეს ის ადგილია, სადაც მე და შენ, ბოლოსა და ბოლოს, როგორც იქნა, გავბედეთ.

ადა: ა-ა, მგონი გამახსენდა. აქ ყველაფერი ისეა, როგორც იყო.

ჰენრი: არა, ისე არ არის. მე ხომ ვხედავ. (საიდუმლოდ.) თანდათან ყველაფერი შანდაკდება. (პაუზა.) გოგონა ახლა რამდენი წლის იქნებოდა?

ადა: ანგარიში ამერია, არ ვიცი.

ჰენრი: თორმეტის? ცამეტის? (პაუზა.) თოთხმეტის?

ადა: მე მართლა არ ვიცი, ჰენრი.

ჰენრი: ჩვენ ის მაშინვე არ გამოგვივიდა. (პაუზა.) წლობით ვწვალობდით. (პაუზა.) და აი ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიეთ ჩვენსას. (პაუზა.) მოუსმინე იმას, მოუსმინე! (პაუზა.) ალბათ შინ რომ შეხვალ, ხმაური კლებულობს. (პაუზა.) იქნებ ჯობდა, სავაჭრო ფლოტში წავსულიყავი.

ადა: ეს ხომ მხოლოდ ზედაპირზეა. ქვევით სამარისებური სიჩუმეა, ჩამიჩუმი არ ისმის. არც დღე და არც ღამე ჩამიჩუმი არ ისმის.

პაუზა.

ჰენრი: მე ახლა გრამაფონით დავდივარ. აი დღეს კი დამავიწყდა.

ადა: არავითარი აზრი ამას არა აქვს. (პაუზა.) არავითარი აზრი მისი ჩახშობის მცდელობას არა აქვს. (პაუზა.) ჰოლოუეის გაესინჯე, ჰენრი, ჰოლოუეის.

პაუზა.

ჰენრი: წავიდეთ, ნავით გავისეირნოთ.

ადა: ნავით? მერედა ადიკო? რომ მოვიდეს და გნახოს, ნავით გასასეირნებლად უიმისოდ წახვედი, ძალიან ეწყინება. (პაუზა.) კი მაგრამ, ახლა სად იყავი? აი ვიდრე ლაპარაკს დამიწყებდი?

ჰენრი: მინდოდა ცოტა ხანს მამასთან ვყოფილიყავი.

ადა: ა-ა. (პაუზა.) ეგ ყოველთვის დიდი სიამოვნებით!

ჰენრი: მინდოდა ისე მოვქცეულიყავი, ცოტა ხანს ჩემთან დარჩენილიყო. (პაუზა.) დღეს შენ ჩვეულებრივზე უხეში ხარ, ადა. (პაუზა.) ზუსტად იმას ვეკითხებოდი, უნახიხარ როდისმე თუ არა, თვითონ ვერ ვიხსენებ.

ადა: მერე?

ჰენრი: ის უკვე აღარ მპასუხობს.

ადა: ალბათ სული ამოხადე. (პაუზა.) სიცოცხლეშიაც გულს უწყალებდი და მკვდარსაც გულს უწყალებ. (პაუზა.) დგება დრო, როცა ადამიანი შენთან ურთიერთობას ვეღარ შესძლებს. (პაუზა.) ჰო, დადგება დრო, როცა საერთოდ ალარავის შეეძლება შენთან ურთიერთობა, სრულიად უცნობ ადამიანებსაც კი. (პაუზა.) შენ მარტოდმარტო, პირისპირ დარჩები შენს ხმასთან, გარდა შენი საკუთარი ხმისა, მთელ ქვეყნიერებაზე ვერავის ხმას გაიგონებ. (პაუზა.) გესმის ჩემი?

პაუზა.

ჰენრი: ვერ ვიხსენებ, უნახიხარ თუ არა.

ადა: ვუნახივარ და ეს შენც იცი.

ჰენრი: არა, ადა, არ ვიცი, მაპატიე, ის, რაც შენთან არის დაკავშირებული, ყველაფერი დამავიწყდა.

ადა: შენ იქ არ იყავი, მხოლოდ დედაშენი და შენი და იყვნენ. შეთანხმებისამებრ შენ შემოგიარე, გვინდოდა ერთად წავსულიყავით საბანაოდ.

პაუზა.

ჰენრი (გაღიზიანებული): მერე, მერე? ეს რა წესი აქვთ ადამიანებს, სიტყვა მუდამ შუაზე უნდა გაწყვიტონ!

ადა: არ იცოდნენ, სად იყავი. შენი საწოლი ხელუხლებელი იყო. ყველანი ერთმანეთს უყვიროდნენ. შენი და გაჰყვიროდა, კლდიდან გადავვარდებიო. მამა ადგა და კარი გაიჯახუნა. მეც თითქმის მაშინვე წამოვედი, გვერდით ჩავუარე, მაგრამ ვერ დამინახა. ქვაზე იჯდა, ზღვას გასცქეროდა. მის პოზას ვერასოდეს დავივიწყებ. თუმცა კი განსაკუთრებული არაფერი ყოფილა, ზოგჯერ შენც მჯდარხარ ასე. იქნებ მთელი ამბავი სწორედ მის ამ უმოძრაობაში იყო - გეგონებოდა ქვად იქცაო. მოკლედ, ვერაფერი გავარკვიე.

პაუზა.

ჰენრი: ილაპარაკე! ილაპარაკე! (ვედრებით.) ილაპარაკე, ადა, ილაპარაკე, ყოველი ბგერა მოგებული წამია.

ადა: ვშიშობ, სულ ესაა. (პაუზა.) შეგიძლია გააგრძელო მამაშენთან საუბარი, დაუბრუნდე ამბების გამოგონებას თუ რას საქმიანობდი კიდევ, არ ვიცი. მე კი ყურადღებას ნუ მომაქცევ.

ჰენრი: არ შემიძლია. (პაუზა.) მეტი აღარ შემიძლია!

ადა: ერთი წუთის წინ, ვიდრე მე დამელაპარაკებოდი, მშვენივრად შეგეძლო.

ჰენრი (გაბრაზებით): ახლა კი აღარ შემიძლია! (პაუზა.) ო, ღმერთო!

პაუზა.

ადა: კი, ბატონო, მაგრამ შენ თვითონაც ხომ იცი, მხედველობაში რა მაქვს: რომელიღაც პოზები, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, გონებაში გრჩება, ვთქვათ, მაგალითად, თავი ჰქონდა ჩაქინდრული, როცა თითქოს აწეული უნდა ჰქონოდა. ანდა ხელი, ვთქვათ, ჰაერში უსიცოცხლოდ იყო გადმოკიდებული. დაახლოებით რაღაც ამდაგვარი. იმ დღეს კი, მამაშენი ქვაზე რომ იჯდა, ამის მსგავსიც არაფერი ყოფილა, უმნიშვნელო წვრილმანიც კი, რაზეც თითს მიაშვერდი და - უცნაურიაო, - იტყოდი. მოკლედ, ვერაფერი გავუგე. ვამბობ, მიზეზი იქნებ მისი ის საოცარი უმოძრაობა იყო-მეთქი, ის ხომ თითქოს არ სუნთქავდა. (პაუზა.) რას იტყვი, ცოტა მაინც არ მოგეშვა ამ აბდაუბდის შემდეგ? (პაუზა.) თუ გინდა, შემიძლია კიდევ გამოვწურო ჩემგან რაღაც. (პაუზა.) არა? მაშინ წავალ.

ჰენრი: მოიცა! ხომ შეგიძლია არ ილაპარაკო. მხოლოდ მომისმინო. თუ გინდა, ნურც მომისმენ, ოღონდ ცოტა ხანს ჩემთან დარჩი. (პაუზა.) ადა! (პაუზა. უფრო ხმამაღლა.) ადა! (პაუზა.) ღმერთო! (პაუზა.) ფლოქვების თქარუნი! (პაუზა. უფრო ხმამაღლა.) ფლოქვების თქარუნი! (პაუზა.) ღმერთო! (ხანგრძლივი პაუზა.) ადაც მაშინვე წამოვიდა, თითქმის გვერდით ჩაგიარა, მაგრამ, ვერ დაინახე, ზღვისკენ იყურებოდი... (პაუზა.) არა, ზღვისკენ არა, აბა ზღვას როგორ შეხედავდი! (პაუზა.) იქნებ სხვა მხრიდან შეხვედი. (პაუზა.) ალბათ კლდის მხრიდან, ხომ ასეა? (პაუზა.) მამა! (პაუზა.) ჰო, ალბათ ასე იყო. (პაუზა.) ადა დგას, გიყურებს, მერე ტრამვაისკენ ბილიკზე ეშვება, ტრამვაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში წინიდან შედის და ჯდება. (პაუზა.) ჰო, წინიდან ჯდება. (პაუზა.) უცებ ცუდ გუნებაზე დგება და ტრამვაიდან ჩამოდის "გადაიფიქრეთ, ქალიშვილო?" - ეუბნება კონდუქტორი. ადა ისევ ბილიკზე გადის, იქ კი შენი ალი-კვალიც აღარაა. (პაუზა.) დადარდიანებული და დაბნეული იმ ადგილს გარშემო უტრიალებს, დაბოდიალობს, მაგრამ, არა, არავინაა. ზღვიდან კი ყინულივით ცივი ქარი უბერავს. ბილიკით კვლავ ტრამვაისთან ბრუნდება, ტრამვაიში ჯდება და შინ მიდის. (პაუზა.) ღმერთო! (პაუზა.) "ბოულტონ, მეგობარო... (პაუზა.) ბოულტონ, თუ ნემსის გაკეთება გინდა, შარვალი ჩაიხადე, ახლავე გიჩხვლეტ, ცხრაზე საშვილოსნოს ოპერაცია მაქვს დანიშნული". მხედველობაში მას რა თქმა უნდა, გამაყუჩებელი აქვს. (პაუზა.) ცეცხლი ჩაინავლა. ყინავს. და სითეთრეა, უბედურებაა, სიჩუმეა. (პაუზა.) ბოულტონი ფარდას უწყებს გაწევას, არა, შტორებს, ო, ამის აღწერა ძნელია. სწევს, არა, მუჭაში იქცევს, თავისკენ ექაჩება და ოთახში მთვარის შუქი იჭრება. მერე ფარდას ისევ ხელს უშვებს, ფარდა მძიმეა, ხავერდისა. და - ოთახში ისევ უკუნეთი ისადგურებს. მერე ფარდას ისევ თავისკენ სწევს და - თეთრია, შავია, თეთრია, შავია. ჰოლოუეი კი: "კმარა, ბოულტონ, ღვთის გულისათვის, კმარა! შენ რა, სული გინდა ამომხადო! (პაუზა.) თეთრია, შავია, თეთრია, შავია - კაცი შეიძლება ჭკუაზე შეიშალოს". მერე უცებ ასანთს გაჰკრავს, ესე იგი, ბოულტონი გაჰკრავს ასანთს, სანთელს აანთებს, სანთლიან ხელს თავის ზევით სწევს, ჰოლოუეისთან მიდის და პირდაპირ თვალებში შეჰყურებს. (პაუზა.) ხმას არ იღებს, მხოლოდ ძალზე ჩამქრალ, უწამწამო, ცისფერ, ბებრულ თვალებში უყურებს, ყველაფერი ცურავს, თავს ზემოთ სანთელი ცახცახებს. (პაუზა.) ტირის? (პაუზა. ხანგრძლივი სიცილი.) არა, ღმერთო დიდებულო! რას ბრძანებთ, რის ტირილი! (პაუზა.) ხმას არ იღებს, მხოლოდ ბებრულ, ცისფერ თვალებში შეჰყურებს, ჰოლოუეი კი: "ნემსის გაკეთება გინდა? ჰოდა, გეთქვა და გაგეშვი აქედან ჯანდაბაში! (პაუზა.) ჩვენ ეს უკვე გავიარეთ, ბოულტონ, ნუ გამამეორებინებ". (პაუზა.) ბოულტონი: "გთხოვ! (პაუზა.) გთხოვ! (პაუზა.) გთხოვ, ჰოლოუეი". (პაუზა.) სანთელი თრთის, ყველაფერი სანთლითაა მოლივენთილი. სანთელი ახლა ქვევითაა - ჯანგაცლილი ხელი დაეღალა, სანთელი მეორე ხელში გადაიტანა, ისევ მაღლა, თავს ზევით აწია და ამით ყველაფერი დამთავრდა - ამით ყოველთვის ყველაფერი მთავრდება, ღამეც, გაციებული ნაცარიც, შენს ჯანგაცლილ ხელში კი სანთელი ისევ თრთის და შენ ამბობ: "გთხოვ!.. გთხოვ!" (პაუზა.) ისე ელრიჯები, (პაუზა.) როგორც მათხოვარი. (პაუზა.) ადა! (პაუზა.) მამა! (პაუზა.) ღმერთო! (პაუზა.) სანთელს ისევ მაღლა სწევ, ყველაფერი ისეთი თავზარდამცემია, ისეთი აუტანელია, უყურებ, უყურებ ჰოლოუეის, თვალს თვალში უყრი, არა, თხოვნის სურვილი აღარა გაქვს, მხოლოდ უყურებ და ჰოლოუეი სახეზე ხელებს იფარებს, ხმას არ გცემს. ყველაფერი თეთრია, ყინვა მძვინვარებს, შემზარავი სცენაა, ორი ბერიკაცი, ორი ბერიკაცი და უბედურება, უბედურება... არა, ასე არა. (პაუზა.) ასე არა. (პაუზა.) ღმერთო! (პაუზა. დგება, კენჭები შხრიალებს. ზღვისკენ მიდის. პაუზა. ზღვის ხმაური მატულობს.) წინ. (პაუზა. მიდის. ფეხქვეშ ქვიშა ხრაშუნებს. წყლის პირას ჩერდება. პაუზა. ზღვის ხმაური მატულობს.) პატარა წიგნაკი. (პაუზა.) დღეს საღამოს... (პაუზა.) დღეს საღამოს არაფერი. (პაუზა.) ხვალ... ხვალ ცხრა საათზე წყალგამშვები... მერე... მერე არაფერი. (პაუზა. გაოცებული.) ცხრა საათზე წყალგამშვები... მერე... მერე არაფერი. (პაუზა. გაოცებული.) ცხრა საათზე წყალგამშვები?! (პაუზა.) აა, ხვრელი... ფუ, რა სიტყვაა! (პაუზა.) შაბათი... არაფერი. კვირა... კვირა... კვირას მთელ დღეს არაფერი. (პაუზა.) არაფერი. მთელ დღეს არაფერი. (პაუზა.) მთელ დღეს, მთელ ღამეს - არაფერი. (პაუზა.) ჩამიჩუმი არ ისმის.

ზღვის ხმაური.

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა

არილი

# ბრუნო ბორნეზი



**FORET DE BOULEAUX**

***Gustav Klimt***

მასწავლე შენი ხელისგულები ტუჩები და ჩამსხვრეული
თვალები
შენი გულის თბილი ოთახი

გუშინ ვიყავი პეტრე-პავლეს სასაფლაოზე
და დიდხანს ვკრეფდი საფლავის შავი ფილებიდან
შენს დამჭკნარ ღიმილს
და მისი მყიფე რეხი ფოთლები მიმქონდა ახლოს
ნესტოებთან
როგორც ბავშვობის თეთრი ყვავილი
ცხვირის ბორცვს რომ ყვითლად მტვერავდა

მასწავლე შენი ბეღურებით დახუნძლული მკლავები
მე ყოველ ღამე ამ მკლავების ჩრდილში ვიძინებ
და ყოველ დილით ბალიშის ქვეშ ვპოულობ
ჩემი გაცვეთილი სიზმრების ნამცეცებს

მასწავლე შენი სოფლის ბოლოს ანთებული ნათურასავით
შორეული გული
ის ხომ ვერასდროს ვერ შეამჩნევს ჩემს ლამფასავით
ჩამქრალ სხეულს
და გაურითმავ სამსტრიქონიან ხელისგულს
ახლაც რომ ფრთხილად ეფერება
გულისჯიბეში ჩატოვებულ
შენს ნაჩუქარ ერთადერთ შემოდგომას

*1978 წ. 18 იანვარი*

*თარგმნა შალვა ბაკურაძემ*



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაბრიელე დ'ანუნციო

# ღამისთევა

### კრებულიდან "პესკარას ნოველები"

სოფლის მერის, ბიაჯო მილას ცხედარი, უკვე სრულიად შემოსილი და ძმრიან წყალში დასველებული ჩვრით სახედაფარული, ლოგინზე ესვენა, თითქმის ოთახის შუაგულში, ოთხ სანთელს შუა. ოთახში მიცვალებულს ორი მხრიდან უსხდნენ და ღამეს უთევდნენ ქვრივი და ძმა.

როზა მილა, ასე, ოცდახუთი წლის იქნებოდა. აყვავებული ქალი იყო, თეთრი, ოდნავ დაბალი შუბლით, გრძლად მომშვილდული წარბებითა და დიდი ჭროლა თვალებით, რომელთა გუგებზე გაპრიალებული მარმარილოსნაირი ძარღვები ეტყობოდა. თმების სიუხვის გამო, კეფასა და საფეთქლებზე ყოველთვის მრავლად ეყარა ურჩი კულულები, ხანდახან თვალებზეც რომ ჩამოეშლებოდა ხოლმე. მთელი მისი არსებიდან გამოსჭვიოდა ჯანმრთელი სინორჩე და მის ქორფა კანსაც უძვირფასესი ხილის სურნელი ასდიოდა.

ემიდიო მილა, სასულიერო პირი, დაახლოებით იგივე ასაკისა იყო. ხმელ-ხმელი იყო და კანის ფერი ბრინჯაოს უგავდა, როგორც ყველას, ვინც სოფელში მზის გულზე ცხოვრობს. რბილი წითური ღინღლი უფარავდა ლოყებს, თეთრი და ძლიერი კბილები მის ღიმილს მამაკაცურ სილამაზეს ანიჭებდა და მისი მოყვითალო თვალებიც ახალმოჭრილი ოქროს ფულებივით უბზინავდა.

ორივე სდუმდა: ქალი თითებით შუშის კრიალოსანს ათამაშებდა, ვაჟი კი თვალს აყოლებდა კრიალოსანის თამაშს. ორივეს ეტყობოდა ის გულგრილობა, რომლითაც ჩვენი სოფლის ხალხი სიკვდილის იდუმალებას ხვდება.

ემიდიომ ღრმად ამოისუნთქა:

- დაცხება ამაღამ.

როზამ მზერა ასწია თანხმობის ნიშნად.

დაბალჭერიან ოთახში შუქი სანთლის ალის კვალდაკვალ ირთოდა. ცვალებადი და მოკანკალე ჩრდილები ხან კუთხეში იყრიდა თავს, ხანაც კედელზე. ფანჯრები ღია იყო, მაგრამ დარაბები დახურული რჩებოდა. თეთრი მუსლინის ფარდები დროდადრო ისე ირხეოდა, თითქოს სუნთქავენო. ბიაჯოს სხეული საწოლის სითეთრეზე მძინარეს ჰგავდა.

ემიდიოს სიტყვები დუმილში დაიკრგა. ქალმა ისევ დაუქნია თავი და კვლავ მიუბრუნდა კრიალოსანის ნელ თამაშს. ოფლის იშვიათი წვეთები მარგალიტებად უჩანდა შუბლზე, მძიმედ სუნთქავდა.

ცოტა ხნის შემდეგ ემიდიომ იკითხა:

- ხვალ რომელ საათზე მოვლენ გასასვენებლად?

ქალმა თავისი ბუნებრივი ხმით უპასუხა:

- ათზე, საკრამენტის კონგრეგაციიდან მოვლენ.

ამის შემდეგ კვლავ დადუმდნენ. გარედან ბაყაყების განუწყვეტელი ყიყინი ისმოდა, შიგადაშიგ ბალახის სურნელიც შემოდიოდა. სრულ სიმშვიდეში როზას ყურს გვამიდან გამომავალი თითქოსდა ყრუ ბუყბუყი მისწვდა. შეშინებული წამოხტა სკამიდან და უკან გაიწია.

- ნუ გეშინიათ, როზა. ეს გაზებია, - თქვა მაზლმა და ხელი გაუწოდა დასამშვიდებლად.

როზამ ხელი უნებურად გამოართვა და ფეხზე მდგომმა დაიჭირა. აყურადებდა, მაგრამ სადღაც სხვაგან იყურებოდა. მკვდრის მუცელში ბუყბუყი გრძელდებოდა და თითქოსდა პირისაკენ მიიწევდა.

- არაფერია, როზა. დაწყნარდით, - ისევ თქვა მაზლმა და ანიშნა, სამზითვო სკივრზე დამჯდარიყო, რომელზედაც ყვავილებამოქარგული გრძელი ბალიში ეფინა.

ქალი დაჯდა მაზლის გვერდით. შეშფოთებულს ჯერ კიდევ ეჭირა მისი ხელი. და რადგანაც სკივრი არც თუ ისე დიდი იყო, მასზე მჯდომთა იდაყვები ერთმანეთს ეხ-



ებოდა.

კვლავ სიჩუმე დამყარდა. მლეწავთა სიმღერამ შორიდან შემოაღწია ოთახში.

- ღამით ლეწავენ, მთვარის შუქზე, - თქვა ქალმა, შიშისა და დაღლილობის მოსატყუებლად.

ემიდიოს ხმა არ დაუძრავს. ქალმაც ხელი წაართვა, რადგან ეს შეხება უკვე მსუბუქ შფოთვას ჰგვრიდა.

ორივეს ახლა ერთი და იგივე აზრი გაუჯდა გონებაში მოულოდნელად, ორივეს ერთი და იგივე გახსენება დაეპატრონა, გახსენება ადრეულ სიყმაწვილეში ველად აღმოცენებული სიყვარულისა.

იმხანად ორივენი კალდორეს უბანში ცხოვრობდნენ, მარტოხელად აღმართული გორაკის თავზე, სადაც ოთხი გზა იკვეთება. ჭვავის ყანის საზღვარზე მაღალი კედელი აღმართულიყო, ქვითა და თიხოვანი მიწით აგებული. სამხრეთის მხრიდან, რომელსაც როზას ნათესავები ფლობდნენ, მსხმოიარე ხეთა კორომი ხარობდა, რადგანაც იქ მზის სითბო უფრო უხვი და ტკბილი იყო. გაზაფხულობით ერთობლივი სიხარულის მოზიარე ხეები ყვაოდნენ, ცის ფონზეც ვერცხლისფერი, მოვარდისფრო ან მოიისფრო გუმბათები იკვეთებოდა. ისინი გვირგვინად ადგნენ კედელს, ნელი რხევით მიიწევდნენ მაღლა და ერთად ჩუმ ზუზუნს გამოსცემდნენ ფუტკრების მსგავსად.

იმ დროს როზას კედლის უკან, ხეებს შორის მიმალვა და იქ სიმღერა დასჩემდა.

წკრიალა და ნორჩი ხმა შადრევნის ჭავლივით მოედინებოდა აყვავებულ გვირგვინთა შორის.

მაშინ ემიდიო ნელ-ნელა სულს იბრუნებდა ავად-

2/952

საქართველოს ეროვნული

ბიბლიოთეკა



მყოფობის შემდეგ და ისმენდა ამ სიმღერას. სუსტი იყო და მუდამ მოშიებული. დიეტისაგან თავის დასაძვრენად მალულად იპარებოდა შინიდან და უბეშიც პურის დიდი ნატეხი ედო. კედლის ძირს ჩაუყვებოდა, ყანის ბოლო ხნულის გასწვრივ, სანამ თავისი ნეტარების ალაგს არ მიაღწევდა.

იქ ჯდებოდა, ზურგით გამთბარ ქვებს ეყრდნობოდა და ჭამას იწყებდა. ჩაკბეჩდა პურს და ქორფა თავთავს შეარჩევდა: ყოველ მარცვალში ერთი წვეთი რძისფერი წვენი იყო დამალული, რომელსაც ფქვილის ცინცხალი გემო დაჰკრავდა. გემოვნებისა და სმენის გულისთქმა ერთმანეთს ერეოდა და ნაავადმყოფარის არსებაში თითქმის ერთიან უსასრულოდ სასიამოვნო შეგრძნებას ქმნიდა. ამგვარად, იმ ტკბილ მოცალეობაში, იმ სითბოსა და სურნელში, რომელიც ჰაერს ლამის ღვინის გულისხმიერ გემოს ანიჭებდა, ქალის ხმაც მისთვის ხელახლა დაბადების ბუნებრივ საკვებად იქცეოდა, ნივთიერ საზრდოდ, პირდაპირ ძარღვებში რომ ადნებოდა.

ამგვარად, როზას სიმღერა მისთვის განკურნების მიზეზი იყო. და როდესაც განკურნება აღსრულდა, როზას ხმა გრძნობიერ სიმდიდრედ რჩებოდა განკურნებულისთვის.

ამის შემდეგ, რადგან ორი ოჯახი დიდად დაუახლოვდა ერთმანეთს, ემიდიოს გულში ის მდუმარე, მორცხვი და მარტოსულ სიყვარული ჩაისახა, ასე რომ სპობს და ანადგურებს სიყმაწვილის ძალებს.

სექტემბერში, სანამ ემიდიო სემინარიაში სასწავლებლად გაემგზავრებოდა, ერთ ნაშუადღევს ორივე ოჯახი სასამხროდ მდინარის პირას ჭალაში გაეშურა.

დღე რბილი იყო და ხარებშებმული სამი ურემი აყვავებული ლერწმების ტევრში იკვლევდა გზას.

ჭალაში პირდაპირ ბალახზე ისამხრეს, ერთ წრიული ფორმის ახოზე, რომელსაც ვეება ალვისხეები შემოსჯაროდნენ ირგვლივ. დაბალ ბალახში ხშირად ხარობდნენ წვრილი იისფერი ყვავილები, რომელთაც ნატიფი სურნელი უდიოდა. აქა-იქ ფოთლებს შორის მზის სხივები ეშვებოდა ფართო ზოლებად. ქვემოთ გაჭიმული მდინარის ნაპირი უძრავი იყო, სრულ სიმშვიდესა და გამჭვირვალებაში ეძინათ წყლის მცენარეებს.

სამხრის შემდეგ ზოგი ნაპირს მოედო, სხვები პირაღმა გაწოლილნი დარჩნენ ბალახზე.

როზა და ემიდიო ერთად აღმოჩნდნენ. ხელი ჩასჭიდეს ერთმანეთს და ბუჩქებს შორის გამავალ ბილიკს გაუყვნენ.

როზა სულ მთლად ემიდიოს დაყრდნობოდა, იცინოდა, გზად გაშვერილ რტოებს ფოთლებს აწყვეტდა, მომწარო ღეროებს წიწკნიდა კბილებით, უკან იხედებოდა და აფრენილ ჩხიკვებს აყოლებდა თვალს. ამასობაში კუს ბაკნისგან გათლილი სავარცხელი ჩამოუსრიალდა თავიდან და თმებიც გასაოცარი სიუხვით დაეფინა მხრებზე.

ემიდიო როზასთან ერთად დაიხარა სავარცხლის ასაღებად. ორი თავი მსუბუქად მიეჯახა ერთმანეთს. როზა შუბლზე ხელს იდებდა და სიცილით ყვიროდა:

- ვაი! ვაი!

ყმაწვილი უჭვრეტდა მას და გრძნობდა, როგორ აღწევდა ჟრუანტელი ძვლის ტვინამდე. თავის გამოაშკარავებისა ეშინოდა. როზამ ხის ტანს ფრჩხილებით მოაცილა სუროს გრძელი ყლორტი და სწრაფი მოძრაობით თავს ირგვლივ ნაწნავებზე შემოიხვია, თმის ამბოხი კეფაზე დააცხრო სავარცხლის კბილებით. მწვანე და ზოგან მოწითალო, ყლორტზე სუსტად დამაგრებული ფოთლები აქეთ-იქით უწესრიგოდ იყო გამოშვერილი. როზამ იკითხა:

- მოგწონვართ ასე?

ემიდიომ პირის გაღება ვერ მოახერხა. არ იცოდა, რა ეპასუხა.

- ასე არ ვარგა! მუნჯი ხომ არა ხართ?

ემიდიოს მუხლებზე დაჩოქების სურვილი ჰკლავდა. მაგრამ როზასავით უკმაყოფილო სიცილით ახშობდა მას, თუმცა გრძნობდა როგორ უხუთავს ყელსა და უწვავს თვალებს ტირილი ბოღმისაგან, რომ ვერც ერთი სიტყვა ვერ იპოვა.

გზა განაგრძეს. ერთ ადგილას წაქცეული ნორჩი ხე ულობავდა გასასვლელს. ემიდიომ ორივე ხელით წამოსწია ხის ტანი და როზამ ტოტების ქვეშ გაიარა, რომელთა სიმწვანე წამით გვირგვინად დაედგა თავზე.

უფრო იქით ერთ ჭას მიადგნენ, რომლის მახლობლად ქვის ორი მართკუთხა ავზი იდგა. ხშირი ტყე ჭის თავზე მწვანე ჩარდახად ეფარებოდა. აქ ჩრდილი ღრმა იყო, თითქმის ნესტიანი. მცენარეული თალი აგურის კედლების შუამდე მოღწეული წყლის ზედაპირზე ირეკლებოდა.

როზამ ხელები გაშალა და წამოიძახა:

- რა კარგია აქ!

მერე ნატიფი მოძრაობით პეშვი წყალი აიღო და მოსვა. წვეთები თითებს შორის ჟონავდა და მარგალიტებით ამკობდა მის კაბას.

როცა წყურვილი მოიკლა, ორივე ხელით კვლავ შეაგროვა წყალი და მაცდურად მიაწოდა მეგობარს:

- დალიეთ!

- არ მწყურია, - დაიბურტყუნა გაოცებულმა ემიდიომ.

როზამ სახეში შეასხა წყალი, ქვედა ტუჩი ლამის ზიზღის ნიშნად დამანჭა. მერე ერთ-ერთ გამომშრალ ავზში ჩაწვა, როგორც აკვანში, ფეხები კიდეზე შემოაწყო და მოუსვენრად იწყო ქუსლების ბაკუნი. უეცრად წამოხტა, განსაკუთრებული მზერით მიაჩერდა ემიდიოს:

- მაშასადამე? წავედით.

განაგრძეს სეირნობა. შეკრების ადგილას დაბრუნდნენ მდუმარენი. მათ თავს ზემოთ შაშვები გალობდნენ, მზის სხივების განივი კონები კვეთდა მათ სავალს. ირგვლივ კიტყის სურნელი ტრიალებდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ემიდიო გაემგზავრა.

რამდენიმე თვის შემდეგ ემიდიოს ძმამ ცოლად შეირთო როზა.

სემინარიაში სწავლის პირველ წლებში ყმაწვილ მორჩილს მრავალგზის უფიქრია ახალ რძალზე. გაკვეთილების განმავლობაში, როცა მღვდლები Epitome historiae sacrae-ს უხსნიდნენ, იგი მასზე ოცნებობდა. საკლასო ოთახებში, როცა ანალოგიებს აფარებული სემინარიელები გარყვნილებას ეძლეოდნენ, იგი ხელებში რგავდა სახეს და არაწმინდა წარმოდგენებში იძირებოდა. ეკლესიაში, როცა ყოვლადწმიდა ქალწულის ლიტანიები ჟღერდა, მისტიური ვარდის, Rosa mistica-ს ხსენებისას იგი შორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარბოდა.

და რადგანაც სემინარიელებისაგან გარყვნილება ისწავლა, იმ დღეს ტყეში მომხდარი უკვე სხვა ნათელში ახსენდებოდა. უცნაურად ღრღნიდა ეჭვი, რომ ვერ გამოიცნო, სტანჯავდა ბოლმა, რომ ვერ მოწყვიტა ასე შემოთავაზებული ნაყოფი.

მართლა ასე იყო? ნუთუ როზას ოდესღაც უყვარდა იგი? ნუთუ ასე შეუცნობლად ჩაუარა გვერდზე დიდ ბედნიერებას?

ეს აზრი დღითიდღე სულ უფრო მწვავე ხდებოდა, სულ უფრო თანმდევი, აღმგზნები, სულის შემხუთავი. დღითიდღე სულ უფრო მზარდი სიუხვით ასაზრდოებდა ეს აზრი მის ტანჯვას, სანამ ბოლოსდაბოლოს სამღვდელო ცხოვრების მონოტონურ მდინარებაში ეს აზრი უკურნებელ სენად არ იქცა მისთვის. ამ სენის გარდაუვალობის გამო ემიდიო უდიდეს სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, უსაზღვრო სევდა მოერია.

- ესე იგი ვერ გამოიცნო!

ოთახში სანთლები ილევენთებოდა. დახშული დარაბების ძელაკებს შორის ქარის სულ უფრო ძლიერი სუნთქვა აღწევდა და ფარდებს ბერავდა.

როზას სრულიად მოერია ძილქუში და ამიტომაც დროდადრო ხუჭავდა თვალებს. და როგორც კი თავი მკერდზე ჩამოუვარდებოდა, სწრაფი მოძრაობით კვლავ სწევდა მას.

- დაიღალეთ? - ტკბილი ხმით ჰკითხა მღვდელმა .

- მე არა, - მიუგო ქალმა, ძალა მოიკრიბა და წელში გაიმართა.

მაგრამ სიჩუმეში კვლავ ძილი დაეუფლა მის გრძნობებს. თავი კედელს მიაყრდნო, თმები ყელს უფარავდა, ოდნავ დაღებული პირიდან ნელი და ნებიერი სუნთქვა ამოსდიოდა. ასე იგი ლამაზი იყო და არაფერი იყო მასში მკერდის რიტმსა და მსუბუქი კაბის ქვეშ გამოკვეთილ მუხლებზე მეტად სასურველი. ქარის უეცარმა მობერვამ ფარდა ააფრიალა და ფანჯარასთან ახლო მდგარი ორი სანთელი ჩააქრო.

"რომ ვაკოცო?" - გაიფიქრა ემიდიომ, ხორცის მოულოდნელი კარნახით მოცულმა და მთვლემარეს გახედა.

კაცთა სიმღერა ჯერ კიდევ ედებოდა ივნისის ღამეს, საზეიმო საგალობლის მსგავსი. შორეთიდან შორეთში ვრცელდებოდა სხვადასხვა ტონზე საკრავიერი თანხლების გარეშე გამოცემული ხმა. სავსე მთვარე მაღლა უნდა ყოფილიყო ასული, ამიტომაც ოთახში დასადგურებული სუსტი შუქი ვეღარ ძლევდა დარაბებს მომწყდარ სინათლის ნაკადს, ხის ღრიჭოებში რომ ატანდა.

ემიდიო ცხედრისკენ შებრუნდა. მისი მზერა გვამის შავსა და უძრავ მოხაზულობას გაჰყვა და უნებურად ხელზე შეჩერდა. ხელი კოტიტა იყო, მოყვითალო, შესიებული, ზურგის მხარეს მოლურჯო ძარღვებით მოხაზული. ემიდიომ მზერა მოაშორა. ნელ-ნელა ძილით მოცული როზას თავმა ნახევარწრე შემოხაზა და შეშფოთებული მორჩილისკენ დაეშვა. ამ მშვენიერი ქალური თავის გადახრა ასეთი ნაზი იყო და რადგანაც მოძრაობამ ოდნავ დაარღვია ძილი, წამით გაპობილ ქუთუთოთა შორის გამოკრთა თვალის გუგათა კიდეები და მერე ისევ სითეთრეში დაიკარგა, როგორც რძეში ჩაძირული იის ფურცლები.

ემიდიო უძრავად დარჩა, მხრით აკავებდა სიმძიმეს. სუნთქვას იკრავდა, რომ მძინარე არ გაეღვიძებინა, უდიდეს აგზნებას შეეპყრო იგი, გულის, მაჯებისა და საფეთქლების გუგუნი თითქოს მთელს ოთახს ავსებდა. მაგრამ როზა ძილს აგრძელებდა და ემიდიომაც იგრძნო, რომ სუსტდება და რაღაც დაუძლეველი გარინდება ერევა ქალის ყელის ჭვრეტაში, რომელზედაც ვენერას მძივებივით აღბეჭდოდა ხორციელი გულისთქმა. ქალის თბილ სუნთქვას ისრუტავდა და მისი თმების სურნელს.

ღამის არომატით დატვირთულმა ახალმა მობერვამ მესამე ალი დახარა და ჩააქრო.

მაშინ, ყოველგვარი ფიქრისა და შიშის გარეშე ცდუნებას აყოლილმა ღამისმთეველმა ტუჩებში აკოცა ქალს.

შეხებისაგან ქალმა უეცრად გამოიღვიძა, გაოცებული თვალებით შეაცქერდა მაზლს თვალებში და გაფითრდა.

მერე ნელა შეაგროვა თმები კეფაზე და ასე დარჩა, წელგამართული. წინ იმზირებოდა და უძრავად აკვირდებოდა მოფუთფუთე ჩრდილებს.

- ვინ ჩააქრო სანთლები?

- ქარმა.

სხვა არაფერი უთქვამთ. ორივენი ძველებურად ისხდნენ სამზითვო სკივრზე და იდაყვებით ეხებოდნენ ერთმანეთს მტანჯველი გაურკვევლობით მოცულნი. რაღაცნაირი გონებრივი ძალისხმევით ცდილობდნენ, რომ მათ ცნობიერებამდე არ მისულიყო მომხდარი და ამით გაკიცხვას გადარჩენოდა. ორივემ თავისთავად გადაიტანა ყურადღება გარეგან მოვლენებზე. ნელ-ნელა ორივე უცნაურმა სიმთვრალემ დაიპყრო.

ღამეში სიმღერის ხმა ხანგრძლივად ეკიდა ჰაერში, თანდათანობით რბილდებოდა. კაცებისა და ქალების ხმები თითქოსდა სიყვარულით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ზოგჯერ გუნდიდან ერთი მაღალი ხმა იკვეთებოდა და ერთ ნოტზე ჩერდებოდა, მაშინ როცა სხვები აკორდებად გროვდებოდნენ მის ირგვლივ, როგორც ტალღები ნაკადის შუაგულის გარშემო. ზოგჯერაც, ყოველი საგალობლის დასაწყისში კვინტებზე აწყობილი გიტარის ლითონისებური ბგერა ისმოდა, შიგადაშიგ კი - ლეწვის ზომიერი დარტყმები მიწაზე.

ორივე ისმენდა.

იქნებ ქარის ბრალი იყო, რომ სურნელი შე[illegible]ალა. იქნებ ორლანდოს მაღლობიდან მოდიოდა ახლა ნარიჯის ძლიერი სუნი, ან სკალიას ბაღებიდან - ვარდების არომატი, იმდენად მკვრივი, რომ სივრცეს ქორწილისათვის მომზადებული მურაბის გემოს აძლევდა. იქნებ ფარნიას ტაფობიდან მოდიოდა სველ შროშანთა სურნელება, რომელიც ისევე აგრილებდა სუნთქვას, როგორც წყლის ყლუპი - სასას.

ორივე ჯერაც ჩუმად იყო სამზითვო სკივრზე. უძრავად ისხდნენ მთვარიანი ღამის გულისთქმით შეპყრობილნი. მათ წინაშე უკანასკნელი სანთლის ალი ირხეოდა მალიმალ, იხრებოდა და ცრემლს ადენდა უკვე თითქმის გალეულ ცვილს. ყოველწამს თითქოსდა ჩასაქრობად იყო მზად. ქალი და კაცი არ იძვროდნენ. სუნთქვაშეკრულები მისჩერებოდნენ მოკანკალე მომაკვდავ ალს. უეცრად მათრობელა ქარმა ჩააქრო იგი. მაშინ კი შიშის გარეშე, შეთანხმებული სიხარბითა და ერთდროულად ქალი და კაცი ჩაეხვივნენ ერთმანეთს, ტუჩებით იწყეს ერთმანეთის ძებნა, თავდავიწყებით, ბრმად, ხმის გაუღებლად.

იტალიურიდან თარგმნა ნოდარ ლადარიამ



სიბილე ბერგი

# ნორას შია

ყოველ დილით ვიწონები.

დილაობით ოდნავ ნაკლებს ვიწონი ხოლმე.

ნახევარი წელია მხოლოდ კიტრით, ვაშლითა და სალათით ვიკვებები. ყოველგვარი მისაყოლებლის გარეშე, რა თქმა უნდა.

თავიდან ცუდად ვხდებოდი. მუცლის გვრემა მემართებოდა. ახლა საქმე უკეთ მიდის. საჭმელს დავყნოსავ და მორჩა, აღარ მშია. საჭმლის სუნი გულს მირევს.

გუშინ 40 კილო ვიყავი. 1,75 ვარ და სიმაღლეში ალბათ ცოტას კიდევ მოვიმატებ. დეფიცებული მაქვს: კიდევ უნდა დავიკლო!

რაც ჭამას თავი გავანებე, არავინ აღარ მჭირდება. მშობლები გინდ ყოფილან, გინდ არა. ჩემზე რას ფიქრობენ, არ მაინტერესებს. მე ხომ ვიცი, რომ მაგარი ვარ. ამასწინ დედაჩემმა იტირა. დავინახე, როგორ ჩამოეთხაპნა მაკიაჟი და ოთახიდან გამოვედი. ახლა შევამჩნიე, რამსისქე ყოფილა, მაგრამ ეს ამბავი სულ არ აწუხებს. მე კი, სანამ სქელი ვიყავი, შესვენებაზე ფეხსალაგში გავრბოდი, რომ თანაკლასელებს გავრიდებოდი. ახლა აღარ ვიმალები, უფრო მეტიც, იმასაც კი ვფიქრობ, ჩემი შურთ-მეთქი.

სილამაზემდე კიდევ ბევრი მიკლია. ჯერ მაინც მეტისმეტად სქელი ვარ. მკლავებს არაუშავს რა - ძვალზე ტყავიღაა გადაკრული. ნეკნებიც უკვე კარგად მეტყობა, მაგრამ აი, ფეხები ჯერ კიდევ სქელი მაქვს.

სქელი როცა ვიყავი, თითქოს პიროვნებას აღარ წარმოვადგენდი. ახლა საქმე სხვაგვარადაა. შიგნით და გარეთ თავს ერთნაირად მტკიცედ ვგრძნობ. როცა რაიმე მიზანი გაქვს, მარტო აღარა ხარ, რადგან მიზანი მუდამ შენთანაა, მუდამ თან გახლავს.

კარგად მახსოვს ის დრო, სქელი რომ ვიყავი. ერთ წუთს თუ კარგად ვგრძნობდი თავს, მეორე წუთში ავღრიალდებოდი და მიზეზს ვერ ვპოულობდი. ეტყობა, ყველაფერი უაზრობად მეჩვენებოდა: ის, რომ სკოლას დავამთავრებდი, რაღაც პროფესიას შევიძენდი, მერე ალბათ გავთხოვდებოდი და პატარა ბინაში ვიცხოვრებდი. პატარა ბინაზე გულისამრევი კი აბა რა უნდა იყოს. ასეთ ცხოვრებას ხომ ცხოვრება აღარ ჰქვია. ოღონდ ცხოვრება როგორი უნდა იყოს, ჯერაც არ ვიცი. რომ გავლამაზდები, აი, ალბათ მაშინ მეცოდინება, რა არის ცხოვრება. მაშინ კეიტ მოსივით ლამაზი ვიქნები და მასავით მოდელიც გავხდები.

დედაჩემმა ამასწინ ფსიქოლოგთან წამიყვანა. ფსიქოლოგი ერთი მსუქანი, ბებერი კაცი იყო. დედამ მარტო დაგვტოვა და იმ ბებერმა გაჩმახება დამიწყო. ოღონდ ის კი ვერ მოტვინა, ასე იოლად მე რომ ვერავინ გამიჩმახებდა. რაღაც-რაღაცეები მეც წამიკითხავს და მათი ბრიყვული ტრიუკების ამბავიც ზეპირად ვიცი. ამ ბებერს ხომ, თითქოს საგანგებოდ, სიბრიყვე სახეზე ეწერა.

გაწუხებს რამეო, მკითხა და კიდევ რაღაც საზიზღრობები მოაყოლა. მე მხოლოდ მივჩერებოდი და ხმას არ ვიღებდი. ამ ქონის ტომარას პერანგქვეშ ოფლის ლარები ემჩნეოდა. მის შეკითხვებზე არც დავფიქრებულვარ. განა შეიძლებოდა, ისეთი კაცისთვის რაიმე მომეყოლა, საკუთარი თავი რომ ვერ გაუკონტროლებია და გასკდომამდე ძღება? მოკლედ, წამოვედი და ის ფსიქოლოგი აღარც გამხსენებია.

მე ჩემი მიზანი მაქვს. არაფრის აღარ მეშინია. არც ფიქრისთვის ვიწუხებ თავს და ასეთ ყოფას, მე მგონი, ამქვეყნად არაფერი სჯობია.

გერმანულიდან თარგმნა ᲓᲐᲚᲘ ᲨᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ

ხულიო კორტასარი



# ედგარ პოს ცხოვრება

## ახალგაზრდობა

დასაწყისი იხ. "არილი", N16, 17, 18

მისის კლემი მუდამ გაჭირვებაში ცხოვრობდა. მადი მიეჩვია ნისიებს, იმას, რომ მეგობრები მალულად, მის კალათში ხან ბოსტნეულს, კვერცხებს, ხანაც ხილს აწყობდნენ ხოლმე. ედგარს თითქმის არავინ ბეჭდავდა და გამომუშავებული რამდენიმე დოლარიც წამიერად ქრებოდა. იგი ყველანაირად ცდილობდა დახმარებოდა დეიდას. მაგრამ ამ დროს ამოტივტივდა რაღაც ძველი ვალი (შესაძლოა ძმის) და ამასთანავე, დაპატიმრების საშიშროებაც გაჩნდა. სასოწარკვეთილმა ჯონ ალანს მისწერა: "ღვთის გულისთვის, ნუ დამღუპავთ თანხისთვის, რომლის დაკარგვაც თქვენთვის არაფერი იქნებოდა..." ალანმა მესამე პირის მეშვეობით უკანასკნელი დახმარება გაუწია ედგარს. ციხე აღარ ემუქრებოდა მას.

მათ, ვინც სხვადასხვა ნაკლს ხედავენ პოს ლიტერატურულ და ზოგადკულტურულ ევოლუციაში, არ უნდა დაივიწყონ: 1831-1832 წლებში, როცა საბოლოოდ მწერლობის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება, პოს შიმშილი, სიღატაკე და მუდმივი შიში ტანჯავდა. ის ფაქტი, რომ მან შეძლო წინსვლა და დღითიდღე ახალ საფეხურებს იპყრობდა მხატვრული ოსტატობისკენ მიმავალ რთულ გზაზე, ნათელს ხდის, თუ რა ძალა იყო დაფარული უნებისყოფოთა შორის ამ ყველაზე დიად ადამიანში. მაგრამ ხანდახან ედგარი წუხბიდან გამოდიოდა ხოლმე, თუმცა არავინ იცის, ბევრს სვამდა თუ არა იგი მაშინ (მისთვის ხომ უმცირესი დოზაც ფატალურ გავლენას ახდენდა). მას მერი დევერო შეუყვარდა - კლემების მეზობელი ახალგაზრდა და ლამაზი გოგონა. მერისთვის პოეტი რაღაც იდუმალის, გარკვეულწილად კი აკრძალულის განსახიერებად იქცა - უკვე დადიოდა

ხმები მისი წარსულის შესახებ და ეს ხმებიც, ძირითადად ისევ ედგარის გავრცელებული იყო. ამას გარდა, ედგარი ძალზე ეფექტური გარეგნობის ახალგაზრდა იყო და ყველა ქალზე, ვისთანაც კი ჰქონდა ურთიერთობა, უდიდეს ზეგავლენას ახდენდა. მრავალი წლის შემდეგ მერი მას ასე აღწერდა: "მისტერ პო დაახლოებით ხუთი ფუტისა და რვა დუიმის სიმაღლისა იყო; მუქი, თითქმის შავი თმები გრძლად ჰქონდა მოშვებული და ყოველთვის უკან გადავარცხნილი, როგორც ეს სტუდენტების წრეში იყო მიღებული. მისი თხელი თმები აბრეშუმისას ჰგავდა, დიდი და მოელვარე ნაცრისფერი თვალები კი თითქოს მსჭვალავდა ყველაფერს. იგი მუდამ სუფთად იყო გაპარსული. ჰქონდა სწორი და გრძელი ცხვირი, თხელი ნაკვთები და მეტყველი, ლამაზი პირისახე. ფერმკრთალი იყო, მზერა კი სევდიანი და მელანქოლიური ჰქონდა. ძალზე გამხდარი იყო... მაგრამ მოხდენილი ტანისა, თავი მაღლა ეჭირა მეომარივით და სწრაფი სიარული იცოდა. ყველაზე შესანიშნავი მისი მანერები გახლდათ. იგი ელეგანტური იყო და როცა ვინმეს უყურებდა, გეგონებოდა, მის ფიქრებს კითხულობსო. ხმა სასიამოვნო და მუსიკალური ჰქონდა. მუდამ ბოლომდე შეკრული შავი სერთუკით დადიოდა ხოლმე... მოდას არაფრად აგდებდა, იგი თავისი საკუთარი სტილით გამოირჩეოდა".

აი, ასეთი პორტრეტია. გასაკვირი არაა, რომ გოგონა ადვილად მონუსხა მეზობელმა, მაგრამ იდილია ერთი წელიც კი არ გაგრძელებულა. იმ დროს გამეფებულმა ფარისევლურმა მორალმა თავისი ქნა: "მისტერ პო პატივს არ სცემდა კანონებს - არც ღვთაებრივსა და არც ადამიანურს", - იტყვის მოგვიანებით მერი. მისტერ პო ეჭვიანი აღმოჩნდა და ხშირად ყველაფერი სცენებით სრულდებოდა ხოლმე. მისტერ პო ცუდად იქცეოდა. მისტერ პომ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, როცა მერის ბიძა შეყვარებულების საქმეში ჩაერია; მისტერ პომ შოლტი იყიდა, მიუვარდა არამკითხე ჯენტლმენს და გაროზგა იგი. ჯენტლმენის ნათესავებმა პასუხად მისტერ პო სცემეს და თავიდან ბოლომდე გადაუფხრიწეს სერთუკი. ფინალური სცენა საუკეთესო რომანტიკული პიესების დონეზე ჩატარდა: მისტერ პომ, გახეული სერთუკით მთელი ქალაქი გადაჭრა - თან ქუჩის ბიჭების ყიჟინა მოჰყვებოდა - ერთი ამბავი აუტეხა მერის, შევარდა სახლში და შოლტი გოგონას ფეხებთან დააგდო, თან დააყოლა: "აჰა! მიიღე ჩემგან საჩუქარი!" მაგრამ ეს შემთხვევა მხოლოდ თავშესაქცევი როდია, არამედ ძალზე მნიშვნელოვანიც; აქ ედგარი მთელი თავისი არსებით წარმოგვიდგა, მომავალში იგი ხშირად გვაჩვენებს თავს ასეთივე ამპლუაში - ადამიანად, ვისაც არ ძალუძს და არ სურს დამორჩილდეს საყოველთაო კანონებს. მერის ოჯახმა საქმე ბოლომდე მიიყვანა - მისტერ პომ დაკარგა საცოლე. ერთადერთი ნუგეში ის გახლდათ, რომ თავად მას, ალბათ ბევრი არ უდარდია ამაზე.


ვირჯინია კლემი



1832 წლის ივლისში ედგარმა შეიტყო, რომ ჯონ ალანი მძიმედ გამხდარა ავად და რომ მას ანდერძიც შეუდგენია. ედგარი მაშინვე რიჩმონდში გაემგზავრა. რისთვის? როგორც ჩანს, აქ გარკვეული როლი ითამაშა მატერიალურმა ინტერესებმაც და წარსულის მოგონებებმაც. მისთვის არავის დაუძახია, იგი მოულოდნელად ჩავიდა იქ, გაფრთხილების გარეშე და ჩასვლისთანავე პირისპირ შეეჩეხა ახალ მისის ალანს, რომელმაც მალევე აგრძნობინა, რომ მისთვის იგი ერთი ვიგინდარა იყო და სხვა არაფერი. ადვილი წარმოსადგენია ედგარის რეაქცია; ამ კედლებში, ამ ოთახებში ხომ მან ბავშვობა გაატარა, აქ ყველაფერი "დედის" ხსოვნას ინახავდა. საუბედუროდ, მას კვლავ არ ეყო თავშეკავებულობა, საშინელი სცენები მოაწყო, თუმცა ალანის ნახვის გამბედაობაც არ ეყო და სახლიდან ზუსტად მაშინ გამოიქცა, როცა მსახურები აღმზრდელის დასაძახებლად გაემართნენ. ასე რომ, ვიზიტი სრული წარუმატებლობით დასრულდა და ედგარი ბალტიმორს დაუბრუნდა - ჩვეულ სიღატაკეს.

1833 წლის აპრილში მან "მფარველს" უკანასკნელი წერილი მისწერა. იქ არის სიტყვები, რომელიც კომენტარს არ საჭიროებს: "ღვთის გულისათვის, შემიბრალე და მიხსენი დაღუპვისაგან". ალანმა არ უპასუხა. ედგარმა კი ამასობაში პირველი პრემია (50 დოლარი) მოიპოვა მოთხრობისთვის "ბოთლში ნაპოვნი ხელნაწერი", რომელიც საკონკურსოდ ჟურნალ "ბალტიმორ სათერდეი ვიზიტერში" ჰქონდა გაგზავნილი. ასე რომ, მის მოთხრობებს მეტი ხეირი მოჰყვა, ვიდრე წერილებს.

1833 და მომდევნო წლის უდიდესი ნაწილი ედგარმა საშინელ სიღატაკეში გაატარა, ბევრს მუშაობდა. იგი უკვე სახელგანთქმული გახდა ბალტიმორის განათლებულ წრეებში, გამარჯვებულმა მოთხრობამ კი აღფრთოვანება და ქება-დიდება დაიმსახურა. 1834 წლის დასაწყისში მას აცნობეს, რომ ალანი სიკვდილის პირას იმყოფებოდა და ედგარმა, ბევრი ფიქრის გარეშე მეორეჯერ, ასევე უშედეგოდ სცადა მოენახულებინა "საკუთარი" სახლი.



ჯონ ჰილ ჰიუიტი. „ბალტიმორის სათარდეი ვიზიტორის" რედაქტორი

„შინ" მისულმა ხელი კრა მაჟორდომს, რომელსაც, როგორც ჩანს, დავალებული ჰქონდა, არ შეეშვა იგი. აირბინა კიბე და კართან გაჩერდა, სადაც წყალმანკით დამბლადაცემული, სავარძელში მოკალათებული ჯონ ალანი გაზეთს კითხულობდა. ავადმყოფი ედგარის დანახვისთანავე განრისხდა: წამოდგომაც სცადა, წყევლაკრულვით იკლებდა იქაურობას და ხელჯოხსაც უღერებდა „შვილობილს". მსახურებმა ედგარი გარეთ გააგდეს. მალე ბალტიმორში ალანის სიკვდილის შესახებ შეიტყეს. მან თავისი უზარმაზარი ქონებიდან ერთი ცენტიც კი არ დაუტოვა აღსაზრდელს, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს: ედგარს რომ „მამობილის" მიერ შეთავაზებული რომელიმე ის საიმედო გზა აერჩია, ალანი, უეჭველად დაეხმარებოდა მას. რა თქმა უნდა, ედგარს სრული უფლება ჰქონდა, თავისი გზით ევლო, მაგრამ არც ის იქნებოდა სწორი, ალანისათვის გადაგვებრალებინა ყველაფერი. მისი ნამდვილი დანაშაული ის კი არ იყო, რომ არ ესმოდა ედგარის, არამედ ის, რომ ზედმეტად ძუნწი იყო და სასტიკი, ცდილობდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მოერჯულებინა ჭირვეული ყმაწვილი. საბოლოოდ ჯონ ალანმა ყველანაირად მარცხი იწვნია პოეტთან პაექრობაში, თუმცა კი გამარჯვება, უპირველეს ყოვლისა, თავად ტრიუმფატორს ტანჯავდა.

ახლა ჩვენ „იდუმალებით მოცულ ეპიზოდს", პროვოკაციულ თემას მივადექით, რისი გულისთვისაც უკვე საუკუნეზე მეტია, უშურველად იხარჯება მელანი. ამ ეპიზოდის მთავარი გმირი პატარა ვირჯინია კლემია, ედგარის კუზინა, რომელიც მალე მისი საცოლე გახდა, შემდეგ კი პოეტმა იქორწინა კიდეც გოგონაზე. ვირჯინია ცამეტი წლისაც კი არ იყო, ედგარს კი ოცდახუთი შესრულებოდა. შევნიშნავთ, რომ მაშინ ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა, თუკი გოგონა თოთხმეტი წლისა გათხოვდებოდა. მთელ ამ ისტორიას სულ სხვა გარემოება ანიჭებს საიდუმლო ელფერს: ვირჯინია არ იყო გონებრივად საკმარისად განვითარებული და სიკვდილამდეც ასეთი ბავშვური დარჩა. მადი არც ედგარისა და ვირჯინიას ურთიერთობას აღუდგა წინ და არც ქორწინებას (თუმცა კი მათ ფარულად დაიწერეს ჯვარი, იმის შიშით, რომ სხვა ნათესავები არ განრისხებულიყვნენ - ძნელი წარმოსადგენი არაა მათი რეაქცია) და რადგან ქალიშვილი ედგარს ანდო, მადის მისი იმედიც ჰქონდა. ვირჯინიას ძალიან უყვარდა თავისი „კუზენი ედი" და შესაძლოა ქორწინებასაც მისთვის დამახასიათებელი ბავშვური გულახდილობით დათანხმდა: იგი აღფრთოვანებული იყო იმით, რომ შეიძლებოდა ასეთი სახელგანთქმული ახალგაზრდა კაცის მეუღლე გამხდარიყო. მაგრამ გამოცანა მაინც ედგარის ბუნებაში იყო დაფარული. დიახ, მას ყოველთვის, მთელი სულითა და გულით უყვარდა თავისი სისი და არაერთხელ დაამტკიცა ეს, მაგრამ ქალივით უყვარდა მას ვირჯინია? რატომ მოიყვანა ცოლად? ამაზე ბევრს დაობენ. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე ჯანსაღი ვერსია შემდეგში მდგომარეობს: პომ ვირჯინია სხვა ქალებთან ურთიერთობისგან თავის დასაცავად მოიყვანა ცოლად, რათა ეს ურთიერთობები არ გაცდენოდა მეგობრულ ჩარჩოებს. შემთხვევითი არაა, რომ მხოლოდ ვირჯინიას გარდაცვალების შემდეგ დაიბრუნა ედგარის სასიყვარულო გატაცებებმა ძველი თავაშვებულობა, თუმცა მათში ყოველთვის იყო რაღაც ბუნდოვანება და გაურკვევლობა. მაინც რისგან იცავდა თავს ედგარი? აი, სწორედ აქ სკდება მელანის ხავუბარი და არ გვინდა ამ სიტყვიერ დინებას ჩვენი ნაკადულიც მივუმატოთ. ყველაზე დამაჯერებელი იქნება დავუშვათ, რომ ედგარ პოს, ფსიქიკის საფუძველზე რაღაც სექსუალური პრობლემები ჰქონდა და ამით, ერთი მხრივ, მისი ლტოლვები ოცნებებში, იდეალურის სფეროში სუბლიმირდებოდა, მეორე მხრივ კი, ყველაფერი ეს იმდენად ტანჯავდა მას, რომ ნორმალური ცხოვრების უბრალო ილუზია მაინც ესაჭიროებოდა, რის საშუალებასაც ვირჯინიასთან ქორწინება იძლეოდა. ბევრი რამ ითქვა სადიზმის შესახებაც, უმწიფარი გოგონასკენ ავადმყოფური ლტოლვის შესახებ... ამ ისტორიამ აუარება ვერსია შვა.

1835 წლის მარტში ედგარი საოცარ შემოქმედებით აღმავლობას განიცდის, მაგრამ ამავე დროს ნორმალური კოსტუმიც კი არ გააჩნია, რომ სადილზე მიწვევა მიიღოს. ერთხელ მან აღიარა კიდეც ეს, თავისდა სამარცხვინოდ, ერთ-ერთი კეთილისმსურველისადმი მიწერილ ბარათში, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა, დახმარებოდა ედგარს ლიტერატურული გეგმების განხორციელებაში. გულახდილობამ თავისი ქნა. ჯენტლმენმა იგი რიჩმონდის ჟურნალთან, „სამხრეთის ლიტერატურულ მაცნესთან" დააკავშირა („საუთერნ ლითერარი მესენჯერ"). იქ „ბერენიკა" დაბეჭდეს, მოგვიანებით კი ედგარი კვლავ დაბრუნდა „თავის" ქალაქში - რათა ამ ჟურნალის შტატიანი თანამშრომელი გამხდარიყო, ანუ პირველად თავის ცხოვრებაში, მუდმივი სამსახური დაეწყო. თანაც, მალე ჯანმრთელობამაც უმტყუნა. ბევრის აზრით, სწორედ ბალტიმორის პერიოდში იღებდა ედგარი ოპიუმს (ლაუდანუმს - როგორც დე ქუინსი და კოლრიჯი). გული ვერ უძლებდა დაძაბულობას და სტიმულატორებს ითხოვდა - ოპიუმი მისთვის



თომას უილის უაიტი. „საუთერნ ლითერარი მესენჯერის" გამომცემელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უებარი წამალი აღმოჩნდა. სწორედ ოპიუმის გავლენით დაწერა მან, როგორც ჩანს, "ბერენიკას" უდიდესი ნაწილი და იმავე ეფექტის წყალობით იგი კიდევ ბევრ მოთხრობას შექმნის. რიჩმონდში დაბრუნება წამიერ აღდგომას ნიშნავდა. გაჩნდა დაწერილის დაბეჭდვის, ცოტაოდენი ფულის შოვნის შესაძლებლობა, რომელსაც მადისა და სისხ გაუგზავნიდა. რიჩმონდელებს ედგარი ბავშვი ახსოვდათ, შემდეგ იყო სკანდალური დიდებით მოსილი ახალგაზრდა ყმაწვილი, ახლა კი მათ ოცდაექვსი წლის, დროზე ადრე დავაჟკაცებული მამაკაცი წარუდგათ. მაგრამ ფიზიკური მოწიფულობა ძალიან უხდებოდა ედგარს. კოხტად მორგებული, თუმცა კი ძველი და გაცვეთილი შავი კოსტუმი რაღაც საბედისწერო იერს სძენდა - ბაირონის ყაიდაზე; არადა, ბაირონულ სტილს უკვე ღრმად გაედგა ფესვები და ბევრი ფანატიკური მიმდევარიც ჰყავდა. ედგარ პო თვალისმომჭრელად ლამაზი ახალგაზრდა იყო მომნუსხველი მზერით, შესანიშნავი მოსაუბრე უცნაურ ლექსებსა და მოთხრობებს წერდა, რომელთა წაკითხვისას ტანში ჟრუანტელი გივლიდა - სწორედ ამაზე ოცნებობდნენ დროის ფეხისხმას აყოლილი ლიტერატურული ჟურნალების ხელმომწერნი. ცუდი ის იყო, რომ ედგარი სულ რაღაც ათ დოლარს იღებდა კვირაში, რომ ბავშვობის მეგობრები ყოველთვის მის გვერდით აღმოჩნდებოდნენ ხოლმე და რომ ვირჯინიაში ბევრი სმა უყვარდათ. თანაც, არც მადი და ვირჯინია ჰყავდა გვერდით და ამანაც ითამაშა თავისი როლი. საკმარისი იყო, ერთი ჭიქა დაელია ედგარს და ყველაფერი უკვე ცნობილი სცენარით ვითარდებოდა. ლოთობისა და პირიქით, თავშეკავების ხანგრძლივი პერიოდების ეს მონაცვლეობა დამთრგუნველი მონოტონურობით გაგრძელდა სიცოცხლის ბოლომდე. ალბათ ყველაფერს გაიღებ ადამიანი, რათა შეწყდეს ამ ქანქარას რხევა, ოღონდაც თავი დააღწიო ჯოჯოხეთურ გაორებულობას და წრეზე სვლას - საკუთარი სულის საპყრობილეში გამომწყვდეული ტუსაღივით. ერთ-ერთი ასეთი შეტევისას, უიმედო ედგარი მეგობარს მისწერს, ოღონდ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, შეეცდება საგნებს თავისი სახელი არ დაარქვას: "თავს უბედურად ვგრძნობ, არ ვიცი, რატომ... მანუგეშეთ... თქვენ ხომ შეგწევთ ამის ძალა. ოღონდ მალე... თორემ გვიან იქნება. დამარწმუნეთ, რომ სიცოცხლეს აზრი აქვს, რომ იგი აუცილებელია..." ეს უკვე შეფარული მინიშნებაა თვითმკვლელობაზე; რამდენიმე წლის შემდეგ პო თავის მოკვლასაც ეცდება.

ბუნებრივია, მალე იგი დაითხოვეს ჟურნალიდან, მაგრამ "მაცნეს" დირექტორი აფასებდა პოს და გარკვეული დროის შემდეგ კვლავ აიყვანა სამუშაოდ, ოღონდ ურჩია, რიჩმონდში ჩამოეყვანა ოჯახი და გარიდებოდა ნებისმიერ თავყრილობას, სადაც კი ღვინო დაიდგმებოდა მაგიდაზე. ედგარმა შეისმინა რჩევა. მისის კლემი და ვირჯინიაც ჩამოვიდნენ მასთან. ახალმა პუბლიკაციებმა კიდევ უფრო გაამყარა ახალგაზრდა მწერლის დიდება. მისი კრიტიკული შენიშვნები - მწვავე, გესლიანი, ხშირად უსამართლო და სუბიექტური, თუმცა კი ყოველთვის ბრწყინვალედ დაწერილი - დიდი პოპულარობით სარგებლობდა. წელიწადზე მეტ ხანს ედგარი სასმელს არ გაკარებია. "მაცნეში" გაგრძელებებით იბეჭდებოდა "არტურ გორდონ პიმის ისტორია". 1836 წლის მაისში მან მეორედ - ამჯერად უკვე ღიად, მეგობრების თანდასწრებით იქორწინა ვირჯინიაზე, რომელიც ისევ აღმერთებდა თავის რჩეულს. ამ პერიოდში - მიუხედავად პრობლემებისა, რომლებიც სამწუხაროდ, სულ უფრო ხშირად აწუხებდა პოეტს - პომ აუარება რეცენზია და ესე დაწერა. ედგარ პო-კრიტიკოსმა დიდების მწვერვალს მიაღწია და ჩრდილოეთის ლიტერატურულ წრეებში, სადაც, როგორც წესი, არაფრად აგდებდნენ სამხრეთელების ინტელექტუალურ დონეს, ბევრი შეძრა და გააცოფა ამ ვიღაც "მისტერ პომ", რომელიც ბედავდა და მათ სათაყვანებელ კერპებზე ილაშქრებდა. ხოლო უნიჭო მწერლებს კი იგი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მიწასთან ასწორებდა და არც მათთან სკანდალს ერიდებოდა. წარმოიდგინეთ, რა დაემართებოდათ ამ ადამიანებს, როცა გაიგებდნენ, რომ ედგარი ვირჯინიიდან წასვლაზე ფიქრობდა და ფილადელფიაში ან ნიუ-იორკში - ამერიკული ლიტერატურის ორ ცენტრში - აპირებდა ეცადა ბედი. დიდხანს ლოდინი მას არ დაჭირვებია: "მაცნედან" წამოსვლის საქმე ედგარის ვალებმა დააჩქარა, თანაც დირექტორსაც აევსო მოთმინების ფიალა - ედგარი ხშირად იგვიანებდა, რამდენიმე დღე უნდებოდა გამოფხიზლებას. მაგრამ ჟურნალი მაინც ნანობდა ისეთი ავტორის დაკარგვას, როგორიც პო იყო, მისი წყალობით ხომ "მაცნეს" ტირაჟი რამდენიმე თვეში რვაჯერ გაიზარდა.

ედგარს გაუჭირდა ნიუ-იორკში დაფუძნება, დროც ძალზე არასახარბიელო იყო: ჯექსონის მმართველობის წლებში ქვეყანა ეკონომიკურ დეპრესიას განიცდიდა და სამუშაოს მოძებნა თითქმის შეუძლებელი ხდებოდა. მაგრამ იძულებითი უსაქმურობა ედგარისთვის სასიკეთო აღმოჩნდა შემოქმედებითი თვალსაზრისით. იგი აღარ ხარჯავდა დროს რეცენზიებსა და შენიშვნებზე და შეეძლო თავი მთლიანად თხზვისათვის მიეძღვნა. ასე გაჩნდა მოთხრობების ახალი ციკლი. თანაც, მან "არტურ გორდონ პიმის" ცალკე წიგნად დაბეჭდვაც მოახერხა (რომელიც თითქმის არ გაყიდულა). მალე ედგარი დარწმუნდა, რომ ნიუ-იორკისგან კარგი არაფერი იყო მოსალოდნელი და უკეთესი იყო, ფილადელფიაში ეცადა ძალები - იმ დროს აშშ-ს ლიტერატურულ და საგამომცემლო დედაქალაქში. და აი, 1838 წლის ზაფხულში, ედგარ პო ოჯახთან ერთად ფილადელფიის ღარიბულ პანსიონში დასახლდა. მათ იქაურ ყოფაზე, იმაზე, თუ რა პირობებში უწევდათ ცხოვრება, შემდეგი ფაქტი მეტყველებს: ედგარმა თავისი გვარი მოაწერა კონხოლოგიურ ნაშრომს, რომელიც სინამდვილეში ამერიკელი სპეციალისტის მიერ, პოს დახმარებით გადამუშავებულ ინგლისური გამოკვლევის ვარიანტს წარმოადგენდა. მოგვიანებით წიგნმა ბევრი პრობლემა შეუქმნა ედგარს, მას პლაგიატობას აბრალებდნენ; განრისხებული პო კი უარყოფდა ამას და ამბობდა, რომ ნებისმიერი თანამედროვე ტექსტი სხვა წიგნების საფუძველზე იწერებოდა. რა თქმა უნდა, სამართლიანი შენიშვნაა - იმ დროისთვისაც და ჩვენი დროისთვისაც - მაგრამ პლაგიატორების რისხვის, ედგარ პოს შემთხვევაში, ეს თავდაცვის ძალზე სუსტ არგუმენტს წარმოადგენდა.

თარგმნა **შალვა მიზანდარამ**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

**პრილი**



თომას დე ქვინსი.

მალხაზ ხარბედია

# ერნსტ იუნგერის ბილიკებზე



საბჭოთა კრიტიკა ყოველთვის დიდი მონდომებით ასრულებდა მმართველთა დავალებას - შეექმნა მტრის ხატი. ამ კამპანიას "შეეწირა" ერნსტ იუნგერიც, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფილოსოფოსი და მწერალი. 1992 წლამდე მისი შემოქმედება თითქმის არ ითარგმნებოდა რუსულ ენაზე, საქართველოში კი მასზე ლიტერატურულ-კრიტიკული წერილიც კი არ დაბეჭდილა. ქართველი მკითხველისთვის დღემდე უცნობი დარჩა შემოქმედი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა თანამედროვე ფილოსოფიური და მხატვრული აზრის განვითარებაში.

"სულის ავანტიურა", "უნივერსალური სიმბოლო" - ასე უწოდებდნენ მის წიგნებს დასავლეთში, ჩვენში კი იგი მილიტარისტად, ანტიჰუმანისტად, ნეონაცისტად მონათლეს, მოაზროვნედ, ვინც "სიცოცხლის ფილოსოფია" ფაშიზმის სამსახურში ჩააყენა.

* * *

ერნსტ იუნგერი 1895 წლის 29 მარტს დაიბადა ქ. ჰაიდელბერგში. მეოცნებე, ჩაფიქრებული ყმაწვილისთვის მიუღებელი იყო ის შეზღუდვები, რომლებიც შინ თუ გარეთ უფლებას არ აძლევდა მას, მთელი თავისი სისავსით შეეგრძნო ცხოვრებისა და შემეცნების თვალისმომჭრელი მომხიბვლელობა, გაეგო ბუნებასა და ადამიანში მიმდინარე პროცესების არსი. 15 წლისა გატაცებით კითხულობდა დოსტოევსკის რომანებს, თხზავდა მცირე ზომის ნაწარმოებებს. 18 წლის ასაკში კი მეამბოხე, თავგადასავლების მოყვარული ახალგაზრდა სახლიდან გაიქცა და ალჟირის პატარა ქალაქში განლაგებულ გერმანიის არმიის ერთ-ერთ ლეგიონში დაიწყო სამსახური. მაგრამ მის რომანტიკულ ოცნებას ჯერ განხორციელება არ ეწერა (საქმეში მამა ჩაერია და იგი შინ დააბრუნეს), ამისთვის საჭირო იყო დიდი, სერიოზული გამოცდა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის სახით მოევლინა სამყაროს. ფრონტზე მოხალისედ წასული 19 წლის იუნგერი სასწაულით გადაურჩა სიკვდილს. დამანგრეველმა ომმა, ამ ომში მიღებულმა 14-მა ჭრილობამ (რისთვისაც პრუსიის უმაღლესი ჯილდო გადაეცა) მასში ახალი ადამიანი შვა, საკუთარ თავში ახალი თვისებები აღმოაჩინა, ასწავლა "სტერეოსკოპული ხედვა", უნარი, რომელიც მოვლენებიდან გაუცხოების საშუალებას იძლეოდა. აქედან იწყება მისი ყარიბობა, ამ წლებში გაიცნო იგი მსოფლიომ, როგორც ნიჭიერი მწერალი.

პირველი წიგნი "ფოლადის ქარიშხლებში" 1920 წელს გამოვიდა და ორიოდე წლის განმავლობაში თითქმის ყველა ევროპულ ენაზე ითარგმნა. განსხვავებით სხვა გერმანელ მოღვაწეთაგან, პირველ მსოფლიო ომში დამარცხება იუნგერს არ განუცდია როგორც კატასტროფა, გერმანული და ევროპული კულტურის აღსასრული. სალონური პესიმიზმის საპირისპიროდ, მას ეს ომი მიაჩნდა მსოფლიო ისტორიული პროცესის გადამწყვეტ მომენტად, რომელიც თავისი მნიშვნელობით საფრანგეთის რევოლუციაზე მაღლა იდგა. დღიურების სახით დაწერილ წიგნში იგი ომის ყოველდღიურობის აღწერასთან ერთად მის მისტიკურ მხარეზე მიანიშნებდა, აღიარებდა მის სტიქიურ, პირველყოფილ ბუნებას. ომი, ესაა "შემოქმედებითი ნგრევის პროცესი", უნივერსალური მოდელი, რომელშიც ადამიანისთვის ნათელი ხდება კულტურულ-ისტორიულ მოვლენათა მრავალფეროვნების არსი.

იუნგერი აზროვნების ახალ წესს ირჩევს, კლასიკური გერმანული ფილოსოფიის იდეალებს ნიცშესა და შპენგლერის სიმბოლოთა სამყაროთი ცვლის, ცნებით აზროვნებას კი - მითოლოგიური ხატებით. მისი წიგნი "ომი, როგორც შინაგანი განცდა" (1922) ომის სიღრმისეული გააზრებაა და არა ძალადობის აპოლოგია. კრიტიკულმა დამოკიდებულებამ ბურჟუაზიისა და 20-30-იანი წლების მმართველი პოლიტიკური ძალების მიმართ, კიდევ უფრო გააღრმავა მასში "ღირებულებათა გადაფასების", "ტოტალური მობილიზაციის" (ასე ერქვა სტატიას, რომელიც 1930 წელს დაიბეჭდა) აუცილებლობის რწმენა. ძველთუძველესი "პროფესია-მჭვრეტელი", მისთვის დრომოჭმული მითების დასაძლევ იარაღად იქცა, თუმცა იუნგერის ზოგიერთი თვალსაზრისი ნაცისტებმა მიისაკუთრეს და იდეოლოგიური სტერეოტიპების ჩამოყალიბებისთვის გამოიყენეს. 1932 წელს იუნგერის ყველაზე უფრო გახმაურებული ფილოსოფიური ნაშრომი გამოვიდა - "მუშა, ბატონობა და ხატი", წიგნი, რომელიც ისევე, როგორც თავის დროზე ნიცშეს თხზულებები, ვერ გაიგეს, ვერ შეაფასეს. "მუშა" არ განასახიერებს გარკვეულ ფენას, სოციალურ ჯგუფს ან კლასს, მას არანაირი კავშირი არა აქვს არსებულ სოციალურ სტრუქტურებთან, იგი ყოვლისმომცველი სიმბოლოა, წინასწარმეტყველური ხატი, რომელმაც ახალი ცნობიერების გამოღვიძებასთან ერთად, ახალი შემოქმედე-

ბითი ძალები უნდა აამოძრავოს. "მუშა" - ესაა სიცოცხლის თანამედროვე გაგება, ინდივიდუალობის უარყოფა, ნიცშესეული Amor Fati, მსხვერპლი, რომელმაც ადამიანს უნდა სძლიოს. მეორე სახე, რომელიც "მუშაზე" გამძლე აღმოჩნდა, "მეომარია", "სიკვდილის ჟონგლიორი", როგორც მას თავად მწერალი უწოდებს. მასზე მსჯელობას იუნგერი სოციალური მიზეზების ჩამოთვლით იწყებს და აღნიშნავს, რომ ფენათა შორის საზღვრის მოშლით, თავად-აზნაურთა პრივილეგიების შეზღუდვით ქრება ცნება "მეომართა კასტა". ქვეყნის ინტერესების დაცვა აღარაა შეიარაღებული ხალხის გარკვეული ჯგუფის მოვალეობა. პრივილეგია, რომელიც ადრე პროფესიონალ მეომარს ეკუთვნოდა, ახლა ყველას მოვალეობად იქცევა, ყველასი, ვისაც ხელში იარაღის დაჭერა შეუძლია.



იუნგერი - ვერმახტის ოფიცერი. 1942.

ეს წიგნი ("მუშა...") იმთავითვე ინტელექტუალური წრეების ყურადღების ცენტრში მოექცა. მარტინ ჰაიდეგერმა იგი თავისი სემინარების თემად აირჩია 1939-40 სასწავლო წელს ფრაიბურგის უნივერსიტეტში. ზოგმა კი იგი არ მიიღო, ნაწილმა "ტოტალიტარიზმის აპოლოგიისთვის", ნაწილმა კი მისივე აღსასრულის წინასწარმეტყველებისთვის (როგორც, მაგალითად, ფაშისტურმა გაზეთმა "ფოლკიშერ ბეობახტერმა"). 1967 წელს მარტინ ჰაიდეგერისადმი მიწერილ ერთ-ერთ პირად წერილში იუნგერი წერდა: "წიგნი, არსებითად, მხედველობიდან გამორჩათ, ვერ შეამჩნიეს მასში გამოთქმული დიაგნოზები და პროგნოზები", რომელთა აღსრულება, თურმე წიგნის გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, 1933 წელს უნდა დაწყებულიყო.

ერნსტ იუნგერისა და ნაციონალ-სოციალისტების ურთიერთობაზე ბევრი დაწერილა, მაგრამ ერთი კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, იგი ყოველთვის თავს არიდებდა ფაშისტურ წრეებთან თანამშრომლობას. ორჯერ, 1927 და 1933 წელს, უარყო რაიხსტაგის დეპუტატობა ნაციონალ-სოციალისტური პარტიიდან, ხოლო მათი სათავეში მოსვლის შემდეგ კი უარი განაცხადა წინადადებაზე, გამხდარიყო გერმანიის აკადემიის წევრი (რომელშიც აღარავინ იყო მუნდირში გამოწყობილ "ხელოვანთა" გარდა). თუმცა, 1939 წელს იგი ვერმახტის ოფიცრად გავევლინება და მეგობართა დახმარებით პარიზში ახერხებს დარჩენას საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლის შტაბში. აქ პარიზის შემოქმედებით ელიტას უახლოვდება: პიკასოს, ბრაკს, კოქტოს, სელინს, გალიმარს და უერთდება შეთქმული ოფიცრების ჯგუფს, რომელთა უმრავლესობაც 1944 წლის 20 ივლისის შეთქმულებას შეეწირა. სწორედ ამ შეთქმულებისთვის მზადება გახდა მიზეზი იუნგერის "მივლინებისა" კავკასიაში 1942-43 წლის ზამთარში, გენერალ-ფელდმარშალ ერვინ რომელის ბრძანებით. საიდუმლო დავალება, რომლის შესრულებაც მას ევალებოდა, შემდეგი იყო: გაეგო, მზადდებოდა თუ არა მსგავსი შეთქმულება სტალინის წინააღმდეგ საბჭოთა გენერლების მიერ და მზად იყო თუ არა რუსული მხარე მოლაპარაკებისთვის, რათა ორივე ქვეყანაში ტირანია ერთდროულად დამხობილიყო. იმედგაცრუებული მწერალი უკან ბრუნდება, მუშაობს ახალ წიგნებზე, ზედიზედ გამოდის მისი "კავკასიური ჩანახატები", "მშვიდობა" (1945), "ენა და სხეულის აგებულება" (1947), 1941-48 წლების დღიურები ("გამოსხივება"), წიგნები, რომლებიც შემობრუნების წერტილად იქცა იუნგერის შემოქმედებაში.

ომმა, ჰიტლერის მაგალითმა, მას დაანახა ტოტალიტარიზმის ჭეშმარიტი ბუნება და დაარწმუნა თავისუფალი პიროვნების მნიშვნელობაში. ამ მსოფლმხედველობრივ ევოლუციაზე მეტყველებს რომანი "ჰელიოპოლისიც" (1949), რომლის ანტიუტოპიური სამყარო თანამედროვეობის სიმბოლოდ იქცევა, სამყარო, რომლის პროგრესი ეფექტური მომწამლავი ნივთიერების შექმნაზეა დამოკიდებული. ამ რომანში ავტორი ქურუმია, რომელიც წარსულის აჩრდილებს მსხვერპლად წირავს ახალი, თავისუფალი ადამიანის დაბადებას: "თამაშმა უნდა ამოწუროს ყველა შესაძლებლობა. მხოლოდ მაშინ შევძლებთ შეუძლებელს. ჩვენ ვეძებთ მათ, ვინც მარცხი განიცადა კატასტროფაში. ვეთანხმებით ზარატუსტრას მოძღვრებას, რომლის თანახმადაც ადამიანი ზეკაცმა უნდა ძლიოს. ჩვენ განვიხილავთ მის მოძღვრებას არა ეთიკური, არამედ ისტორიული აუცილებლობის თვალსაზრისით. შემდეგი ნაბიჯი კი, ადამიანის მიერ ზეკაცის დამარცხებაა, ბრძოლა, რომელშიც ადამიანი უმაღლეს ძალაუფლებას მოიპოვებს".

სიკეთე ტკივილითა და შეცდომებით, დანაშაულითა და მსხვერპლით მიიღწევა. დიდი ადამიანები დიდ შეცდომებს უშვებენ. მათი გააზრება კი ჭეშმარიტებისკენ სავალი გზის საწყისია, გზისა, რომელიც ყოველთვის ტყეზე, ჩრდილში გადის. იუნგერის "ტყის ბილიკი" (1951), ისევე როგორც ნიკოლა კუზელის "ველი", ან მარტინ ჰაიდეგერის "თემშარა", "ჭეშმარიტებისკენ მიმავალი გზის მონიშვნა, რომელიც მუდამ უნდა განახლდეს", პასუხისმგებლობა, რომელიც მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია იკისროს.

სიკვდილამდე (გარდაიცვალა 1998 წელს) რამდენიმე წლით ადრე იუნგერთან ახალი სამყაროს დიდი პოლიტიკოსები მივლენ, მაგრამ არა როგორც კეისრები, არამედ როგორც ხელგაუტეხავი, ახალგაზრდა მოწაფენი ყარიბობით დაღლილ ზარატუსტრასთან.



ვერნერ ჰაიზენბერგი, ერნსტ იუნგერი და მარტინ ჰაიდეგერი. 1953.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერნსტ იუნგერი

# "მჭვრეტელის პოზიცია"

## ფილოსოფიური ფრაგმენტები



ავტორს გარკვეული ადგილი უჭირავს იერარქიაში. მას უშუალო და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ურთიერთობა აკავშირებს სამყაროს უზენაეს ავტორთან. ამაზეა დაფუძნებული მისი იდუმალი თეოლოგია. ნაწარმოებები მეტ-ნაკლებად წარმატებულ თარგმანებს წარმოადგენს, რომლებიც ამ იდუმალსა და გამოუცნობს ხილული სამყაროს მონაპოვრად აქცევს. ისინი სიტყვით გამოუთქმელ ურთიერთობაზე მიანიშნებენ.

ამიტომაც, ნებისმიერი ქმნილება ნაკლოვანია, უნაკლო და სრულყოფილი კი მის მიღმაა. მხოლოდ ამ მიღმიერის წყალობითაა შესაძლებელი შემოქმედება. ავტორსა და მსმენელს, მაყურებელს, მკითხველს შორის ურთიერთობა უხილავ მესამე არსებაში ისხამს ხორცს და ორივენი, ავტორიც და მსმენელიც ამ მესამესთან თანაზიარობენ.

არც ერთ ნაწარმოებს თავისთავად არ ძალუძს სრულად დაიპყროს მკითხველი. ამისთვის მკითხველის ქმედითი თანამონაწილეობაა საჭირო, რომელიც შორდება ავტორის მიერ შექმნილის საზღვრებს. შუქის ასანთებად მუხტმა ორივე პოლუსში უნდა გაიაროს.

"გრაფიტი", 1960

***კირხჰორსტი,***
***1945 წლის 13 ნოემბერი***

ავტორის ამოცანა - თუკი სხვა ადამიანების თვალში ავტორობა რაიმე არსებითს ნიშნავს - სულიერი სამშობლოს, სულის საუფლოს შექმნაა. ეს შეიძლება იყოს მოკრძალებული ნიში წმინდანის გამოსახულებით, ჭიშკართან მიდგმული სკამი, ქოხი სოფელში, სასახლე, ტყეები, მთები ან კოსმოსური სივრცე. შემოქმედება უფრო მეტად იპყრობს და იმორჩილებს სამყაროს, ვიდრე ცოდნა ან პოლიტიკა, ამიტომაც შემოქმედებითი წარმატებები ყოველთვის უძლებს დროის გამოცდას.

პოეტი ქმნის, რათა ყველაფერი ეს იცნონ და დაიხსომონ, შემდეგ კი სულიერი სამშობლო ჰპოვონ მათში.

პოეტები უშურველად გასცემენ მყუდრო თავშესაფარს თუ ვრცელ საცხოვრებელს. იქ, სადაც პოეტები არ არიან, სიცარიელე ისადგურებს, ქრება სტუმართმოყვარეობა.

"გამოსხივება", 1941-1948

შენ, მარტოხელა მკითხველი, ვინც პერსონაჟებთან, გმირებთან ურთიერთობას ელტვი! შენი დროც მოვა და მაშინ გადაშლი თავგადასავლებით ალსავსე წიგნს სამყაროსას. ეს წიგნი საკუთარი სისხლით დაწერე და მისი წაკითხვა მოგონებას ნიშნავს. შენ, ისევე, როგორც ყოველ ჩვენგანს, უილბლო გვერდებიც შეგხვდება, გაგიჭირდება აღიარო საკუთარი ავტორობა და მაშინ ეტყვი თავს, რომ შენი არსებობის რომელიღაც ზღვარზე უხამსობამ აღმართა თავისი ალამი და რადგანაც საკუთარი თავის ავტორი ხარ, ორჯერ უფრო მტანჯველი იქნება ამაზე ფიქრი; შენ ხომ თავს უღალატე, საკუთარ უფლებებს, რომელიც მხოლოდ იდეაში მდგომარეობს და ამ იდეის შესაბამის მოქმედებაში პოულობს განხორციელებას. აი, აქ კი შენ თანაზიარი გახდები იმ ნაყოფიერი ტანჯვისა, იმ უკმაყოფილებისა, მხოლოდ საკუთარ არსებაში რომ პოულობს საბოლოო საშველს.

შესაძლოა შენს აწმყოსაც - რომლის ნაგებობასაც ასე აფასებ, რათა იგი ახალ ჩანაფიქრებს შესწირო მსხვერპლად - ისევე მოექცე, როგორც მოსაწყენ წიგნს, რომელსაც გადადებ ხოლმე, რათა შემდეგ კვლავ გადაშალო ყოველგვარი თანაგრძნობის გარეშე და ბოლომდე წაიკითხო, უკანასკნელ თავამდე. რადგანაც გიცნობ, შენ იმ ყმაწვილების რიცხვს მიეკუთვნები, რომელთა გულებშიც აწმყომ უკვე ამოიკითხა თავისი განაჩენი და ახლა ისინი ტკივილით დაეძებენ, მისდევენ ხატებს, რომლებიც ოდესღაც მოქმედებისკენ უბიძგებდნენ მათ; და ყველაფერი ეს სამარცხვინო სიზმარს ჰგავს, ულირსთა ოცნებას. ამ ცრუ სინამდვილის ხანგრძლივობა მხოლოდ გამოღვიძების შენეულ ნებაზეა დამოკიდებული და რაც უფრო ძლიერი და ვნებიანია ეს ნება, მით უკეთესი.

"თავგადასავლების მაძიებელი გული", 1929

ნიცშეს პროზა მის "ძალაუფლების ნებაში" აზრთა ბრძოლის ველია, მარტოხელა, საზარელი პასუხისმგებლობის რელიქტი, გასაღებებით გადაჭედილი საამქრო: მიტოვებული



ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის მიერ, ვისაც აღარ ჰქონდა გალესისა და განმარტების დრო. შემოქმედებით ზენიტში, სახელგანთქმული ბერნინი დასრულებული ნაწარმოებისადმი ზიზღზე საუბრობს, ჰიუისმანსი კი რომანის "პირიქით", გვიანდელ წინასიტყვაობაში წერს, რომ არ შეუძლია საკუთარი წიგნების კითხვა. პარადოქსი იქნებოდა, ვინმე, ვისაც ორიგინალი აქვს, ცუდი კომენტარის შესწავლას შედგომოდა. დიდი რომანები დაუმთავრებელი დარჩა. შეუძლებელი იყო, ისინი ვინმეს დაესრულებინა, რადგანაც თავიანთ ჩანაფიქრს შეეწირნენ მსხვერპლად.

"თავგადასავლების მაძიებელი გული", 1929

დაკვირვება თავისუფლებას მოიცავს. თუკი ადამიანს შესწევს ძალა, "წარმოიდგინოს" სიტუაცია, რომელშიც იმყოფება და თავისი მჭვრეტული სულის ობიექტად აქციოს იგი, მაშინ ადამიანი თავისუფლდება ამ სიტუაციისგან, ზემოდან დაჰყურებს ყველაფერ ამას.

ინდივიდმა არ უნდა თქვას უარი ბრძოლებზე, სადაც მას სახელმწიფო აგზავნის. თუმცა თავისუფლად შეუძლია მჭვრეტელის პოზიცია დაიკავოს და მაშინ იგი პირიქით, თავის სამსახურში აყენებს სახელმწიფოს, თითქოს ინდივიდი იყოს გრანდიოზული სპექტაკლის მომწყობი. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა საკუთარ, შინაგან არენაზე მან უკვე გაიმარჯვა შიშზე. აი რატომაა, რომ მჭვრეტელები ყოველთვის ცოტანი არიან.

"გრაფიტი", 1960

თუკი სიტყვა ჩვენთვის უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ურთიერთობის საშუალება, მაშინ, ვიდრე დავეუფლებით მას, იგი მეტყველების მიღმა უნდა მოვიპოვოთ. გამოთქმული სიტყვა რეალურობაში იმარჯვებს, სამაგიეროდ იგი მეტაფიზიკურ სფეროში მარცხდება.

შესაძლოა, მრავალი წლის შემდეგ ავტორისთვის აშკარა გახდეს ერთი ფრაზის აქამდე დაფარული აზრი. ეს კარგი ნიშანია, რადგანაც იგი ცხოვრების გზას ჰგავს. ჩვენ ხომ დაგვიანებით აღმოვაჩენთ ხოლმე, რომ იმას, რასაც მუდამ ვუტრიალებდით და რისი საიდუმლოც მოსვენებას არ გვაძლევდა ხოლმე, თურმე სხვა, მარტივი აზრიც ჰქონია. კარგია, რომ ოდესლაც სერიოზულად ვუყურებდით ყველაფერ ამას.

"საკუთარ კვალზე", 1965.

გერმანულიდან თარგმნა
მათე კრავეიშვილმა

ერნსტ იუნგერი

# დაბრუნება

## ნაწყვეტი წიგნიდან "ფოლადის ქარიშხლები"



როგორც მოვლენათა შემდგომი განვითარების მიხედვით მივხვდი, დიდხანს არ ვყოფილვარ გონწასული. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მებრძოლების პირველმა რიგმა მიაღწია იმ ტრანშეამდე, სადაც მე ჩავვარდი. თიხიან კედელზე მიკრული, გამოვფხიზლდი თუ არა, ვიგრძენი, რომ რაღაც საშინელება მომხდარიყო. გავიგონე, როგორ უხმობდნენ სანიტრებს ასმეთაურთან, ცალი თვალით ისიც დავინახე, მეომრები ერთიმეორის მიყოლებით როგორ ხტებოდნენ იმ ტრანშეაში, სადაც მე ვეგდე და სირბილს განაგრძობდნენ.

კეთილი გამომეტყველების ხანდაზმული ჯარისკაცი შეჩერდა, დაიხარა ჩემკენ და ქამარი და მუნდირის საკინძე შემიხსნა. მარჯვენა მხარეს მკერდზე სისხლის დიდი ლაქა მაჩნდა, მსგავსი რამ სადღაც ბეჭის ქვემოთაც უნდა მქონოდა. განძრევას ვერ ვახერხებდი, სიცხისა და სივიწროვისგან მთელი ტანი ოფლით მქონდა გაწეპილი, გულმოწყალე ჯარისკაცმა ჩემი პლანშეტი აიღო და მარაოსავით დამინიავა. ჰაერის ნაკადი ხარბად ჩავისუნთქე და ცოტაოდენი შვება ვიგრძენი. ახლა ისღა დაგვრჩენოდა, მხსნელად შებინდებას დავლოდებოდით.

უცებ საპინის მხრიდან ისეთი სროლა ატყდა, გეგონებოდა ცა და დედამიწა შეერთდაო, ჩვენც ტყვი-



ის ქარ-ცეცხლში გავეხვიეთ. ეს, ცხადია, ბევრად მეტი იყო, ვიდრე შეტევაზე პასუხი. თავს ზემოთ ლეიტენანტ შრადერის ფოლადისჩაჩქნიანი გაქვავებული სახე დავინახე. იგი განუწყვეტლივ ისროდა და ჩახმახს შეუჩერებლად ამოძრავებდა წინ და უკან. გადავწყვიტე ხმა გამეცა, მაგრამ მასთან გამოლაპარაკებამ კოშკის სცენა მომაგონა "ორლეანელი ქალწულიდან". ხუმრობის ხასიათზე ნამდვილად არ გახლდით, მაგრამ შესანიშნავად მესმოდა, რომ უკვე აღარაფერი მიშველიდა.

შრადერი ხანდახან თუ გადმომიგდებდა ცალკეულ ფრაზებს, მე ხომ სათვალავში ჩასაგდები აღარც ვიყავი. ვინაიდან არაფრის გაკეთების ძალი და ღონე არ მქონდა, შევეცადე, შრადერის სახის გამომეტყველებით ამომეცნო, რა ხდებოდა ზევით. ცხადი იყო, რომ კონტრშეტევაზე წამოსულებმა მნიშვნელოვნად წამოიწიეს წინ, რადგან შრადერი სულ უფრო ხშირად და კატეგორიულად მოითხოვდა ტრანშეაში მყოფთაგან კონკრეტულ მიზანში სროლას, ეს იმას ნიშნავდა, რომ მოწინააღმდეგის ჯარისკაცები სადღაც აქვე იყვნენ.

მოულოდნელად ტრანშეის გასწვრივ გაბმული რიგიდან შეძრწუნებული ყვირილი მოისმა: "მათ ფრონტი გაარღვიეს! მარცხნიდან მოგვიარეს!" უცაბედად თავს წამომდგარი მტრის დანახვით თავზარდაცემული ადამიანების ხმაში არსებული რეალობის მთელი საშინელება იგრძნობოდა. ამ შემზარავმა გოდებამ ჩემში სიცოცხლის ნაპერწკალი გააღვივა. ხელი ავწიე და თითები თხრილის კედელს ავაყოლე. ერთგან პაწაწინა ფოსო შევნიშნე, - თაგვის ან თხუნელას სოროს შესასვლელი თუ იყო - ორი თითით მოვეჭიდე და ტანის აწევას შევეცადე ნელ-ნელა. განძრევისთანავე ვიგრძენი, როგორ დაიწყო ფილტვებში დაგროვილმა სისხლმა ჭრილობიდან დენა. რაც უფრო ძლიერდებოდა სისხლდენა, მით უფრო თავისუფლად ვსუნთქავდი და ვიმართებოდი. ხელში ჩაბღუჯული პისტოლეტით, თავშიშველმა და მკერდგაღეღილმა გაჭირვებით მიმოვათვალიერე ბრძოლის ველი.

მოყვითალო კვამლის ბოლქვებს მიღმა დავინახე როგორ გარბოდა წინ მძიმეზურგჩანთებიანი ჯარისკაცების მწკრივი. მათგან ზოგი მოცელილივით ეცემოდა, ზოგი კი ტყვიანაკრავი კურდღელივით ჯერ ყირაზე გადადიოდა, მერე ძირს ვარდებოდა. მწკრივში უკანასკნელნი ახალწვეულებს ჰგავდნენ - ომი რომ ჯერ არ უნახავთ და ამიტომ უგუნურად მამაცობენ.

ერთ თოკად გაბმული ოთხი ტანკი მაღლობისკენ მიხოხავდა. არტილერიამ თვალსა და ხელს შუა მიწასთან გაასწორა ოთხივე. ერთი მათგანი შუაზე გაიპო და სათამაშოსავით დაიშალა. ჩემგან მარჯვნივ გულისგამგმირავი ღრიალით თხრილის ფსკერისკენ დაეშვა იუნკერი მორგანი. იგი ახალგაზრდა ლომივით მამაცი იყო; ამაში ჯერ კიდევ კამბრესთან დავრწმუნდი. ტყვია პირდაპირ შუბლში მოხვდა. ნამდვილი სნაიპერული გასროლა იყო, ბევრად უფრო ზუსტი, ვიდრე ის ჭრილობა, რომელიც ამ მამაცმა ჭაბუკმა შემიხვია.

მიუხედავად ყველაფრისა, მომეჩვენა, რომ ბრძოლა ჯერ კიდევ არ იყო წაგებული. ენა ძლივს-ძლივობით დავიმორჩილე და ფენრიხ ვილსკის ვუბრძანე, მარცხენა მხარეს გარღვეული რკალი ტყვიამფრქვევის ცეცხლით აღედგინა. იგი რამდენიმე წუთში დაბრუნდა და მომახსენა, რომ ჩვენგან ოციოდე მეტრის მოშორებით სხვა ლეგიონის დანაყოფები ერთიანად დანებდნენ მოწინააღმდეგეს. აქამდე მარცხენა ხელით ბალახს ჩაჭიდებული ვიდექი ფეხზე და ბრძანებების გაცემასაც ვცდილობდი. ახლა როგორც იქნა შემობრუნება მოვახერხე და თვალწინ მოულოდნელი სურათი გადამეშალა. ინგლისელები შეიჭრნენ იმ ტრანშეაში, რომელიც მარცხენა მხრიდან ჩვენსას ესაზღვრებოდა. ჯარისკაცების ნაწილი მომარჯვებული შაშხანებით მიემართებოდა სანგრებისკენ. ვერც კი მოვასწარი არსებული საფრთხის სრულად გაცნობიერება, რომ სხვა უფრო დიდმა საშიშროებამ მიიქცია ჩემი ყურადღება: ზურგის მხრიდანაც გვიახლოვდებოდნენ მტრის ჯარისკაცები! მათ ხელებაწეული ტყვეები მოჰყავდათ. ეს იმას ნიშნავდა, რომ მოწინააღმდეგემ სოფელი მაშინათვე დაიკავა, როგორც კი ჩვენ შეტევაზე გადავედით. გადაგვიჭრა რა ყველა კომუნიკაცია, იგი ჩვენს ყულფში მოქცევას ცდილობდა.

ამასობაში ვითარება გართულდა... ინგლისელთა ნახევარი ასეული, გერმანელი ტყვეებიანად, ჩვენს გარშემო რკალს კრავდა და იარაღის დაყრას გვირჩევდა. ირგვლივ ისეთი არეულობა და სასოწარკვეთილება სუფევდა, თავი ძირგახვრეტილ გემზე გეგონებოდა. როგორღაც ამოვიხრიალე და ახლო-მახლო მყოფთ წინააღმდეგობის გაწევისკენ მოვუწოდე. მათაც დაუყოვნებლივ გახსნეს ცეცხლი, ოღონდ არავინ არჩევდა, სად მტერი იყო და სად თავისიანი. მოღრიალე თუ სახეჩამომტირალი ადამიანების რკალი კი სულ უფრო ვიწროვდებოდა ჩვენს ირგვლივ. შორიახლოს ორი ათეული ინგლისელი თხრილისკენ მთელი ძალით იქნევდა ხიშტებს, იქიდან კი შეწყალების მუდარით თავსზემოთ აწეული ხელების მოძრაობაღა ილანდებოდა.

ჩემს სიახლოვესაც გაისმა ჯარისკაცთა შეძახილები: "ბიჭებო, როდემდე შეიძლება! დაყარეთ შაშხანები! არ გვესროლოთ, ძმებო!"

მზერა შორიახლოს მდგარ ორ ოფიცერზე შევაჩერე. მათ უსიტყვოდ აიჩეჩეს მხრები, გამიღიმეს და დაყარეს საქამრე ღვედები...

ან ტყვია, ან ტყვეობა. სხვა გამოსავალი არ იყო. ამ ფიქრით ამოვბობღდი თხრილიდან და დავიწყე ხოხვა ფავრეის მიმართულებით. ყველაფერი ისე იყო, როგორც ცუდ სიზმარში ხდება ხოლმე - ფეხებს, თითქოს ტყვიისგან ჩამოასხესო, ველარ ვიმორჩილებდი. ერთადერთ ხელისშემწყობ გარემოებად შეიძლება ის ჩაგეთვალა, რომ ირგვლივ საშინელი დომხალი იყო, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა: ზოგი ისევ განაგრძობდა სროლას და ხიშტის ქნევას, ზოგნი კიდევ, გამარჯვების ნიშნად, სიგარეტით უმასპინძლდებოდნენ ერთმანეთს. გზა ორმა ბრიტანელმა გადამიღობა. მათ რომელიღაც სხვა ლეგიონის ტყვე ჯარისკაცთა ჯგუფი მიჰყავდათ. ერთ-ერთ მათგანს ერთი-ორი ნაბიჯიღა მაშორებდა, უცებ ამოვიღე პისტოლეტი და ჩახმახს გამოვკარი. მეორემ მთელი მჭიდე მოუშვა ჩემსკენ, მაგრამ ამაცილა. მკვეთრი მოძრაობების გამო ფილტვიდან სისხლდენამ იმატა. სუნთქვა უფრო გამიადვილდა და ტრანშეის გასწვრივ გავიქეცი. ლეიტენანტი შლეგერი მიწაყრილის შვერილზე ჩამომჯდარიყო და ჯარისკაცების ჯგუფთან ერთად სროლას განაგრძობდა. დამინახეს თუ არა, შემომიერთდნენ. მოწინააღმდეგის მეომრებმა მალევე შეგვნიშნეს, მაშინათვე ჩაგვისაფრდნენ და ცეცხლი გაგვიხსნეს. სასწაულებ-

რივად გადავრჩით მე, შლეგერი და ორი მხლებელი, დანარჩენები ერთიანად ამოჟლიტეს. შლეგერი ძლიერ ახლომხედველი იყო, ამასთან სათვალეც დაკარგვოდა და, როგორც მოგვიანებით მიყვებოდა, ვერაფერს ხედავდა ჩემი მოქანავე პლანშეტის გარდა. პლანშეტი იყო მისი ორიენტირი. ბევრი სისხლის დაკარგვის გამო იმგვარი სიმსუბუქე და თავისუფლება ვიგრძენი, სიმთვრალე რომ იწვევს ხოლმე. ერთი რამის მეშინოდა მხოლოდ - ძალაგამოცლილი უდროოდ არ წავქცეულიყავი.

ბოლოს და ბოლოს ფავრეის მარჯვნივ ნახევარმთვარისებურ მიწაყრილთან აღმოვჩნდით. რამდენიმე მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის ცეცხლი არ არჩევდა მტერსა თუ მოყვარეს და იქაურობას ქვას ქვაზე ადუღებდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ალყის რკალი სადღაც გარღვეული იყო და ჩვენ ისევ გაგვიმართლა. მტრის ჭურვების ნამსხვრევები სეტყვასავით მოდიოდა ჩვენი თავშესაფრისკენ. ოფიცრები ყვირილისგან იჭაჭებოდნენ, ბრძანებებს იძლეოდნენ, თავგზააბნეული ჯარისკაცები აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ვერ მიმხვდარიყვნენ რომელი ბრძანება შეესრულებინათ. უნტერის სამხრეებიანმა მეექვსე ასეულის სანიტარმა მუნდირი გამაძრო და მირჩია დაუყოვნებლივ დავწოლილიყავი: "თორემ სისხლისგან დაიცლები და მოკვდები"-ო...

მე ლაბადა-კარავში გამახვიეს და სოფლის უკანა მხარეს გამაქანეს. მეთაურის გაცილება ჩემი და მეექვსე ასეულის ერთ მუჭა ჯარისკაცებს დაევალათ. სოფელი უკვე გავსებულიყო ინგლისელებით და სულ მალე უმოკლესი მანძილიდან დაგვიშინეს ტყვია. მეექვსე ასეულის სანიტარი, რომელსაც სხვებთან ერთად მივყავდი, თავგახვრეტილი დაეცა ძირს. მიწაზე დავებერტყე მეც...

დანარჩენები ელვის სისწრაფით ჩაწვნენ იქვე და შემდეგ ნელა გახოხდნენ ღარტაფისკენ.

ლაბადა-კარავში გახვეული მარტო დავრჩი ბრძოლის ველზე და თითქმის გულგრილად დავუწყე ლოდინი ტყვიას, რომელიც წერტილს დაუსვამდა ჩემს ოდისეას.

მაგრამ, ამ თითქოსდა გამოუვალ სიტუაციაშიც არ აღმოვჩნდი განწირული და მიტოვებული. ღარტაფში თავშეფარებული ჯარისკაცები თვალს არ მაცილებდნენ და მალევე დაბრუნდნენ. "მე მოვიკიდებ ზურგზე ბატონ ლეიტენანტს, ან გავაღწევთ სამშვიდობოს, ან აქვე ჩავიხოცებით", - ეს ქვემოსაქსონელი აყლაყუდა ეფრეიტორის, ჰენგსტმანის ხმა იყო.

სამწუხაროდ, ვერ გავაღწიეთ. მოწინააღმდეგის რიგებში მეტისმეტად ბევრი აღმოჩნდა მარჯვე მსროლელი. ჰენგსტმანს კისერზე მოვხვიე ხელები და იგი გაიქცა. ისეთი სროლა ატყდა, თავი პოლიგონზე გეგონებოდა. ორი-სამი ნახტომის შემდეგ ლითონზე რაღაცამ გაიფხაჭუნა და ჰენგსტმანი ნელ-ნელა ჩაჯდა... არც დაუკვნესია, ისე უხმოდ დაეცა. ვიგრძენი, რომ მიწამდე სული არ დაჰყოლია. მას ისე მაგრად ვეჭირე, ძლივს გავითავისუფლე თავი. აღმოჩნდა, რომ ტყვიას ჩემი ჩაჩქანი გამჭოლად გაეხვრიტა ორივე საფეთქელთან. მამაცი ჯარისკაცი მასწავლებლის შვილი აღმოჩნდა. როგორც კი ფეხზე დავდექი და სიარული შევძელი, ვეწვიე მის მშობლებს ჰანოვერთან ახლოს, პატარა ქალაქში და ვუამბე მათი შვილის დაღუპვის ამბავი.

ჰენგსტმანის სიკვდილმა ვერ აალებინა ხელი დანარჩენებს ჩემი გადარჩენის ხელახალ მცდელობაზე. სამედიცინო-სანიტარული სამსახურის სერჟანტმა სტრიხალსკიმ მომიგდო მხრებზე და ტყვიის სეტყვის მიუხედავად, მოახერხა იმ უახლოეს ბექობამდე მიეღწია, რომელიც არ იბომბებოდა.

ბინდ-ბუნდი ჩამოწვა. ჩემმა მხსნელებმა მკვდარ ჯარისკაცს აცალეს ლაბადა-კარავი, ზედ დამაწვინეს და უკაცრიელი ადგილების გავლით მატარეს. საშინლად მაწუხებდა ჰაერის უკმარისობა. როცა ათი მეტრით წინ მიმავალმა ჯარისკაცმა სიგარეტი გააბოლა, კინაღამ დავიხრჩვი.

როგორც იქნა ბლინდაჟამდე მივაღწიეთ. იქ ჩემი ძველი მეგობარი, ექიმი კაი თავის მოვალეობას ასრულებდა. მან არაჩვეულებრივი ლიმნიანი სასმელი მოამზადა, შემდეგ მორფი გამიკეთა და სასიამოვნო ბურანში გავეხვიე.

ჩემი სასიცოცხლო ძალების ბოლო გამოცდა ოღრო-ჩოღრო სამანქანო გზა იყო, რომლითაც ჰოსპიტალში მიმიყვანეს მეორე დილით. იქ მედდების მზრუნველ ხელში აღმოვჩნდი და "ტრისტრამ შენდის" კითხვაც გავაგრძელე იმ ადგილიდან, სადაც შევწყვიტე შეტევაზე წასვლის წინ.

მეგობრების დახმარებით გამიადვილდა ყველა იმ გართულების გადატანა, რაც ფილტვების ჭრილობისთვისაა დამახასიათებელი. მართალია საპინის შეტევის მონაწილეთა



ერნსტ იუნგერი და ხორხე ლუის ბორხესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე დარჩა, ხოლო გადარჩენილთა უმრავლესობა ინგლისელთა ტყვეობაში მოხვდა, მაგრამ დივიზიიდან მაინც მაკითხავდნენ ჯარისკაცები და ოფიცრები. როცა კამბრეში მოწინააღმდეგის ჭურვებმა დაიწყო ცვენა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მტერი დამაჯერებლად მოიწევდა წინ, ცოლქმარმა პლანკოებმა ძალიან სასიამოვნო წერილი მომწერეს და ამანათიც გამომიგზავნეს - იმ ზაფხულს მათ ბაღჩაში დამწიფებული ერთადერთი ნესვი და ერთი ქილა რძე. ჩემი დენშჩიკი, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა მის წინამორბედთაგან, ჩემთან დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ ჰოსპიტალში მას სურსათი არ ერგებოდა და ორიოდ ლუკმას ხვეწნა-მუდარით ძლივს შოულობდა.

ხანგრძლივად წოლას ყოველთვის თან სდევს მოწყენილობა. ერთხელაც, გასახალისებლად, გადავწყვიტე ჭრილობების დათვლა. სისხლჩაქცევებსა და უბრალო განაკაწრებს თუ არ ჩავთვლიდი, სულ თოთხმეტჯერ მქონდა იარაღი მოხვედრილი: ხუთი ტყვია, ორი ჭურვის და ოთხი ყუმბარის ნამსხვრევი, ორი მსკდომი და ერთიც შრაპნელის ტყვია. საბოლოოდ დამრჩა ოცი ნაჭრილობევი, რადგან ზოგი ტყვია გამჭოლი იყო. ომში პირდაპირი დამიზნებით იშვიათად ისვრიან, ცეცხლი ზოგადად ბრძოლის ველისკენაა მიმართული. მიუხედავად ამისა, მოვახერხე მტრის მიერ ნასროლი უთვალავი ტყვიიდან თერთმეტი მე მომხვედროდა. აქედან გამომდინარე, სრული უფლება მქონდა, თამამად დამებნია მკერდზე ჭრილობებისთვის დაწესებული ოქროს სამკერდე ნიშანი.

ორი კვირის შემდეგ სანიტარული მატარებლით მივქროდი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ზამბარებიან ლეიბზე წამოწოლილი გერმანიის ლანდშაფტს გავცქეროდი - ფოთლოვან ტყეს მკრთალი ოქროსფერი შეჰპარვოდა. საბედნიეროდ ჰანოვერში გადმომიყვანეს მატარებლიდან და წმ. კლემენტინას თავშესაფარში დამტოვეს. მალე მნახველებმაც მომაკითხეს. განსაკუთრებით გამიხარდა ჩემი ძმის ნახვა. ჭრილობების შემდეგ იგი კიდევ უფრო გამართული მეჩვენა, მაგრამ სამწუხაროდ მარჯვენა მხარე კვლავ ცუდად ემორჩილებოდა.

ოთახში ჩემთან ერთად იყო ბარონ რიჰტჰოფენის ესკადრილიის ახალგაზრდა მფრინავი ვენცელი. იგი ათლეტური აღნაგობისა და მეტისმეტად მამაცი ადამიანების კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომელთა მსგავსნიც, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ იბადებიან ჩვენს ქვეყანაში. თავისი ესკადრილიის დევიზს - "რკინისებური ნებისყოფა და უკანმოუხედავი რისკი!" - ვენცელი პირნათლად ასრულებდა. მან გაანადგურა მოწინააღმდეგის თორმეტი თვითმფრინავი და მხოლოდ ბოლო ბრძოლის დროს დაიჭრა - ტყვიამ წინამხარი დაუმსხვრია.

გამოჯანმრთელება ვენცელთან, ძმასთან და რამდენიმე ფრონტელ ამხანაგთან ერთად აღვნიშნე ჰანოვერში გიბრალტარის ლეგიონის ოფიცერთა სასადილოში. მეზობელ მაგიდასთან მსხდომებმა ეჭვი გამოთქვეს, რომ ჩვენ კვლავ შევძლებდით ფრონტზე გამგზავრებას. საშინლად აღშფოთებულებმა ეჭვის გასაქარწყლებლად იქვე მდგარი უზარმაზარი სავარძლის თავზე გადახტომა განვიზრახეთ, მაგრამ ეს ვარჯიში სამწუხარო შედეგით დასრულდა. ვენცელმა ხელი მოიტეხა, ხოლო მე ორმოც გრადუსამდე ამივარდა ტემპერატურა. უფრო მეტიც, სინდიყის სვეტი ჯიუტად მიიწევდა წითელ ნიშნულამდე, რომელიც საბოლოო წერტილს უსვამს თვით ყველაზე გამოცდილი ექიმის ხელოვნებასაც კი. ასეთი ტემპერატურით ადამიანი დროის შეგრძნებას კარგავს. ვიდრე მედდები ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, ჩემს ტვინში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ წარმოსახვითი თუ რეალური სურათები.

ერთ დღეს, 1918 წლის 22 სექტემბერს, გენერალ ფონ ბუსესაგან შემდეგი შინაარსის ტელეგრამა მივიღე:

"მისმა უდიდებულესობამ იმპერატორმა დაგაჯილდოვათ Pour le merite-ს ორდენით. მთელი დივიზიის სახელით გილოცავთ".

თარგმნა ეთერ ჟიბლიანმა

## აკაკი ბაქრაძე



სტალინისადმი მიძღვნილ ლექსებში, რა თქმა უნდა, პირველად არის სახოტბო ლირიკა, განმადიდებელი, მერე მითოლოგიზირება. ეს არის ჩვენთვის მთავარი, რადგან მითოლოგიზირებას ყოველთვის არ მიმართავს სახოტბო ლირიკა. რაღაც განსაკუთრებული უნდა დაინახოს მწერალმა, რომ მითოლოგიზირება მოხდეს, სულერთია, დადებითი თუ უარყოფითი კუთხით. (სახოტბო ლირიკა ყველა დროში და ყველა ქვეყანაში არსებობდა).

ვალერიან გაფრინდაშვილი - "ოცნება ბელადზე"

"ეს ოცნებაა თვითეულ მხატვრის,
ეს არის ფიქრი ყოველ პოეტის -
ასახონ იგი, ვით თვალი ნატვრის
და შთაგონება მთელ საბჭოეთის" (გვ.19)

ანდა შალვა აფხაიძე - "სტალინ"

"აზვირთებული დიდი ვნებანი
ეპოქის სვეტო, შენსკენ ილტვიან,
სტალინ, - გრგვინავენ წყალნი და ქვანი,
სტალინზე მთებიც ზღაპრებს იტყვიან".

ნესტორ მანიძე - "სტალინის მზე"

"აჭარელი წყალსაც არ სვამს,
რომ სტალინი არ ახსენოს". (გვ.45)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტალინიადა

## ფრაგმენტები

**ალიო მაშაშვილი - "სამშობლო ბელადისა"**
"დაუშრეტელი ცეცხლის დენა ხარ,
ღელვა მზის შუქით განათებული,
გაუტეხელი ქვეყნის ნება ხარ,
ხალხის გენიად დაბადებული" (გვ.48)

**ილო მოსაშვილი - "ბელადს"**
"სხვა - სამშობლოში სამშობლოს ნატრობს,
მიწაზე დადის - არა აქვს მიწა,
ჩვენ კი, ბედნიერ სამშობლოს პატრონს,
შენი სახელი მიგვიძღვის ფიცად:
ზეცაში - მფრინავს, ბრძოლაში - მხედარს,
ვაჟკაცს - ზღვასავით გაშლილ ყანაში,
და ბავშვი, როცა შესცქერის დედას,
უსმენს და თითქოს სიზმარში ხედავს,
შენებრ მშობლიურ იავნანაში.
და როცა დილა, მთების ფინალზე
ღრუბლის ბულულებს ლურჯად შეღებავს,
იგრძნობს სულდგმული დედამიწაზე
შენი გულის და ხელის შეხებას.
დგება ბალახი, აცახცახდება,
მოვარდნილ სითბოს წყალივით დალევს;
ტკბილი ოცნება ცხადად ახდება,
და შენი სახე ცაზე დახვდება
ქვეყნის პირველად გახელილ თვალებს" (გვ.60)

**კონსტანტინე ჭიჭინაძე - "სტალინისადმი"** (კავკასიონს ადარებს სტალინს, რომელიც "შეჰყუდებია ცას ტიტანივით")
ის კი პიტალო კლდეს აკალოებს,
ამოზიდულან ძარღვები კისრის,
და ზეაწყვეტილ რკინის პალოებს
ზღვების გადაღმა შხუილით ისვრის" (გვ.93)
(ამ ლექსში სიტყვების გროვაა და ვერაფერს გაიგებთ, მაგრამ სტალინი რომ მიწიერი არსება არ არის, ეს კი ჩანს).
ისინი, ვინც აგინებს, სატანას ადარებენ:

**გალაკტიონი**: პროტაგონისტი, რომელსაც სახელი არ აქვს, მაგრამ აშკარად სტალინი იგულისხმება.
უნდობელია მისი გენია,
არც შებრალება, არც შეცოდება,
ჯერ დედამიწას არ მოსმენია
მსოფლიოს ბაგეთ ასე გოდება.
ყოველ გულს ნამავს შხამიან ნესტრით,
სულს ხორციელის ეხება დანა,
გრგვინავს ორკესტრი, გრგვინავს ორკესტრი,
მას დირიჟორობს თვითონ სატანა.
(უთარიღოა)

გაშლილო ველო... ტყვიების კოხის...
რაა წამება თქვენთან იობის,
აქ საიდუმლო პატარა ქოხის
საიდუმლოა კაცობრიობის...
ვინ? ამნაირი გამოძახილი
არაფერს ქვეყნად ჯერ არ ჰქონია,
ამას ნამდვილი არ აქვს სახელი,
მისი სახელი ლეგიონია.
მარკოზი.V.9. (სოფელი ღადარინელთა. კაცში ჩასახული ეშმაკი განდევნა ღორების კოლტში): "და ჰკითხა მას: რაი არს სახელი შენი? და ჰრქუა მას: ლეგონ არს სახელი ჩემი, რამეთუ მრავალ ვართ" (ლუკა. VIII.30).
სახე ნერონის თუ თემურ-ლენგის
კედლით გილიმის.
ის სიმბოლოა გულწრფელი ჩანგის
განწყვეტილ სიმის ("საგურამო") VII, 119

**"სისხლი", VII, 165**
საშინელია - იგრძნო უეცრად,
რომ აღარ დგანან ძველი კაკლები.
შენი სახელი მათ მიუეცრათ -
მხეცი! - არც მეტი და არც ნაკლები.
რომ მუხლებამდე სისხლის მორევი
გვსრის და მშობლიურ ცხედრებს ეხება.
კმაყოფილი ხარ მათი მორევით.
ყელამდე სისხლში მიდის ფეხები.
შენ გახარებს, რომ სისხლის მიზეზი
ხარ და თანა გდევს ხალხის გოდება,
შენ ბოროტება ხარ უმტკიცესი,
მკვლელო! - ეს არის შენი წოდება.
ო, ყველამ იგრძნო, რომ მოკვდა ყველა,
და ყველა გიცქერს მუნჯი ყვედრებით,
შენგნით არავის არ უნდა შველა,
შენ სამარემდე მიხვალ ცხედრებით.
ო, რა თქმა უნდა, ცხედრები მუდამ
სდუმანო, მაგრამ სისხლი მწარდება.
სისხლი იძახის: მკვლელი, იუდა!
სისხლი არასდროს არ დაწყნარდება!

იმედი, შენი ბრძოლის საგანი,
მოულოდნელმა ქარმა ახვეტა.
მოლუშულია შენი საკანი.
ხვალ უსათუოდ გელის დახვრეტა

* * *

სტალინიც მითოლოგიურ ასპექტში გადაყავთ: გ. ლე-



ონიძის "პირს მერცხალი გამოავლეს" და ა.შ. სხვებიც. თავად გ. რობაქიძის "გრაალის მცველში" ღმერთის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც მონობის. აგრეთვე "ჩაკლულ სულში". ის თავი რომელიც სტალინს ეხება, შეტანილია ესეების კრებულში "მითოსი და დემონი".

* * *

**კ. გამსახურდიამ რატომ დაწერა - "ბელადი".**

* * *

გ. ლეონიძის "სტალინი, ბავშვობა და ყრმობა"
ეპიგრაფად აქვს: "აქ ჰფლობს ტიტანი
ცეცხლის მიმტანი, -
ღმერთი პრომეთე". (სოფოკლე)

"აქ დააბეს ამირანი,
აქ დაარტყეს რკინის ურო.
სჯობს რომ ვიყო მიჯაჭვული,
ვიდრე მე ღმერთს ვემსახურო!"
გვ. 526 აქ მტაცებელთა იყო სადოლე...

* * *

გ. რობაქიძე - **"ჩაკლული სული"** (თარგმნა ალ. კარტოზიამ). თავი სტალინის ჰოროსკოპი". აჰრიმანს ადარებს. ესეც აქვს დაწერილი "სტალინი, როგორც აჰრიმანული სული".

აჰრიმანი სპარსულ მითოლოგიაში ბოროტების უმაღლესი ღვთაებაა. უპირისპირდება აჰურამაზდას (უბრძნესი ღმერთი) - კეთილი საწყისი. ჩვენ არმაზის წინაპარი ორმაზდ.

* * *

რამ გამოიწვია სტალინისადმი ასეთი დამოკიდებულება? რატომ არ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ სახოტბო ლირიკით?

1921 წლის თებერვალ-მარტში დამარცხებამ სასოწარკვეთილება გამოიწვია ჩვენს ხალხში. 20-იან წლებში დაიწერა ნიკოლო მიწიშვილის - "ფიქრები საქართველოზე" ("ქართული მწერლობა", 1926 წ.N4-5), სერგი დანელიას - "ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი", 1927 წ. კონსტანტინე კაპანელის "ქართული სული ესთეტიურ სახეებში", 1926 წ. და სხვა.

**ალ. აბაშელი:**
"ჩემი თაობის უილაჯობა
დღეს სამარცხვინო დაღად მაჩნია"

* * *

საჭირო იყო ენერგიის გამოვლენა:

კინოსცენარისტმა რეზო კვესელავამ გაზეთში "გეიკოექსპრესი" (1993 წ.24 მარტი) მოგონება გამოაქვეყნა. ერთ ოჯახში, წვეულებაზე, გიორგი ლეონიძეს უთქვამს:

- რა შეფასებასაც არ უნდა იმსახურებდეს სტალინი, ერთი რამ ცხადია: ის გახლავთ ეროვნული ენერგიის უდიდესი გამოვლენა და სწორედ ამ კუთხით იპყრობდა ჩემს ყურადღებას.

ამასვე ამბობს არსებითად **კ. გამსახურდიაც:**

**"ბელადი"**

*"ლიტ.საქართველო", 1940, 12 იანვარი*

"როცა "მთვარის მოტაცება" მოვათავე, ერთი უცნობი მკითხველი გამომესაუბრა ქუჩაში. მითხრა: აკაკი, ვაჟა და ილია მუდამ სტიროდნენ, შენი გმირებიც განწირულნი იღუპებიან. მოდი დაგვიხატე გამარჯვებული გმი-




რები, ისეთნი, რომელთაგანაც ბრძოლა და გაუტეხელობა ისწავლონ ჩვენმა შვილებმა. მაშინ განვიზრახე ეს წიგნი. სტალინის თემა უდიადესია საბჭოთა ლიტერატურის თემატიკაში. მე ვერ ვბედავდი ამ საქმის დაწყებას. მერე ის იყო ჩვენი კულტურის გულისხმიერი მესვეური ამხანაგი ლავრენტი ბერია დამეხმარა და გამაბედვინა ამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმისათვის ხელი მომეკიდა.

ამ გიგანტური პიროვნების მხატვრული განსახიერებით მე მინდა ვაჩვენო ჩვენს ახალ თაობას, თუ ვისგან ისწავლონ კეთილშობილი შრომა, თავგანწირული ბრძოლა, სულიერი რაინდობა, ხალხის სიყვარული და ვაჟკაცობა".

* * *

კომუნისტური ეპოქის მხატვრულ ლიტერატურაში და არა მარტო სსრკ-ში, არამედ მთელ მსოფლიოში არსებობდა მრავალისმეტყველი ლენინიადა და სტალინიადა. საქართველოში ამას ბერიაც ემატებოდა. ეს ყველასათვის კარგად ცნობილია, ვისაც პოეზია უყვარდა და თვალყურს ადევნებდა მას. განსაკუთრებით გასაკვირი აქ არაფერია. ყველა დროში და ყველა ქვეყანაში არსებობდა სახოტბო ლირიკა და იყვნენ კარის პოეტები. არა თუ მეფეებს, ცალკეულ ფეოდალებსაც ჰყავდათ შესხმა-ქების ოსტატები და ხშირად ძალიან ნიჭიერნიც. სახოტბო ლირიკის უმშვენიერესი სტრიქონებია "ვეფხისტყაოსანში" ("თამარს ვაქებდი მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული..."), რომ არაფერი ვთქვათ "თამარიანსა" და "აბდულმესიაზე". ალექსანდრე პუშკინსაც უძღვნია ამაღლებული სტროფები ალექსანდრე პირველისადმი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ნიკოლოზ პირველისადმიც კი. თუმცა პოეტს ბევრი არაფერი ჰქონდა სასაყვედურო ხელმწიფისადმი. ნიკოლოზ პირველი ყოველთვის ყურადღებით ეპყრობოდა მას. როცა ალექსანდრე პუშკინი დუელში დაიღუპა, მთელი რუსეთი გააკვირვა მეფის გულუხვობამ პოეტის ოჯახისად-

მი. პუშკინის სიკვდილის მერე, ციმბირში, მარია ვოლკონსკაიას პეტერბურგიდან ეკატერინა კინდიაკოვა-რაევსკაია წერდა:

"მართლაც ხელმწიფემ უსაზღვროდ ბევრი გააკეთა მათთვის (პუშკინის ოჯახის წევრებისათვის - ა.ბ.). ჯერ ათი ათასი მანეთი მისცა საწყალი პუშკინის დასამარხავად. გადაიხადა ყველა მისი ვალი. დაგირავებული მამული დაიხსნა ვალებისაგან. პენსიით, თერთმეტი ათასი მანეთით, უზრუნველყო მისი ქვრივი და შვილები. როგორც კი მისი ბიჭები იმ ასაკისა გახდებიან, როცა პაჟთა კორპუსში იღებენ, მათ მაშინვე გაამწესებენ იქ" ("ლიტერატურნაია გაზეტა", 1994, N6).

ეტყობა მათი ურთიერთობა მთლად ისეთი არ იყო, როგორც კომუნისტი ლიტერატურისმცოდნეები გვატყუებდნენ.

არც ევროპელ პოეტებს უთაკილიათ სახოტბო პოეზიის სამსახური. აზიაში ხომ ეს მწერლის უპირველეს მოვალეობად ითვლებოდა.

სტალინი

**ალბერ კამიუ "მეამბოხე ადამიანში"**, სადაც მარკიზ დე სადის შემოქმედებაზე ლაპარაკობს (მსჯელობს), წერს - Сад замышляет покушение на мироздание: "Я ненавижу природу... Я хотел бы ее планы, преградить ей путь, остановить движение светил, сотрясти планеты, плавающие в космических пространствах, уничтожить все, что служит природе, и способствовать всему, что ей вредит, короче говоря, оскорбить природу в ее созданиях, но я не в состоянии этого добиться".

**კამიუ:** - "Все разрушать невозможно, всегда обнаруживается остаток".

- "Быть может, мы смогли бы взять штурмом солнце, отобрать его у Вселенной или же воспользоватся им и устроить мировой пожар. Вот это были бы преступления".

ეს იქნებოდა დანაშაული, მაგრამ არა საბოლოო დანაშაული. რაღაც კიდევ არის გასკეთებელი და აი აქ ჯალათები მუქარით უყურებენ უკვე ერთმანეთს.

**კამიუ:** "Они одиноки, и правит им единственный закон - закон силы. Поскольку палачи приняли его, будучи владиками, они уже не могут отвергнуть его даже тогда, когда он оборачивается против них. Всякая власть, всякие силы стремится быть единственным и одинокой".

* * *

"В таком случае самое грандиозное разрушение совпадает с самым ложным утверждением".

"მეამბოხე ადამიანში" კამიუ აციტირებს ფრანგ მწერალს (სიურრეალისტი) რაიმონ კენოს (1903-1976), რომელსაც უთქვამს - цель всякой интеллектуальной жизни - стать Богом. ბოდლერსაც იშველიებს - Подлинный святой, - это тот, кто сечет кнутом и убивает народ ради блага народа.

კამიუს არმან ხუგ-ის სიტყვებიც მოჰყავს - несмотря на ницшеанскую атмосферу этих произведений, Бог там еще не умер.

ეს ახალი ეტაპი იქნება, დაკავშირებული ნიცშეს სახელთან.

**დოსტოევსკის "все дозволено"**, თუ არ არის ღმერთი, სულის უკვდავება, სამართლიანობა... все дозволено-თი იწყება თანამედროვე ნიჰილიზმის ისტორია.

დოსტოევსკიდან კამიუს გამოჰყავს დასკვნა - Владыки этого мира, после того как оспорена законность его власти, должен быть низвергнут, а его место занять человеком.

საერთო დასკვნა: - Единство мира, не осуществившися с Богом, отныне сделает попитку осуществиться вопреки Богу.

(ირემაშვილის ციტატი - თანაგრძნობა ადამიანისადმი)

სამყარო შეიცვალოს (მარქსი) ახალი ადამიანის შექმნა (ფოიერბახი. კამიუსთან)

"Град божий и град человеческий" (კამიუ. გვ.293)

"ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად განმარტავდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი შეცვლილი იქნეს" (მარქსი და ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ.I, 1975, გვ.4)

* * *

იოსებ ჯუღაშვილი და იოსებ ირემაშვილი ბავშვობის მეგობრები იყვნენ. რევოლუციური საქმიანობა რომ დაიწყეს, ერთიც სოციალ-დემოკრატი გახდა და მეორეც, ოღონდ იოსებ ჯუღაშვილი სოციალ-დემოკრატიის ბოლშევიკურ ფრთას მიეკედლა, ხოლო ირემაშვილი - მენშევიკურს. მათი მეგობრობა მაინც გრძელდებოდა. შუღლი მერე ჩამოვარდა, როცა 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და რუსეთის იმპერიას გამოეყო. მენშევიკი სოციალ-დემოკრატი იოსებ ირემაშვილი საქართველოში დარჩა. დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს მშენებლობას შეუდგა, სხვა თანამოაზრეებთან ერთად. იოსებ ჯუღაშვილს კი სხვა გეგმები ჰქონდა. იგი ჯერ რუსეთის უზარმაზარი იმპერიის თავკაცობას უმიზნებდა. მერე, ვინ იცის; მსოფლიო პროლეტარული რევოლუციაც მოეწყო და ამით მსოფლიო იმპერატორობისთვისაც ხელი გამოეკრა.

ორი გორელი ბიჭის გზა სამუდამოდ გაიყარა.

1921 წლის თებერვალ-მარტში დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო დამარცხდა. იგი ისევ რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. იძულებით იოსებ ირემაშვილიც ემიგრაციაში აღმოჩნდა. დარჩენილი ცხოვრება მან უცხოეთში გაატარა, სიდუხჭირესა, სიღატაკეში და უმიზნო არსებობაში. მსოფლიო პროლეტარიატის ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს ბავშვობის მეგობარი არასოდეს გახსენებია. იოსებ ირემაშვილს კი იოსებ სტალინი არასოდეს დავიწყებია. მუდამ ახსოვდა და ბოლმა ახრ-






ჩობდა: დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს დაცემა-დამარცხებას მას აბრალებდა და წყევლა-კრულვას უთვლიდა. 1932 წელს იოსებ ირემაშვილმა გერმანიაში, გერმანულად, პატარა წიგნი გამოსცა - "სტალინი და საქართველოს ტრაგედია". უკვე სახელწოდება ცხადად მოწმობს, რა განწყობილებით არის წიგნი დაწერილი. მაგრამ მეგობრისადმი ყმაწვილკაცობის სიყვარულმა მაინც გამოჟონა. კერძოდ: 1907 წლის ნოემბერში სტალინის პირველი ცოლი ეკატერინე სვანიძე გარდაიცვალა. 22 წლის გამოეთხოვა იგი წუთისოფელს. ეკატერინე სვანიძე-ჯუღაშვილი კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს. იმ სამგლოვიარო დღეებში ირემაშვილი მეგობარს ერთი წუთითაც არ მოშორებია. როცა სასაფლაოს ეზოში შევედითო, - იხსენებს იოსებ ირემაშვილი, - სტალინი კუბოს მისშტერებოდა. თვალს არ აცილებდაო. მერე მკლავზე დამეყრდნო, ჩემსკენ დაიხარა და მითხრა: "- სოსო, ამ არსებამ შეარბილა ჩემი ქვის გული. იგი მოკვდა და მასთან ერთად, უკანასკნელი თბილი გრძნობა ადამიანთა მიმართ" ("Soso, dieses Wesen hat mein steinernes Herz weich gemacht; Sie ist gestorben und mit ihr letzte warme Gefuehle fuer die Menschen").

## სტალინიადა

* * *

პეტრე ჩერკასოვის წიგნში "კარდინალი რიშელიე" მოყვანილია რიშელიეს თანამედროვე პოეტის პოლ სკარონის (Скаррон) სტრიქონები ლექსის - Безгрешный ангел или демон - Судите сами, кем я был.

რიშელიეს ბედს სხვა მხრივაც დაემთხვა სტალინის ბედი.

1793 წლის 5 დეკემბერს, ანუ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის კალენდრის მიხედვით, რესპუბლიკის მეორე წლის 15 ფრიმერს, აზვირთებული ბრბო სორბონის ეკლესიაში შევარდა და რიშელიეს აკლდამას მივარდა. დალეწეს მოქანდაკე ჟირარდონის (Жирардон) ქმნილება - რიშელიეს ქანდაკება. გააღეს აკლდამა, დაგლიჯეს რიშელიეს გვამი და სათამაშოდ მიუგდეს პარიზელ ქუჩის ბიჭებს. ისინი კარდინალის თავს ბურთივით დააგორებდნენ ქუჩებში და ,იცილით იჭაჭებოდნენ (იმ დღეს კიდევ 48 საფლავი გაიძარცვა). აბატმა ბაშანმა მოიპარა რიშელიეს თავის ქალა და დამალა. ვიღაც ქვისმთლელმა რიშელიეს მოგლეჯილი (ბეჭდიანი) თითი შეინახა. ასე შეგროვებული ძვლები ყოვლისშემძლე კარდინალისა დიდხანს ინახებოდა ოჯახებში როგორც რელიქვია. მანამ, სანამ, ნაპოლეონ მესამის ბრძანებით, 1866 წელს ეს ნეშთი კარდინალისა არ შეაგროვეს და 15 დეკემბერს ზარზეიმით არ დამარხეს სორბონის უნივერსიტეტის ეკლესიაში (გვ.5-6).

ეს ბრბოს თვისებაა: ცოცხალ დიქტატორს ეთაყვანება, ემონება, მის ნატერფალს კოცნის. მკვდარს კი საფლავიდან თხრის.

ბრბოს მარტო ქუჩის მაწანწალები არ შეადგენენ. ბრბოს ხშირად თანამდებობები უპყრია ხელთ და მაღალ სკამზეა წამოსკუპული. ამ ბრბოსაც იგივე თვისება აქვს, რაც მაწანწალებისას. რიშელიეს ბედი განმეორდა. 1961 წელს სტალინის ცხედარი გამოიტანეს მავზოლეუმიდან და იქვე მეზობლად დაფლეს.

8 წელიწადი უტრიალებდნენ გარშემო მკვდარს და ვერაფერი გაბედეს.

ნაპოლეონი და გოეთე (კ.გამსახურდია - სტალინიადა. ისტორიას არ უყვარს сослагательное наклонение - ასე რომ ყოფილიყო. ჟორესი - როგორი სიტყვა უნდა ეთქვა ლუი XVI ადვოკატს... ეს სასაცილოა.

* * *

ისტორიაში არაფერი ხდება შემთხვევით. რაც მოხდა, ის აუცილებელია და ვერც სხვაგვარად მოხდებოდა. ჩვენ მეტნაკლები სიზუსტით შეგვიძლია ავხსნათ რატომ მოხდა. ყველა ისტორიულ ფაქტს შინაგანი კანონზომიერება აქვს.

* * *

აშშ-ელი პოეტი ეზრა პაუნდი აღტაცებული იყო მუსოლინით ("Иностранная литература", 1991 г. N2) ომის დროს იტალიაში ცხოვრობდა და აშშ-ის წინააღმდეგ მოუწოდებდა. ომის მერე დააპატიმრეს. აშშ-ში მოღალატეს ეძახდნენ. ლანძღავდნენ. მერე შეშლილად გამოაცხადეს. 12 წელიწადი იყო ფსიხუშკაში. აშშ-ის ხელისუფლებას ეხვეწებოდა: იაპონიაში მარკარტურს დავეხმარები. მან კონფიციუსის შესახებ არაფერი იცის, უიმისოდ კი იაპონიაში, რას გახდებაო. ფიქრობდა რამდენიმე თვეში ესწავლა ქართული, სტალინს მშობლიურ ენაზე დალაპარაკებოდა და აშშ-ის კონსტიტუციის უპირატესობა დაემტკიცებინა.

* * *

მუსოლინი ტომას ჯეფერსონის გამგრძელებლად მიაჩნდა (საინტერესოა ედ.გიორგაძის პარალელი - ჯეფერსონი გამსახურდია). არ უყვარდა აშშ.

არც კნუტ ჰამსუნს უყვარდა აშშ. ისიც ვერ იტანდა. მას ნაციზმი მოსწონდა და თანამშრომლობდა კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

რობერტ მუზილი "უთვისებო კაცში" პირველი მსოფლიო ომის წინაპერიოდზე ამბობს - Мир ведь лишился не только бога, но и черта тоже.

სტალინი (ახსნა)

1. მთავრობის დაკვეთა
2. ეროვნული ენერგიის მაგიერ პიროვნულით აღტაცება
3. მითოლოგიზირება ადამიანის, რაკი ღმერთი უარყოფილი იყო

* * *

ისიც, რომ სტალინი ბუში იყო, უკვე მეტყველებს მის მითოლოგიურობაზე. უკვე არ შეიძლება, რომ იგი ნორმალურად დაბადებულიყო. ყველაფერით ნორმალურობას ეწინააღმდეგება იგი.

* * *

დიქტატორი. რა აქვთ საერთო

1. კალიგულას და ნერონის თვისებები (სვეტონიუსი)
2. ჩინგისხანი, რომ უმანკოდ ჩაისახა.

"...Все тираны с некоторыми незначительными оттенками вероломства и жестокости похожи друг на друга" (რობესპიერი) - ყველა ტირანი, გარდა ვერაგობისა და სისასტიკის ზოგიერთი უმნიშვნელო ელფერისა, ერთმანეთს ჰგავს (Максиммилиан Робеспьер - Революционная законность и провосудие, 1959 г. გვ.204).

* * *

თემურლენგის წინაპრის ჩინყიზის დაბადებაც ისე მოხდა, როგორც ქრისტესი. დედამისს ქმარი არ ესვა. "იხილეს მსგავსი ნათლისა ხელოვნებათა ბელიარისა". როცა ყმაწვილი დაიბადა "უწოდეს ყრმასა მას ძედ ნათლისად" (გვ.7. ბერი ეგნატაშვილი - "ახალი ქართლის ცხოვრება", 1940 წ. ამასვე გვეუბნება "კურიერ იუნესკო", 1989 წ. ნოემბერი გვ.39. Алан-ка - Отец свет).

Люцифер умер вместе с Богом, и из его праха возник жалкий бес, который и сам уже не видит, куда его несет. (კამიუ, გვ.352).

* * *

სტალინის კულტი ქართულ პოეზიაში იმითაც არის გამოწვეული, რომ 20-იან წლებში, დემოკრატიული საქართველოს დამარცხების გამო დიდი ნიჰილიზმი იყო ქართულ მოაზროვნე საზოგადოებაში (იხ."მწერლობის მოთვინიერება", "მთვარის მოტაცება", I, 234-5).

ამ ნიჰილიზმს სტალინის ძალისადმი რწმენით ოპტიმიზმი დაუპირისპირდა (გამსახურდიას სიტყვები). თუ საქართველო უძლურია, სამაგიეროდ, იგი განსაკუთრებულ პიროვნებებს წარმოშობს.

* * *

ქართველს მთხლე ბუნება აქვს. თუ სიძნელე შეხვდება, მაშინვე ტყდება და იწყებს წუწუნს - ეს რა ხალხი ვყოფილვართ, ეს რა საზიზღარი ქვეყანაა (თ.კვაჭანტირაძის ნათქვამი), აქ ცხოვრება არა ღირს. ამას მწერლობა უნდა დაპირისპირებოდა, რადგან 1921 წლის დამარცხებისა, დასმენა-დაპატიმრებების შემდეგ საქართველოში საშინელი განწყობილება შეიქნა, ისე როგორც დღეს. ამიტომ გაჩნდა სტალინის დიდება, სამშობლოს დიდება. ამით იყო პასუხი - არ ვართ ცუდი.

არილი

ია ანთაძე

# რას მოითხოვს ოპოზიცია პრეზიდენტისგან

ბოლო თვეების განმავლობაში ნელ-ნელა გამოიკვეთა, რომ საქართველოში პოლიტიკური მიწისძვრების ეპიცენტრად პარლამენტი ყალიბდება.

თუმცა, დღეს ვისაუბრებთ ბოლოხანს გააქტუალურებულ პოლიტიკურ მოვლენაზე, რომელიც, ერთი შეხედვით, პარლამენტს ნაკლებად უკავშირდება.

○ ○ ○

"ახალმა ფრაქციამ" თავიდან გააცოცხლა ნახევრად მივიწყებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ედუარდ შევარდნაძის მიერ პრეზიდენტის და პარტიის თავმჯდომარის პოსტების შეთავსება ანტიკონსტიტუციურია; შესაბამისად, მან უნდა დატოვოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობა და ყველას პრეზიდენტად იქცეს.

ქართულ პოლიტიკურ სპექტრში თითქმის არ დარჩენილა ოპოზიციური სეგმენტი, რომელსაც ედუარდ შევარდნაძის მიერ პარტიის თავმჯდომარის პოსტის შეთავსება კონსტიტუციის დარღვევად არ გამოეცხადებინა.

თავად პრეზიდენტის პოზიცია გარკვეულია - მან ვახტანგ რჩეულიშვილის მსგავსი განცხადების პასუხად განმარტა: ექსპერტები კონსტიტუციის და კანონმდებლობის დარღვევად არ მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტი იმავდროულად პარტიის თავმჯდომარეა.

და მაინც, ეს საკითხი - უნდა დატოვოს თუ არა ედუარდ შევარდნაძემ მოქალაქეთა კავშირი - მუდმივად აქტუალურია ორი მიზეზის გამო.

1. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, რომელიც არჩევნებში გამარჯვებული და სახელისუფლო პარტიაა, ედუარდ შევარდნაძის ირგვლივ არის შემოკრებილი და უეჭველად დაიშლება, თუკი შევარდნაძე რაიმე მიზეზით უარს იტყვის მის ლიდერობაზე. ოპოზიცია, ცხადია, დაინტერესებულია მოქალაქეთა კავშირის დაშლა-დანაწევრებით და ამისთვის ყველაზე მოკლე გზად პარტიის თავმჯდომარის გადადგომას მიიჩნევს; - რასაც მოითხოვს კიდეც პერიოდულად.

2. ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერის ქცევა მიანიშნებს, რომ მისი პოლიტიკური ორგანიზაცია მზად არის შევარდნაძესთან მჭიდრო ინტეგრაციაზე, თუკი პრეზიდენტის ირგვლივ შესაბამისი სივრცე გათავისუფლდება; ამისთვის კი აუცილებელია, თავად შევარდნაძე გათავისუფლდეს მოქალაქეთა კავშირის ტვირთისგან.

ეს ორი მოტივი საყოველთაოდ არის ცნობილი; ისევე, როგორც საყოველთაოდ ცნობილია პრეზიდენტის პოზიცია - იგი კონსტიტუციას არ არღვევს.

○ ○ ○

იმის მიუხედავად, რომ პარტიის მთავარ საბჭოსთან შეხვედრისას ერთხელ ედუარდ შევარდნაძის ბაგეთაგან მართლაც გაისმა ფრთხილი მუქარა გადადგომის შესახებ, - დღეს არავის სჯერა, რომ პრეზიდენტი მოქალაქეთა კავშირს დატოვებს.

ლევან გაჩეჩილაძე კი მაინც მოითხოვს, რომ ედუარდ შევარდნაძემ კონსტიტუციის მოთხოვნა შეასრულოს და პარტიული პოსტი დატოვოს. სწორედ ამიტომ ჩნდება ბუნებრივი შეკითხვა: ნუთუ ლევან გაჩეჩილაძემ არ იცის ის, რაც იცის ნებისმიერმა გამვლელმა? ნუთუ იგი იმდენად არაფრთხილი პოლიტიკოსია, რომ თავიდანვე წაგებულ ომში ერთვება? როგორ შეიძლება ადამიანს (მით უმეტეს, ედუარდ შევარდნაძეს) მოსთხოვო მისთვის სრულიად უსარგებლო ნაბიჯის გადადგმა და თან გქონდეს იმედი, რომ ეს მოთხოვნა შენს პოლიტიკურ გულუბრყვილობად და მარცხად არ შეფასდება?

**ნუთუ ლევან გაჩეჩილაძემ არ იცის ის, რაც იცის ნებისმიერმა გამვლელმა? ნუთუ იგი იმდენად არაფრთხილი პოლიტიკოსია, რომ თავიდანვე წაგებულ ომში ერთვება?**

ამ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელია, კიდევ ერთხელ გავიაზროთ, - რას მისცემს ოპოზიციას შევარდნაძის გადადგომა პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან. შემდეგ კი ვიფიქროთ, - რას მოითხოვს სინამდვილეში ოპოზიცია პრეზიდენტისგან.

○ ○ ○

საქმე ის არის, რომ კონსტიტუციის თანახმად, ჩვენი სახელმწიფოს მართვისთვის აუცილებელია პრეზიდენტისა და საპარლამენტო უმრავლესობის პოზიციათა არსებითი თანხვედრა. საქართველოს კონსტიტუცია არ იცნობს პოლიტიკურ ტერმინს "პრეზიდენტის პარტია", მაგრამ ცნობს მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტისა და საპარლამენტო უმრავლესობის თანამშრომლობას. მაგალითად, საგარეო კურსის განმსაზღვრელი დოკუმენტის - საერთაშორისო ხელშეკრულების - მიღებას სჭირდება პრეზიდენტის პოლიტიკური ნება და 118 მომხრე ხმა პარლამენტში. იგივეა საშინაო კურსის განსაზღვრისას: მაგალითად, მინისტრის დამტკიცებას სჭირდება პრეზიდენტის წარდგენა და 118 მომხრე ხმა პარლამენტში (ანუ უმრავლესობის თანხმობა). კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტისა და საპარლამენტო უმრავლესობის ერთიანი პოლიტიკური ნებით ხორციელდება. თუ ეს ნება პრეზიდენტსა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის გაიხლიჩა და ერთმანეთს დაუპირისპირდა, ყველა გადაწყვეტილება დაიბლოკება: პარლამენტს შეუძლია, ჩააგდოს პრეზიდენტის კანონები და კანდიდატურები, პრეზიდენტი კი, ამის ალსაკვეთად, პარლამენტს ვერ დაითხოვს. თავის მხრივ, პრაქტიკულად შეუძლებელია, გართულებულ ვითარებაშიც კი, პარლამენტმა იმპიჩმენტი გამოუცხადოს პრეზიდენტს: ამას, ურთულესი პროცედურებისა და 157 ხმის გარდა, საკონსტიტუციო ან უზენაესი სასამართლოს თანხმობა სჭირდება.

კონსტიტუციის ერთ-ერთმა ავტორმა ვახტანგ ხმალაძემ არასამთავრობო ორგანიზაცია "დიალოგის" მიერ ჩატარებულ სემინარზე (1999 წლის მაისში) განმარტა: "**კონსტიტუციაში არის ხიფათი - თუკი პრეზიდენტი საპარლამენტო უმრავლესობის გარეშე დარჩა, ამან, შეიძლება, მძიმე შედეგი მოიტანოს. პრეზიდენტს არა აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება, პარლამენტს კი პრაქტიკულად არ შეუძლია, გადააყენოს პრეზიდენტი. ჩვენი კონსტიტუციის მოდელი ამ მხრივ ხისტია და, ამიტომ, სახიფათო**".

კიდევ უფრო ადრე (1998 წლის 19 ოქტომბერს) ვასილ მალლაფერიძე "კავკასიონში" წერდა: "**ეთნოკონფლიქტების, ცენტრიდანული მოძრაობის მზარდი ტემპის და გარედან დაწოლის პირობებში, პრეზიდენტისა და საპარლამენტო უმრავლესობის დაპირისპირება მეყსეულად დაფშვნის სახელმწიფოს**".

1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ თავად ედუარდ შევარდნაძე დაბეჯითებით უხსნიდა საქართველოს მოსახლეობას, რომ პრეზიდენტისთვის აუცილებელია თავისივე თანამოაზრე საპარლამენტო უმრავლესობა: "**ღმერთმა ნუ ქნას, ეს ორი ძალა - პრეზიდენტი და უმრავლესობა - ერთმანეთს შეეჯახოს, ასეთი ვითარება არატრაგიკული იქნება, ვთქვათ, გერმანიისთვის, მაგრამ კატასტროფული აღმოჩნდება საქართველოსთვის... ჩემი და მოქალაქეთა კავშირის გათიშვა არ შეიძლება**".

○ ○ ○

ამ შეფასებების შემდეგ საქართველოს კონსტიტუცია არ შეცვლილა. შესაბამისად, პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა დღესაც განწირულია ერთმანეთთან სათანამშრომლოდ. ამიტომ, როდესაც "ახალი ფრაქცია" უბრუნდება საკითხს, რომ პრეზიდენტი პარტიის თავმჯდომარეობიდან უნდა გადადგეს, ეს თავისთავად გულისხმობს ორ შესაძლო შედეგს:

1. პრეზიდენტი დატოვებს მოქალაქეთა კავშირს, რომელსაც, არსებითად, მისი სახელი კრავს და აერთიანებს. შესაბამისად, პარტია სწრაფად დაიშლება, რაც, პირველ რიგში, აისახება საპარლამენტო უმრავლესობის დანაწევრებაში. პრეზიდენტი დაკარგავს 118 მომხრე ხმას და, იმავდროულად, დაკარგავს ქვეყნის მართვისთვის აუცილებელ კონსტიტუციურ ბერკეტს.

2. პრეზიდენტი დატოვებს მოქალაქეთა კავშირს, მაგრამ ამის შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობა ქაოსურად კი არ დანაწევრდება, არამედ ორგანიზებულად შექმნის ახალ უმრავლესობას, თუნდაც, რომელიმე ავტორიტეტული ფიგურის ირგვლივ - ასეთები კი პარლამენტში ნამდვილად არიან (მაგალითად, ნიკო ლეკიშვილი, დავით სალარიძე, ან ვინმე სხვა...).

შევარდნაძის პარტიის ლიდერობიდან გადადგომის შემთხვევაში, სხვაგვარი გაგრძელება გამორიცხულია: ან პრეზიდენტმა უნდა დაკარგოს 118 ხმა და ქვეყანა კონსტიტუციურ ჩიხში შეიყვანოს (საიდანაც მშვიდობიან გამოსავალს თავად კონსტიტუცია აღარ ტოვებს); ან პრეზიდენტმა უნდა შეინარჩუნოს 118 ხმა, მაგრამ შეიცვალოს პოლიტიკური საყრდენი.

თუ კიდევ მეტად დავაკონკრეტებთ: ან პარლამენტი ისე უნდა დაიქსაქსოს, რომ საერთოდ დაკარგოს გადაწყვეტილების მიღების უნარი (ანუ ვერც ერთმა დაჯგუფებამ ვერ მოიპოვოს მყარი 118 ხმა); ან შევარდნაძემ უნდა გაწიროს დღევანდელი უმრავლესობა და, მასთან ერთად, ზურაბ ჟვანია.

○ ○ ○

ოპოზიციის მიზნებს ორივე შედეგი ხელმიწვდენით შეესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამება: პარლამენტში ძალების დაქსაქსვაც (რაც მის ქმედუუნარობას გამოიწვევს) და ახალი უმრავლესობის შექმნაც.

იუსტიციის მინისტრის პოსტზე მიხეილ სააკაშვილის კანდიდატურის განხილვისას, გასული წლის 9 ოქტომბერს, ვახტანგ ბოჭორიშვილმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ, სრული კონსოლიდაციის შემთხვევაში, საპარლამენტო ოპოზიცია 92 ხმას აგროვებს.

92-დან სასურველ 118-მდე კი მხოლოდ 26 ხმა რჩება.

2000 წლის 12 დეკემბერს "ალიაში" ირინა სარიშვილი წერდა: **"პირველებმა ჩვენ ვივარაუდეთ, რომ თუ პარლამენტი უუნარო აღმოჩნდება გადაწყვეტილების მიღებაში და იქ ისე დაიქსაქსება ძალები, რომ რეალურად გაქრება უმრავლესობა, მაშინ ქვეყანა დადგება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლობის წინაშე. თუ პარლამენტში შევალ, ყოველნაირად ვეცდები, საკუთარი წვლილიც შევიტანო საპარლამენტო უმრავლესობის შეცვლაში".**

ნებსით თუ უნებლიეთ, ირინა სარიშვილმა გაიმეორა ის პროგნოზი, რომელიც 1999 წლის 26 ნოემბერს "დილის გაზეთში" გამოაქვეყნა მოსკოველმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ: "ეს პარლამენტი, ალბათ, გარდამავალი იქნება. საგარეო და საშინაო მდგომარეობის მოსალოდნელი განვითარებისა და ხელისუფლების გარდაუვალი კრიზისის გამო, ვფიქრობ, მომავალი საპარლამენტო არჩევნები ვადამდე - წელიწადნახევარ-ორ წელიწადში - ჩატარდება". ასე რომ, ირინა სარიშვილი არცთუ სამართლიანად იჩემებს საავტორო უფლებას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების იდეაზე.

**თუ გავითვალისწინებთ, რომ ლევან გაჩეჩილაძე პრეზიდენტთან საკმაოდ დაახლოებული პირია და პრეზიდენტიც ყველა შესაძლებლობას იყენებს თავისი კეთილგანწყობის გამოსახატად "ახლების" მიმართ, - გაჩეჩილაძის ინიციატივა განსაკუთრებით დამაფიქრებელ შინაარსს იძენს დღევანდელი უმრავლესობის წევრებისა და გულშემატკივრებისთვის.**

ახლა დავუბრუნდეთ "ახალი ფრაქციის" მოთხოვნას შევარდნაძის გადადგომის შესახებ: მაინც, რას ითხოვს ლევან გაჩეჩილაძე პრეზიდენტისგან? შეუძლებელია, მან პრეზიდენტს მოსთხოვოს, რომ საპარლამენტო უმრავლესობის გარეშე დარჩეს და, არსებული კრიზისების ფონზე, ქვეყანა საკონსტიტუციო კრიზისშიც მოაქციოს. სწორედ ამის დადასტურება იქნება საპარლამენტო უმრავლესობის დაკარგვა, ქაოსი და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც კონსტიტუცია საერთოდ არ ცნობს. შესაბამისად, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ "ახალი ფრაქცია" პრეზიდენტს უმრავლესობის გარეშე დარჩენას კი არ სთავაზობს, არამედ - მხოლოდ უმრავლესობის შეცვლას.

საკმარისია, ედუარდ შევარდნაძემ მართლაც გადაწყვიტოს პარტიის თავმჯდომარის პოსტის დატოვება, რომ ეს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის დაკარგვად დაუჯდება ზურაბ ჟვანიას. მაგრამ ვიდრე ეს არ მოხდება (სავარაუდოა, რომ ეს არ მოხდება), ჟვანიას და მის თანამოაზრეებს მუდმივად უნდა ახსოვდეთ, რომ ეს შეიძლება მოხდეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ლევან გაჩეჩილაძე პრეზიდენტთან საკმაოდ დაახლოებული პირია და პრეზიდენტიც ყველა შესაძლებლობას იყენებს თავისი კეთილგანწყობის გამოსახატად "ახლების" მიმართ, - გაჩეჩილაძის ინიციატივა განსაკუთრებით დამაფიქრებელ შინაარსს იძენს დღევანდელი უმრავლესობის წევრებისა და გულშემატკივრებისთვის.

გასულ წელს კონსტიტუციის გადასინჯვასთან და საბიუჯეტო კრიზისთან დაკავშირებული საპარლამენტო ხელმოწერები პრეზიდენტმა უაღრესად მტკივნეულად აღიქვა და იმპიჩმენტის მცდელობად შეაფასა. მაშინ მან პასუხისმგებლობა არაორაზროვნად დააკისრა ზურაბ ჟვანიას და, ჩანს, მძიმე შთაბეჭდილება დღემდე არ გაჰფერმკრთალებია. ამის გათვალისწინებით, გასაკვირიც აღარ იქნება, თუ "ახლების" ინიციატივას სწორედ შევარდნაძის ფარული ნების გამოხატულებად მივიჩნევთ. მით უმეტეს, რომ "ახალ ფრაქციას", უბრალოდ, არ შეიძლება ეწოდოს პრეზიდენტის მიმართ ოპოზიციური პოლიტიკური ძალა.

მაგრამ საფიქრებელია, რომ ასეთი მკვეთრი ცვლილებები - უმრავლესობის განახლება და პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენება - მოსალოდნელი არ არის. ეს უფრო "ყვითელ ბარათს" ჰგავს, რომლითაც თავნება მოთამაშეს სჯიან. "ყვითელი ბარათი" არის მუდმივი გაფრთხილება იმის შესახებ, რომ არსებობს "წითელი ბარათიც", თუმცა, მისი გამოყენება აუცილებელი სულაც არ არის.

ისიც საფიქრებელია, რომ თამაშის მკაცრი წესები ზურაბ ჟვანიას მკვეთრი არჩევანის წინაშე აყენებს: ან უფრო ნათლად დაუმტკიცოს თავისი ერთგულება პრეზიდენტს და ბოლომდე გაიზიაროს პასუხისმგებლობა ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკის მძიმე შედეგებზე (რასაც სამოქალაქო სექტორი და საზოგადოების ნაწილი შეაფასებს, როგორც პოლიტიკურ უპრინციპობას - ოპორტუნიზმს); ან უფრო მკვეთრად გაემიჯნოს ედუარდ შევარდნაძეს და მიიღოს "წითელი ბარათი", რომელიც იმისათვის არსებობს, რომ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ.

○ ○ ○

ვიდრე პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე კარგად არ გამოკვეთენ ურთიერთობის ვექტორს - მიზიდულობას ან განზიდულობას - პარლამენტი მუდმივად დარჩება პოლიტიკური მიწისძვრების ეპიცენტრში. ეს კი, ჩვენი პირობების გათვალისწინებით, ზედმეტ ფუფუნებად გამოიყურება, რადგან უეჭველია, რომ პრეზიდენტსაც და პარლამენტის თავმჯდომარესაც მთავარი საფრთხე ერთმანეთისგან არ ელით.

საქმე ისაა, რომ ვითარებას წარმოუდგენლად ართულებს წნეხი რუსეთის მხრიდან, რომელიც სულ უფრო მეტად ძაბავს ურთიერთობებს ხელისუფლებაში და საეჭვოს ხდის სახელმწიფოს მომავალს. თუმცა, რაც მეტად გააძლიერებს საქართველოზე ზეწოლას რუსეთი, - ნებსით თუ უნებლიეთ, მით მეტად შეიკვრება ხელისუფლებისა და მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა რამედ ულირს. ამ ლოგიკით, შიდა უთანხმოებებმა, შესაძლოა, მალე მნიშვნელობა დაკარგოს; უფრო სწორად, სხვა შინაარსი შეიძინოს და სულ სხვა პერსონაჟები წარმოაჩინოს.

ხოლო თუ საზოგადოება ამ წნეხს გაუძლებს, მას საკმაოდ ზუსტად ეცოდინება, ვინ ვინ არის და, საერთოდ, რას წარმოადგენს დღევანდელი საქართველო.

**პრილი**

თენგიზ ალდამიძე

# რატომ "ყალბი მარგალიტი", ბატონებო?

ჟურნალ "არილის" გასული წლის მე-7 ნომერში დაიბეჭდა ბატონ ზაალ დგებუაძის წერილი "თამაში ყალბი მარგალიტებით". იგი არსებითად რეცენზიაა წიგნზე "ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი", რომელიც შარშან გაზაფხულზე გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის ინსტიტუტის ეგიდით (შემდგენელ-რედაქტორი ტარიელ ფუტკარაძე, გამოცემის ადგილი მითითებული არ არის).

რეცენზიის დაწერის საბაბი გამხდარა დღევანდელ ქართველთა აზროვნებაში გაბატონებული ტენდენცია, რომელსაც ზ. დგებუაძე "ეროვნულ ამპარტავნობას" უწოდებს და განგაშსაც ტეხს ამის თაობაზე. სამწუხაროდ, ამ სამართლიან და, ჩემი აზრით, უკვე დაგვიანებულ განგაშს, რადგან ამ სენმა უკვე დიდი ხანია მოიცვა მთელი საქართველო, ზ.დგებუაძემ ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი უმშვენიერესი ძეგლი "ქართულისა ენისაი"(1) ანაცვალა - იგი მწვალებლურ თხზულებად გამოაცხადა და "აპოკალიფსური აბსურდი" უწოდა.

რეცენზიაში აშკარად იგრძნობა ბატონ ზ. დგებუაძის წინასწარი, აკვიატებული უარყოფითი დამოკიდებულება "ქართულისა ენისაი"-ს მიმართ. რეცენზენტს ძეგლი იმდენად მწვალებლურად მიაჩნია, რომ მის მეცნიერულ გამოცემას მიზანშეწონილად არ თვლის. სხვაგვარად ვერ ახსნი ზ. დგებუაძის დამოკიდებულებას "ქართული ენისაი"-ს კრიტიკული ტექსტის დამდგენი მეცნიერის მიმართ. ბატონი ზ. დგებუაძის სარეცენზიო წიგნის პირველი თავი - "ქებაის ხელნაწერები", რომლის ავტორია ქალბატონი ლილი ხევსურიანი, ხარისხობრივად აშკარად განსხვავდება წიგნის სხვა დანარჩენი თავებისაგან და ამას ზ. დგებუაძეც აღნიშნავს: "ქებაის" ტექსტი შესაშური მეცნიერული აკრიბიით არის გამოცემული, ოთხივე ხელნაწერი მაღალი დონის პროფესიულობით არის აღწერილი, არ არის უყურადღებოდ დატოვებული თვით წვრილმანიც კი. მკვლევარი (ლილი ხევსურიანი) ერთგულობს ფილოლოგ-ტექსტოლოგიის მოწოდებას". ამიტომ მოულოდნელია "შთაბეჭდილება", რომელიც ქალბატონი ლილის ნაშრომს მოუხდენია ბატონ ზ. დგებუაძეზე: "მაგრამ ყველაფერი ეს (ეს აკრიბია და ეს პროფესიონალიზმი) თვითმიზნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც დასანანია".

**ენათა განკითხვის ცნება საერთოდ არ არსებობდა და მეორედ მოსვლისას მომავალ საშინელ სამსჯავროზე სამეტყველო ენის საკითხიც არასოდეს დასმულა აღმოსავლეთის ეკლესიებში. უფრო მეტიც, სიტყვა "ენა" ძეგლში ყველგან ისეთ კონტექსტში გვხვდება ან იგულისხმება, რომ საეკლესიო ტრადიციის გათვალისწინებით შეუძლებელია მას "ერის", "ტომის", "მოდგმის" თუ "ნათესავის" გარდა სხვა მნიშვნელობა მიანიჭო.**

ბატონ ზ. დგებუაძეს უკვე ერუდიცია ღალატობს, როდესაც ეჭვქვეშ აყენებს პროფესორ ზ. კიკნაძის მიერ "ქართულისა ენისაი"-ს ლათინურად თარგმნის მიზანშეწონილობას. ამასთან იგი საკამათოდ ხდის არა თარგმანის ხარისხს, არამედ თვით ფაქტს, რომ ძველი ქართული მწერლობის ეს ძეგლი ლათინურად, მკვდარ ენაზე ითარგმნა: "უნდა შეინიშნოს კიდევ ერთი თვითმიზნური შრომა. წიგნის 118-ე გვერდზე დაბეჭდილია "ქებაის" ლათინური თარგმანი, შესრულებული პროფესორ ზ. კიკნაძის მიერ. ეს მოულოდნელი იყო ბატონი პროფესორისაგან... რა მიზანს ემსახურება ერთი ძველი ენიდან მეორე უფრო ძველ და თან მკვდარ ენაზე თარგმნა? ვის უნდა წავაკითხოთ თარგმანი - ნეტარ ავგუსტინეს, "დე კივიტატე დეის" შემოქმედს, თუ ნეტარ იერონიმუსს? შეიძლება მათ წუნი არ დასდონ თარგმანის ლათინურს, მაგრამ, ვეჭვობ, მართლმადიდებელ ქრისტიანად ჩათვალონ ტექსტის ავტორი... მკვდარი ენების სპეციალისტობა სრულიად არ ავალდებულებს ადამიანს ასეთი უცნაური - არ მინდა ვთქვა ფუჭი - შრომა გასწიოს".

ბატონ ზ. დგებუაძის რეცენზიას გამოეხმაურა "დაზარალებული მხარე" - პროფესორი ზ. კიკნაძე წერილით "კულტურის მომავალი და "მკვდარი ენები" (პასუხად ბ.ზ.დგებუაძეს)" ("არილი", N9,2000). იგი თითქმის უდრტვინველად დაეთანხმა ზ. დგებუაძეს "ქართულისა ენისაი"-ს შეფასებაში, თუმცა სიტყვა "მწვალებლური" არ უხსენებია: "უნდა ვაღიარო, რომ ჩემი კრიტიკოსი ბატონი ზ. დგებუაძე არსებითად მართალია, როცა "ქებაის" ლინგვისტურ ესქატოლოგიაზე უარყოფითად და ერთგვარი გაღიზიანებითაც კი ლაპარაკობს. თუმცა მისი კატეგორიულობა და ამ ტექსტის ჩათვლა "ყალბ მარგალიტად" არ უნდა იყოს მთლად მართებული... ძნელია არ დავეთანხმოთ კრიტიკოსს იმაში, რომ ქრისტიანული თვალსაზრისით უცნაურია მეორედ მოსული მაცხოვრისათვის რომელიმე ემპირიული ენის მიწერა". ანდა: "მეც ვფიქრობ ბატონ ზ. დგებუაძის კვლევაზე (ალბათ, კვალობაზე, თ.ა.), რომ "ქებაის" ავტორის ლინგვისტური მესიანიზმი (მესიანიზმის ახალი სახეობა!) ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას ქრისტიანული ანთროპოლოგიის თუ ესქატოლოგიის პოზიციიდან" (გვ.29).

სამაგიეროდ ბატონი პროფესორი არ დაეთანხმა რეცენზენტს "ჰერმან ჰესეს რომანის იმ ადგილის ინტერპრეტაციაში, სადაც რომანისტი ლაპარაკობს ძველ-ეგვიპტური ტექსტის ვედების ენაზე (ან პირიქით) თარგმნაზე" და ვრცელ მსჯელობასაც უძღვნის ამ საკითხს.

ასევე საკმაოდ ვრცლად და ზოგადად მსჯელობს ბატონი ზ. კიკნაძე ე.წ. "მკვდარი ენების" თაობაზე, რითაც არსებითად დაემოწმა თავის კრიტიკოსს, რომ "ქართულისა ენისაი"-ს ლათინურ ენაზე შესრულებული მისეული თარგმანი მართლაც "თვითმიზნური შრომაა", რადგან გაცნობიერებული არ ჰქონია ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის ჩვენი ძეგლების ლათინურ ენაზე თარგმნის მნიშვნელობა.

თავის მეორე წერილში "ვის აბარია ადამის თავის ქალა?" ("არილი", N14, 2000) ბატონი ზ. დგებუაძე უფრო კატეგორიულად მსჯელობს "ქართულისა ენისაი"-ს მწვალებლურ ხასიათზე. შენიშნა რა, რომ მის "ძირითად დებულებას ("ქართულისა ენისაი"-ს მწვალებლური ხასიათი, თ.ა.) არაორაზროვნად ეთანხმება" ბატონი ზ. კიკნაძე, მისივე შექებით გათამამებული, რომ იგი "პირველია, ვინც გაბედა და "ქებაის" "აპოკალიფსური აბსურდი" უწოდა, ზ. დგებუაძე უფრო ყინჩი ეპითეტებით ამკობს თხზულებას და უწოდებს მას "ძველ წვალებას", "რომელიღაც უცნობი ბერის უდისციპლინო ოცნებას", "მწვალებლურ ტექსტს" და ა.შ.

ამგვარად, მწვალებლურ თხზულებად გამოცხადდა ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი საინტერესო ძეგლი "ქართულისა ენისაი".

ქვემოთ ორიოდე სიტყვით მინდა შევეხმიანო ზ. დგებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აძისა და ზ. კიკნაძის ამ მართლაცდა აბსურდულ თვალსაზრისს.

დავიწყოთ ბატონ ზ. დგებუაძის კატეგორიულობით. მას ოდნავი ეჭვიც კი არ შეჰპარვია, რომ "მწვალებლური აზრი" შეიძლება "ქართულისა ენისაი"-ს ავტორს არც ეკუთვნოდეს. იგი მართლმადიდებლური რწმენის დამცველად გვევლინება, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია მართლმადიდებლის თვალით შეეხედა თხზულებისათვის - განეხილა იგი მართლმადიდებლური ტრადიციების პოზიციდან. ბატონი ზ. დგებუაძე სარეცენზიო წიგნში მოტანილი თხზულების თანამედროვე კომენტატორთა აზრს აფასებს, როგორც "მეცნიერულ თვალსაზრისებად გასაღებულ ზღაპრებს", მაგრამ ვერ ხვდება, რომ თავად ამ ზღაპრების ტყვეობაშია მოქცეული და სწორედ მათზე დაყრდნობით მიიჩნევს "ქართულისა ენისაი"-ს მწვალებლურ თხზულებად.

იგივე ითქმის პროფესორ ზ. კიკნაძის შესახებაც. "თავად ტექსტი ქრისტიანულ წრეში შეიქმნა და ქრისტიანული ნიადაგიდანვე უნდა იქნას განხილული", - წერს იგი, მაგრამ ასეთი განხილვის ჩაუტარებლად დაეთანხმა ზ. დგებუაძეს "ქართულისა ენისაი"-ს შეფასებაში. ასევე ამ ნიადაგის გაუთვალისწინებლად ფიქრობს ავტორი, რომ "ქართულ ენაში შემონახულია ადამის ენა". ამიერიდან პატივცემული პროფესორის ეს მოსაზრება სამართლიანად დაუმშვენებს გვერდს ჩვენი სახელგანთქმული "ეზოთერიკის" - გივი ალაზნისპირელის - ასევე სახელგანთქმულ აზრს, რომ "ბაბილონის ანბანის დაშლის მომენტში გადამალული დასაბამისეული ენა - ეს ქართული ენაა სამივე ანბანით".

ჭეშმარიტად, ნებისმიერი ძეგლი, წერილობითი თუ სხვა სახისა, იმ ეპოქის კვალს ატარებს, რომელშიც იგი შეიქმნა, ამიტომ "ქართულისა ენისაი"-ს გაგება-კომენტირება შეუძლებელია, თუ არ იქნება გათვალისწინებული მისი ავტორის რწმენა, დრო და გარემო, რომელშიც იგი დაიწერა. ეს აქსიომაა. აკი ამისმა გაუთვალისწინებლობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ დღეს "ქართულისა ენისაი", ეს სრულყოფილი ქრისტიანული ძეგლი, უკვე მწვალებლურ თხზულებად გამოცხადდა.

თხზულების შესახებ არსებულ ლიტერატურაზე თვალის ერთი გადავლებაც კი საკმარისია დავრწმუნდეთ, რომ მათში გათვალისწინებული არ არის ზოგადად აღმოსავლური, კონკრეტულად კი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ტრადიციები. ეს განსაკუთრებით თხზულების პირველი წინადადების კომენტარებისას შეიმჩნევა.

"ქართულისა ენისაი"-ს პირველ წინადადებაში ნათქვამია: "დამარხულ არს ენაი ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებელად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა".

წინადადებაში რომ ამქვეყნად ქრისტეს მეორედ მოსვლასა და საშინელ სამსჯავროზეა საუბარი, ეს აშკარაა და ამას ყველა მკვლევარი აღნიშნავს. მაგრამ, რამდენადაც აქ ორჯერ არის ნახსენები სიტყვა "ენა", მისი თანამედროვე მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიიჩნევენ, რომ საშინელ სამსჯავროზე მაცხოვარი ქართულ ენაზე იმეტყველებს, ქართულ ენაზე ამხელს და განიკითხავს კაცობრიობას.

სიტყვა "ენა" ძველ ქართულში ადამიანთა კრებულს - "ერს", "ტომს", "ნათესავს" თუ "მოდგმასაც" აღნიშნავდა და სწორედ ამ მნიშვნელობითაა თხზულებაში ეს სიტყვა გამოყენებული - ქართული ორიგინალური თუ ნათარგმნი ძეგლების მიხედვით მაცხოვრის ამქვეყნად მეორედ მოსვლა და საშინელი სამსჯავრო მხოლოდ ერების და ცალკეული ადამიანების განკითხვის დღედ ესმოდათ ჩვენს წინაპრებს.

ორედ მოსვლისას მომავალ საშინელ სამსჯავროზე სამეტყველო ენის საკითხიც არასოდეს დასმულა აღმოსავლეთის ეკლესიებში. უფრო მეტიც, სიტყვა "ენა" ძეგლში ყველგან ისეთ კონტექსტში გვხვდება ან იგულისხმება, რომ საეკლესიო ტრადიციის გათვალისწინებით შეუძლებელია მას "ერის", "ტომის", "მოდგმის" თუ "ნათესავის" გარდა სხვა მნიშვნელობა მიანიჭო. ამასთან, საეკლესიო რწმენით, ამქვეყნად მაცხოვრის მეორედ მობრძანება ზარზეიმით უნდა მოხდეს და მას არავითარი "დადასტურება", "დამოწმება" თუ "გამოცხადება" არ სჭირდება. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ როდესაც "ქართულისა ენისაი"-ს ავტორი ამქვეყნად ქრისტეს მეორედ მოსვლაზე წერდა, მხედველობაში ჰქონდა ამ მოვლენის ის სურათი, რომელიც მათეს სახარებაში მოცემულ ქრისტეს ერთ-ერთ იგავშია (მათე, 25:31-46) წარმოდგენილი; რადგან ქართულ და აღმოსავლეთის სხვა ეკლესიებში უძველესი დროიდანვე დადგენილია საშინელი სამსჯავროს ხსენების დღე (ხორციელის კვირა), და ამ დღეს ღვთისმსახურებისას სწორედ მათეს სახარების ზემოთ მითითებული ადგილი იკითხება (და არა იოანეს "გამოცხადება").

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "ქართულისა ენისაი" არ არის იმ მასშტაბისა და მნიშვნელობის ძეგლი, რომელსაც მას მკვლევრები ანიჭებენ. ძეგლი კონკრეტულ გარემოში შეიქმნა (საბა განწმენდილის ლავრა), მისი დაწერა განაპირობა კონკრეტულმა სიტუაციამ (ქართული ბერების დევნა-შევიწროება ლავრაში) და კონკრეტული მიზნითაც დაიწერა (ამ ლავრაში მოღვაწე ქართველი ბერების გამხნევება). ამიტომ მის ესქატოლოგიაში მთელი ქართველი ერის მომავალი ბედის დანახვა არ არის მართებული.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, თხზულების პირველი წინადადება ასე უნდა იქნეს გაგებული: "შენახულია ქართველი ერი მაცხოვარის მეორედ მოსვლის დღემდე მოწმედ, რათა ყოველი ერი ღმერთმა ამ ერით (ამ ერთან ურთიერთობის მიხედვით) განსაჯოს", და ამით თავისთავად იხსნება საკითხი "ქართულისა ენისაი"-ს მწვალებლური ხასიათის შესახებ.

ამ დასკვნის სისწორეს ამტკიცებს ის გარემოება, რომ "ქართულისა ენისაი" იოვანე-ზოსიმეს ხელშია გავლილი. იგი დიდად მართლმორწმუნე ქრისტიანი და თხზულების ავტორის თანამედროვე გახლდათ. გარკვეული გაგებით თანაავტორიც კია თხზულებისა - ოთხჯერ (ქალბატონი ლილი ხევსურიანის აზრით, სამჯერ) გადაწერა იგი, სათაურიც შეუცვალა და რაიმე მწვალებლური აზრი რომ დაენახა მასში, ბუნებრივია, ასე არ მოიქცეოდა (თუმცა ზოგიერთმა მკვლევარმა უვიცობაც კი დასწამა იოვანე-ზოსიმეს).

ამრიგად, "მწვალებლური" აზრი, რომ ამქვეყნად მეორედ მოსვლისას გამართულ საშინელ სამსჯავროზე მაცხოვარი ქართულ ენაზე ამხელს კაცობრიობას, ეკუთვნის თხზულების კომენტატორებს და არა მის ატვორს. საერთოდ, თხზულებაში ერთი სიტყვაც არ მოიპოვება ისეთი, რომელიც წინააღმდეგობაში იყოს ნიკეა-კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებებზე მიღებულ "მრწამსთან".

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "ქართულისა ენისაი" არ არის იმ მასშტაბისა და მნიშვნელობის ძეგლი, რომელსაც მას მკვლევრები ანიჭებენ. ძეგლი კონკრეტულ გარემოში შეიქმნა (საბა განწმენდილის ლავრა), მისი დაწერა განაპირობა კონკრეტულმა სიტუაციამ (ქართული ბერების დევნა-შევიწროება ლავრაში) და კონკრეტული მიზნითაც დაიწერა (ამ ლავრაში მოღვაწე ქართველი ბერების გამხნევება). ამიტომ მის ესქატოლოგიაში მთელი ქართველი ერის მომავალი ბედის დანახვა არ არის მართებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორიოდე სიტყვა ძეგლის ლათინურ თარგმანზეც. ბატონ ზ. დგებუაძისაგან განსხვავებით, მიმაჩნია, რომ "ქართულისა ენისაი"-ს ლათინურ ენაზე თარგმნით დიდი საქმე გაკეთდა (რა თქმა უნდა თუ თარგმანი სათანადო დონეზეა შესრულებული, რაზეც მე მსჯელობა არ შემიძლია, რადგან ამ ენის სპეციალისტი არ გახლავართ). ბელგიელი ორიენტალისტის პაულ პეეტერსის მიერ ლათინურ ენაზე თარგმნილი ოთხი ქართველი წმინდანის "ცხორების" გამოცემისადმი მიძღვნილ რეცენზიაში აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე წერდა: "P.Peeters-ს პირდაპირ ტიტანური შრომა უკისრია და პირნათლადაც შეუსრულებია იგი... მან დაუფასებელი სამსახური გაუწია მეცნიერებას საზოგადოდ და ქართულ ფილოლოგიას კერძოდ" (ეტიუდები, ტ.VIII, გვ.368-369). რეცენზიის დასასრულს კი ბატონი კორნელი დასძენდა: "საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შრომით ქართული მასალების ერთი კატეგორია ხელმისაწვდომი ხდება დასავლეთ ევროპის მეცნიერებისათვის, რასაც უნდა ვუმადლოდეთ პატივცემულ P.Peeters□ს... დარწმუნებული ვართ, რომ ძველი ქართული ლიტერატურა მეცნიერებას მისცემს არანაკლებ მასალას, ვიდრე რომელიმე სხვა აღმოსავლური მწერლობა" (იქვე, გვ.271-272). ქართული ძეგლების ლათინურ ენაზე თარგმნის აკადემიკოს კორნელი კეკელიძისეული შეფასება დღესაც ძალაშია და, რაც უფრო მეტი ქართული მწერლობის ნიმუში ითარგმნება ამ ენაზე, მით უფრო მეტ დამფასებელს შეიძენს ქართული კულტურა.

დაბოლოს, სავსებით ვეთანხმები ბატონ ზ. დგებუაძის მსჯელობას "ეროვნული ამპარტავნობის" თაობაზე - ამ ვირუსით მეტ-ნაკლებად ქართული საზოგადოების თითქმის ყოველი ფენაა დაავადებული - ჩინიანიცა და უჩინოც, ერიცა და ბერიც, ქალიცა და კაციც, დიდიცა და პატარაც, მეცნიერიცა და უსწავლელიც... რა თქმა უნდა, ამ ავადმყოფური მოვლენის წინააღმდეგ ხმის ამოღება საჭირო და აუცილებელიც იყო, მაგრამ ამის გაკეთება ხომ "ქართული ენისაი"-ს მწვალებლურ თხზულებად გამოცხადების გარეშე შეიძლებოდა?! თუმცაღა ბატონ ზ. დგებუაძესა და პროფესორ ზ. კიკნაძეს არც ძალიან გაემტყუნებათ - თვალსაზრისმა, რომ "ქართული ენისაი"-ს მიხედვით მაცხოვარმა ამქვეყნად მეორედ მოსვლისას გამართულ საშინელ სამსჯავროზე ქართულ ენაზე უნდა იმეტყველოს, იმდენად მოიკიდა ფეხი ქართველთა აზროვნებაში, რომ იგი უკვე აქსიომად აღიქმება, როგორც ვნახეთ, თვით ამ მართლაცდა აბსურდული მოსაზრების კრიტიკოსთა შორისაც.

(1) ჩემი აზრით, "ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი"-ს თავდაპირველი, ავტორისეული სახელწოდება უნდა იყოს "ქართულისა ენისაი".

არილი

ზაზა ფაჩუაშვილი

# საახალწლო გველები

ახლა უკვე ნამდვილად დადგა XXI საუკუნე და კამათის მოყვარულებს, სპეციალობით წელთაღრიცხვა, 100-წლიანი არდადეგები დაეწყოთ. ამის გარდა, კიდევ ერთი საჭირბოროტო პრობლემაც მოგვარდა - საბოლოოდ გაირკვა ჩვენი თოვლის ბაბუის ბედიც. დიდი მეცადინეობის შედეგად, როგორც იქნა, იგი დამსახურებულ პენსიაზე გაუშვეს. მისი ადგილი ოფიციალურად დაიკავა დასავლეთიდან მოწვეულმა სანტა კლაუსმა, რომელსაც ზურგზე აღმოსავლური კალენდრით სავსე ტომარა ჰკიდია. წელს ეს ტომარა გველებით იყო გატენილი და, რაც ჩვენთვის ყველაზე უჩვეულოა, ჭრელი საჩუქრების დეფიციტი არ შეიმჩნეოდა. მისი განაწილებაც ისე თანაბრად მოხდა, როგორც ნამდვილ ჰუმანიტარულ ტვირთს შეეფერება. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ დევნილი ბავშვებისთვის მოჭრილი პრეზიდენტის ნაძვის ხეზე გველი ყველა პატარას მისცეს.

გახსნეს ბავშვებმა პატარა საჩუქრები და პირველი, რაც ხელში მოხვდათ, ჭრელი გველები იყო.

აღმოსავლური კალენდრის საახალწლო თაყვანისცემა საქვეყნოდ გააშუქა ტელევიზიამაც. ჟურნალისტები დაუზარელად უხსნიდნენ დაბნეულ ბავშვებს, რომ 2001 წელი გველის წელია.

ეს არგუმენტი სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ გველი სანაგვეზე არ მოისროლონ და სახლში ყველაზე საპატიო ადგილზე დააბრძანონ. შემდეგ მთელი წლის განმავლობაში ოჯახმა, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, თაყვანი სცეს მას და შეეცადოს, დაემსგავსოს, რითაც შეძლებს, რათა ბედნიერი წელი ჰქონდეს. ყოველივე ეს კი მოხდება ქართული სადღეგრძელოების აკომპანიმენტის ქვეშ, მშვიდობის, ოჯახის დღეგრძელობისა და მრავალჟამიერის შესახებ. ამ დროს გველს ალიბი უბედურების შემთხვევაშიც გარანტირებული ექნება, როცა გაჭირვების ჟამს ოჯახის წევრები მეკვლეებს დაუწყებენ გინებას.

- თოვლის ბაბუავ, სადა ხარ თოვლის ბაბუავ!
- სადა ვარ და ტყეში, ბუნაგში ვწევარ და თითს ვლოკავ.
- მერე რათა?
- აბა, რა ვქნა?
- მოდი, კაცოო!
- როგორ მოვიდე?! ერთი წელია პენსია არ მიმიღია. ხურჯინში შარშანდელიდან დარჩენილი ტრადიციების მეტი არაფერი მიყრია. ცარიელი ტრადიციები კიდევ აღარავის უნდა. ხომ ხედავ, აქეთ აღმოსავლეთი, იქეთ დასავლეთი. ისიც ვერ გავიგე, რას ერჩიან ამ სანტა კლაუსს, გველებს რომ არიგებინებენ.

მაგრამ გული არ გაიტეხოთ, ორი ბაბუ ხომ მაინც დაგრჩათ!

ბაბუ, ბაბუ, ჩემო თოვლის ბაბუ.

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



**http://www.opentext.org.ge/arili**

წკაპ HERE



ს 29/3